პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

## დღიური

- ინგლისის სამთამადნო მუშების ფედერაციის კონფერენცია.
- ბულგარეთში დააპატიმრეს და სასიკვდილოდ დასაჯეს კომუნისტი ვოიევიჩი.
- კატასტროფა დომბროვის (პოლონეთი) ქვანახშირის მაღაროებში.
- შრომის საყოველთაო ფედერაციის ყრილობა პარიზში.
- ანენკოვის პროცესი.

შაბათი, 30 ივლისი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 171 (1916)

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

კვირას, 31 ივლისს
კანტორა ღია იქნება
ხელის მოწერის მისაღებათ
დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე

# მსოფლიო ომის მეცამეტე წლისთავი

## კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

**მოსკოვი**, 29 ივლისი. გამოქვეყნებულია კომინტერნის აღმასკომის მოწოდება მსოფლიო ომის მე-13-ე წლის თავის გამო.

„უკანასკნელ თვეებში—ნათქვამია მოწოდებაში—თანდათან ძლიერდება სისხლისმღვრელი შეტევა 400 მილიონიან ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ, რომელიც იბრძვის ახალი ცხოვრების მოსაპოვებლად. და ომის აშკარად მზადება პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს წინააღმდეგ. ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატია ზრუნავს იმაზე, რომ ჩამოაშოროს ფართო მასების ყურადღება იმპერიალიზმის სისხლიან ინტერვენციას ჩინეთში და შეასუსტოს მათი სიფხიზლე ახალ ომის მიმართ, რომელიც აშკარად, მთელი ქვეყნის თვალის წინ მზადდება შრომის პირველ რესპუბლიკის წინააღმდეგ. დროგამოშვებით სოციალ-გამცემლები ახსენებენ ომის საშიშროებას. მაგრამ ამ განცხადებებს ისინი აკეთებენ მხოლოდ იმისათვის, რომ კავშირი არ დაკარგონ მასებთან. სინამდვილეში სოციალ-გამცემლები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სისინით აქტიურ მონაწილეობას იღებენ ახალი ომის მომზადებაში, რომელიც სიმკაცრით და განადგურების სიძლიერით გადააჭარბებს 1914—1919 წლ. სისხლიან ხოცვა-ჟლეტას.

ყველა ქვეყნის მუშებო და მუშა-ქალებო, გლეხებო და გლეხ-ქალებო! საშინელ, მკაცრ მსოფლიო ომის მე-13-ე წლის თავს ჩვენ ვხვდებით იმ მომენტში, როდესაც იმპერიალიზმი აწარმოებს ჭეშმარიტად ჯალათურ ომს ჩინეთის წინააღმდეგ და ამზადებს ახალ, საშინელ მსოფლიო კატასტროფას, რომლის მახვილი მიმართული იქნება მშრომელთა ერთად-ერთი ციხე-სიმაგრის წინააღმდეგ, საბჭოთა სოციალისტურ კავშირის წინააღმდეგ. ჩინეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომის შეჩერება და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის საშიშროების აცილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში. თუ ყველა ქვეყნის მშრომელნი განიმსჭვალებიან შეგნებით, რომ ომი წარმოადგენს არა მომავლის საკითხს, არამედ დღევანდელი დღის მკაცრ სინამდვილეს. აგვისტოს დღეები უნდა შეიქნენ ნამდვილ მასიურ კამპანიის დასაწყისად ჩინეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომის შესაწყვეტად და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მომზადებულ ომის საშიშროების ასაცილებლად.

აიძულეთ მთავრობები გამოიწვიონ შეიარაღებული ძალები ჩინეთიდან, შეუშალეთ ხელი ჩინეთში ჯარის და იარაღის გზავნას! იარაღის ქარხნების, ქიმიურ მრეწველობის და ტრანსპორტის მუშებო, ყველაზე უფრო თქვენზეა დამოკიდებული ჩინეთის წინააღმდეგ ამჟამად წარმოებულ ომის ბედი და ახალ ომის საშიშროების აცილება!

ახლა მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა ყველა მუშებმა დაიწყონ საერთო გაფიცვის ნამდვილი მომზადება იმ მიზნით, რომ შესწყვიტონ უკვე მიმდინარე ომი და აიცილონ ახალი ომი. თუ ამ მზადებამ, მიუხედავათ ყველა თქვენი ღონისძიებისა, არ გამოიღო სასურველი ნაყოფი, საშინელი მსოფლიო ომი იქცევა სისხლის სინამდვილედ. იყავით მზად, რომ იმპერიალისტების მიერ დაწყებული ომი გადააქციოთ ომად კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ! დეე 1927 წლის აგვისტოს დღეები გახდენ ჭეშმარიტ პროლეტარულ ფრონტის დასაწყისად იმპერიალიზმის და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ დროშის ქვეშ. იმპერიალისტებს და მათ ლაქიებს ამ დღეებმა უნდა გამოუცხადონ გადამწყვეტი ომი შემდეგი ლოზუნგებით:

„ძირს იმპერიალისტური ომი ჩინეთის წინააღმდეგ! ყველანი რევოლიუციონურ ჩინეთის და საბჭოთა კავშირის დასაცავად!". (ადს).

# ჩემბერლენი ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

# ავსტრიის პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა ზეიპელს

### ვენაში გრძელდება კომუნისტების დაპატიმრება.—სოციალ-დემოკრატი მუშები აღშფოთებული არიან სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას მოქმედებით და პარტიიდან გამოსვლით იმუქრებიან.—ავსტრიის მემამულეები მოითხოვენ გაფიცვების აკრძალვას, პოლიციის გაძლიერებას და სიკვდილით დასჯის შემოღებას.

# მსოფლიო ბრძოლა საბჭოთა ნავთის გარშემო

# ამერიკის პრესა მოითხოვს სავაჭრო პალატის ბიუროს დაარსებას მოსკოვში

## ჩემბერლენი ინგლის-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების შესახებ

**ლონდონი**, 28 ივლისი. მუშათა პარტიის დეპუტატისათვის ტრეველიანისათვის პასუხის გაცემის დროს, ჩემბერლენმა განაცხადა:

**„თავის გამოსვლის დროს ტრეველიანი ეყრდნობოდა „იუმანიტეს" რამდენიმე წერილს, რომლებიც აწერდენ ლორდ კრიუს (ინგლისის ელჩი პარიზში) კავშირის დაჭერას უკრაინის არარსებულ მთავრობის წარმომადგენლებთან და მათთან ერთად ზომების გამომუშავებას საბჭოთა კავშირის მთლიანობის დასარღვევად. ამ ცნობებში არც ერთი სიტყვა არ შეეფერება სიმართლეს".**

ტრეველიანმა შეაჩერა ჩემბერლენი და ჰკითხა.

„რომ არ ექნეს ადგილი არავითარ ეჭვს, ნება მიბოძეთ გკითხოთ, იჭერდა თუ არა ლორდი კრიუ კავშირს ამ პირებთან (ეგრედ წოდებულ უკრაინის მთავრობის წარმომადგენლებთან).

ჩემბერლენმა უპასუხა:

**„არც ლორდ კრიუს და არც სხვა ვინმეს მისი დავალებით არ დაუჭერია კავშირი ამ პირებთან".**

შემდეგ ჩემბერლენი კვლავ დაუბრუნდა საკითხს საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ და სთქვა: „მიუხედავად იმისა, რომ ინგლისში მყოფ საბჭოთა წარმომადგელების მტრულმა პოლიტიკამ, ჩვენის ღრმა რწმენით, შეუძლებლათ გახადა დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, **ჩვენ მაინც არ ვაპირებთ ამაზე უფრო შორს წასვლას ჩვენს კონფლიქტში.**

ჩვენ ვერ განვაახლებთ დიპლომატიურ ურთიერთობას ისეთ ქვეყანასთან, რომელიც ივიწყებს საერთაშორისო ზრდილობის და თავაზიანობის წესებს, **მაგრამ ვაჭრობას ამ ქვეყანასთან ჩვენ განვაგრძობთ. ჩვენ არაფერი ჩაგვიდენია ისეთი, რაც ხელს შეუშლიდა ამ ვაჭრობას და არც გვაქვს სურვილი ჩვენს უთანხმოებაში საბჭოთა კავშირთან ამაზე შორს წავიდეთ".**

მუშათა პარტიის დეპუტატმა უოლხედმა განაცხადა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ განცხადება, რომელიც აქ გააკეთა გარეშე საქმეთა მინისტრმა საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ არ უხშობს საბჭოთა მთავრობას გზას დიპლომატიურ ურთიერთობის განახლების მიზნით, განცხადების შემოსატანათ, თუ საბჭოთა კავშირმა მოისურვა ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ნაბიჯის გადადგმა."

ჩემბერლენმა უპასუხა: „ურთიერთობა ვერ განახლდება ძველ ნიადაგზე, როდესაც ინგლისში მყოფ წარმომადგენლობას, საბჭოთა მთავრობა იყენებდა ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევისათვის და სხვა შეუფერებელ მიზნებისათვის".

უოლხედმა სთქვა: **„რომ მოინდომოს საბჭოთა მთავრობამ ნაბიჯების გადადგმა ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ჩვენ მხრივ ხომ არ შეხვდება წინააღმდეგობას?"**

**ამის საპასუხოთ ჩემბერლენმა განაცხადა:**

„რასაკვირველია არა. **თუ საბჭოთა მთავრობამ გადასდგა სამისო ნაბიჯები, უეჭველია წამოაყენებს პირობებს და ჩვენ ამ პირობებს განვიხილავთ.**

მხოლოდ წინანდელ ბოროტმოქმედებას არ უნდა ექნეს ადგილი. საბჭოთა მთავრობის ფსიქოლოგიაში უნდა მოხდეს ისეთი გარდატეხა, რომელიც ჩვენ დაგვარწმუნებს, რომ თუ საბჭოთა წარმომადგენლობა დაშვებული იქნა ინგლისში, მისი მოქმედება შეეფერება მიღებულ დიპლომატიურ და საერთაშორისო ნორმებს". (ადს)

## სამთა კონფერენციის დელეგაციების მოლაპარაკება

**ბერლინი**, 28 ივლისი. ბრიჯმენის და სესილის ჟენევაში ჩამოსვლასთან დაკავშირებით განახლდა სამთა კონფერენციის დელეგაციების ხელმძღვანელების მოლაპარაკება.

პოლიტიკურ წრეებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევენ ჩემბერლენის წინადადებას კრეისერების შესახებ საკითხის დროებითი მოწესრიგებაზე.

მაგრამ ვინაიდან არსებობს უთანხმოება ინგლისის და ამერიკის დელეგაციებს შორის მსუბუქი კრეისერების ტონაჟის და მათი შეიარაღების საკითხების გარშემო, ჟენევის წრეებში ფიქრობენ, რომ ვერ შეთანხმდებიან (ადს).

## ვენის ამბების შემდეგ

### სალაყბომ გაამართლა ზეიპელი

**ვენა**, 28 ივლისი. კამათი საკავშირო კანცლერის დეკლარაციის გამო ავსტრიის პარლამენტში დამთავრდა. კამათი დროგამოშვებით ცხარე ხასიათს ღებულობდა. სოციალ-დემოკრატების წინადადებანი მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადებისა და ვენის ამბების გამოსაძიებლად საპარლამენტო კომისიის დანიშვნის შესახებ, ხმის უმრავლესობით უარყოფილია. (ადს).

### ავსტრიის სოციალ-დემოკრატები და მუშათა მასა

**ვენა**, 28 ივლისი. მიუხედავათ იმისა, რომ სოციალ-დემოკრატების წინადადება ზეიპელისთვის უნდობლობის გამოცხადებისა და საპარლამენტო საგამომძიებლო კომისიის დანიშვნის შესახებ უარყოფილი იქნა, სოციალ-დემოკრატების პოზიცია პარლამენტში კამათის დროს იმის მაჩვენებელია, რომ სოციალ-დემოკრატებს და მთავრობას შორის არსებობს ჩუმი შეთანხმება. გლეხთა სოციალისტური პარტიის წევრმა **პორტლემა** და სოციალ-დემოკრატმა **რენერმა** წარმოსთქვეს პარლამენტში დიპლომატიური ხასიათის სიტყვები, სადაც აღნიშნეს ურთიერთობის გაგების შესაძლებლობა.

„არბეიტერ ცეიტუნგი" სრული სიმშვიდით შეხვდა პარლამენტის დადგენილებებს და პარლამენტში გამართულ კამათს.

**სოციალ-დემოკრატების გამოსვლამ პარლამენტში ვერ შესძლო მუშათა საზოგადოებრივი აზრის დამშვიდება. სხვადასხვა რაიონებში სოციალ-დემოკრატების მიერ მოწყობილ ღია კრებებზე მუშები გამოსთქვამდენ აშკარა აღშფოთებას სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას მოქმედების გამო; ამ აღშფოთებას ხშირად უმატებდენ მუქარას პარტიიდან გამოსვლის შესახებ. უფრო ხშირად გაისმის ხმები, რომლებიც მოითხოვენ შუცბუნდის მაგიერ წითელ ფრონტელების კავშირის დაარსებას. მუშები მეტ ინტერესს იჩენენ კომპარტიის ორგანო „როტეფანე"-სადმი.** (ადს).

### ავსტრიის მემამულეთა ორგანიზაციების კონფერენცია

**ვენა**, 28 ივლისი. 27 ივლისს ლინცში შესდგა ავსტრიის გავლენიან მემამულეთა ორგანიზაციების თავმჯდომარეების კონფერენცია.

კონფერენციას დაესწრო მიწად-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი. ერთხმად მიღებულია რეზოლუცია. რომელიც მოითხოვს: კანონის შემოღებას **ტრანსპორტზე და საზოგადოებრივ ხასიათის მთავარ წარმოებებში მომუშავეთა გაფიცვის აკრძალვის შესახებ; მოსამსახურეთა გაფიცვის აკრძალვას; სათემო პოლიციის გაძლიერებას; სიკვდილით დასჯის აღდგენას და პრესის თავისუფლების შეზღუდვას.**

კონფერენცია ჰპირდება მთავრობას ამ ღონისძიებათა გატარებაში ყოველგვარ დახმარებას. (ადს).

### ჩხრეკა და დაპატიმრებანი ვენაში

**ვენა**, 28 ივლისი. ვენაში ისევ გრძელდება. **ჩხრეკა და დაპატიმრება. უკანასკნელი ღამის განმავლობაში დააპატიმრეს კიდევ 20 კაცი.** წინად დაპატიმრებული კომუნისტები — კორიჩონერი, ტომანი და სხვები, საბრალმდებლო მასალების უქონლობის გამო, ხანგრძლივი დაკითხვის შემდეგ გაანთავისუფლეს. (ადს)

### რემედასის დახმარება

**ვენა**, 28 ივლისი. რემედასის ავსტრიის სექცია ვენაში დაზარალებულთა სასარგებლოდ შეუდგა შემოწირულებათა შეკრებას. რემედასის მუშაკებმა მატერიალური დახმარების აღმოსაჩენად საავადმყოფოებში ინახულეს დაჭრილები, დაზარალებულთა ოჯახების დასახმარებლად დაწყებულია საშუალებათა გამონახვა. დაპატიმრებულთა დასაცავად რემედასმა მოიწვია ხუთი დამცველი. (ადს)

### კაპიტალისტების დახმარება

**ვენა**, 28 ივლისი. ავსტრიის მსხვილი კაპიტალისტური ორგანიზაციები და წარმოებები დიდ თანხებს სწირავენ დაზარალებულ პოლიციელთა ოჯახების სასარგებლოდ. ბანკთა კავშირმა შესწირა 60.000 შილინგი, სამრეწველო კავშირმა 100.000 შილინგი ვენის სავაჭრო პალატამ 60.000 შილინგი. (ადს)

### მუშათა პარტიის თანაგრძნობა

**ლონდონი**, 28 ივლისი. მუშათა პარტიის აღმასკომმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც უცხადებს „თანაგრძნობას ჩვენ ავსტრიელ ამხანაგებს" პოლიციის მიერ მუშების მოკვლის გამო ვენაში მომხდარ დემონსტრაციების დროს. (ადს).

## კოლონიალური ჩაგვრის წინააღმდეგ

### ფილიპინი კოლონიალური ჩაგვრის წინააღმდეგ

**ნიუ-იორკი**, 28 ივლისი. „ნიუორკ ტაიმსი" მანილიდან იტყობინება, რომ ფილიპინის პარლამენტის ლიდერები თანაგრძნობით ეკიდებიან შორეულ აღმოსავლეთში კოლონიალური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი ლიგის კონფერენციას, რომელიც სექტემბერში შესდგება ხანკოუში

მიუხედავად გავრცელებულ ხმებისა, თითქოს კონფერენცია მოსკოვის მიერ არის მოწვეული კონფერენციაზე მიპატიჟების ბარათი მიიღო აგრეთვე ფილიპინის შრომის ფედერაციამ. (ადს)

## მსოფლიო ბრძოლა ნავთისათვის

**ბერლინი**, 28 ივლისი. „ბერლინერ ტაგებლატის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი, საბჭოთა ნავთის ირგვლივ წარმოშობილ კონფლიქტების გამო სწერს, რომ „როიალ დეტჩ შელლის" და როკფელერის ტრესტის შორის სწარმოებს ბრძოლა ნავთისათვის. ამ ბრძოლაში საბჭოთა კავშირმა თვალსაჩინო როლი დაიჭირა, რადგან თვითეული მათგანი ცდილობს მის მიმხრობას. კორესპონდენტი დაწვრილებით ეხება დეტერდინგის იმ წინანდელ ცდებს, რომელსაც ის აწარმოებდა საბჭოთა მთავრობიდან ნავთის მთელი პროდუქციის მიღებისათვის, რაც „როიალ დეტჩ შელლის" ტრესტს საშუალებას მისცემდა კონტროლი გაეწია იმ ქვეყნისათვისაც კი, რომელნიც ნავთზე სახელმწიფო მონოპოლიის შემოღებას აპირებდენ (საფრანგეთი, ისპანია და იტალია) იმის გამო. რომ ამ ცდებმა არავითარი ნაყოფი არ გამოიღო „ნიუ-იორკ სტანდარტ ოილის კომპანიამ" შესძლო საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადება. ამ გარემოებამ „როიალ დეტჩ შელლი" აიძულა, უარი ეთქვა შეტევაზე და თავდაცვით დაკმაყოფილებულიყო.

კორესპონდენტი სარწმუნო წყაროებიდან იტყობინება, რომ „ნიუჯერსის სტანდარტ ოილის კომპანიის" წრეები, არამც თუ იწონებენ დეტერდინგის პოლიტიკას, არამედ წინააღმდეგ, ცდილობენ ერთგვარი თანამშრომლობა გასწიონ „სტანდარტ ოილის" ნიუიორკის ჯგუფთან. (ადს).

### ამერიკის პრესა კონფლიქტის შესახებ

**ნიუ-იორკი**, 28 ივლისი. პრესა დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა ნავთის გარშემო ატეხილ დავას.

„უორლდ" და „ჟურნალ ოფ კომერსი" მოწინავე წერილებში მხარს უჭერენ „ვაკუმ ოილის კომპანიის" თავმჯდომარის—უელის განცხადებას. წერილებში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ საბჭოთა კავშირისათვის ბამბის მისყიდვა და უარის თქმა საბჭოთა ნავთის შესყიდვაზე სრული უაზრობაა. „ჟურნალ ოფ კომერსი" აღნიშნავს რა ამერიკელ ბანკირების წარმატებით საქმიანობას საბჭოთა კავშირში, სასაცილოდ სთვლის სავაჭრო პალატის მიერ უარის თქმას ბიუროს დაარსებაზე მოსკოვში. (ადს).

## ლატვიის დელეგაციის თავმჯდომარე ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ

**რიგა**, 30 ივლისი. ლატვიის დელეგაციის თავმჯდომარემ **ბილმანისმა**, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა საბჭოთა კავშირ. სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ, პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა:

„ლატვიის წვრილი ვაჭრები ეწინააღმდეგებიან საბჭოთა-ლატვიის სავაჭრო ხელშეკრულების დადებას, ვინაიდან ცდილობენ უფლების მოპოვებას საბჭოთა კავშირთან თავისუფალი ვაჭრობის საწარმოებლად. მაგრამ ეს არ წარმოადგენს რეალურ დაბრკოლებას, ვინაიდან ხელშეკრულების თანახმად, საბჭოთა ორგანიზაციებს უშუალო დამოკიდებულება ექნებათ მხოლოდ ლატვიის მრეწველებთან. ეს ხელს შეუწყობს მრეწველობის საერთო განვითარებას და მასთან ერთად განავითარებს წვრილი ვაჭრების მოქმედებასაც. დღემდე მთელი ჩვენი სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან წარმატებით მიმდინარეობდა. თუ-კი ყოველგვარ მოლოდინის წინააღმდეგ, ხელშეკრულება არ იქნება დამტკიცებული, საბჭ. კავშირი იძულებული იქნება ტრანზიტი და დაკვეთები გადასცეს სხვა ქვეყნებს, რაც საზარალო იქნება ლატვიის ინტერესებისათვის. ჩვენი პოლიტიკური და სამეურნეო წრეები ამით მხოლოდ წააგებენ" (ადს).

## საფრანგეთი და საბჭოთა-ლატვიის ხელშეკრულება

**რიგა**, 28 ვლისი. რიგაში დაბრუნდა ლატვიის ელჩი საფრანგეთში **შუმანისი**, რომელმაც „პედეს ბრიდის" თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:

**„საფრანგეთს არაფერი აქვს საბჭოთა-ლატვიის ხელშეკრულების საწინააღმდეგოთ.** რამდენადაც ვიცი, **საფრანგეთი არ ფიქრობს წაბაძოს ინგლისს და შესწყვიტოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან"** (ადს).

## განიარაღების საკითხი ინგლისის პარლამენტში

**ლონდონი**, 28 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ თემთა პალატაში მუშათა პარტიის წევრმა **ტრეველიანმა** გახსნა კამათი განიარაღების საკითხზე.

ჩემბერლენმა უპასუხა რა შეკითხვებზე, განაცხადა, რომ **ინგლისს თავისი პოლიტიკა ჩინეთის მიმართ არ შეუცვლია მთავრობის იმ განცხადების შემდეგ, რომელიც გამოქვეყნებული იყო გასული წლის დეკემბერში და მიმდინარე წლის თებერვალში.**

შეეხო რა ჟენევის მოლაპარაკებას, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ **მას აშინებს გაფიქრება შეერთებულ შტატებთან შესაძლებელი კონფლიქტის შესახებ.**

„მიუხედავად იმისა, სთქვა ჩემბერლენმა—რით დასრულდება ჟენევის კონფერენცია, შეთანხმებით თუ არა, მე მაინც მინდა ვსთქვა, ყველაზე უფრო ნაკლები მოსალოდნელია, რომ კონფერენციის უშედეგოთ დამთავრებამ წარმოშვას ჩხუბის მსგავსი რამე. მე ვფიქრობ, რომ შეიარაღების შემცირება შესაძლებელია მხოლოდ მთელ რიგ კონფერენციების ჩატარებით, რომელთა შორის თითოეული მათგანი ცოტა პროგრესიულ შედეგს მაინც მოგვცემს ამ საკითხში.

მთავრობა ფიქრობს, რომ ინგლისის დელეგატების მიერ მიღებული ინსტრუქციები ურთიერთ შეთანხმებისათვის უფრო მისაღები იქნება, როგორც შეერთებულ შტატებისათვის, ისე იაპონიისათვის (ადს).

---

ი. სტალინ

# შენიშვნები თანამედროვე საკითხების შესახებ

## I

## ომის შესახებ

უეჭველია, რომ თანამედროვე ხანის ძირითადი საკითხი არის საკითხი ომის საფრთხის შესახებ. აქ ლაპარაკია, ახალი ომის არა რაღაც გაურკვეველ, აბსტრაქტულ „საფრთხეზე", არამედ საზოგადოდ ახალი ომის რეალურ, ნამდვილ საფრთხეზე, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომზე — განსაკუთრებით.

მსოფლიოს განაწილება გავლენის სფეროებად, რომელიც მოხდა უკანასკნელი იმპერიალისტური ომის შემდეგ, უკვე „მოძველდა". დაწინაურდენ ზოგიერთი ახალი ქვეყნები, ცოცხლდება და იზრდება, სულ უფრო და უფრო ძლიერდება ვერსალში თითქოს დამარხული კაპიტალისტური გერმანია. თავს სწევს მაღლა ბურჟუაზიული იტალია და შურით უყურებს საფრანგეთს. გაფთრებული ბრძოლა სწარმოებს ბაზრებისათვის, კაპიტალის გასატანად, ამ ბაზრებისაკენ მიმავალი საზღვაო და ხმელეთის გზების დაპყრობისათვის, მსოფლიოს ახალი განაწილებისათვის. იზრდება წინააღმდეგობა ინგლისსა და ამერიკის შორის, იაპონიასა და ამერიკის შორის, ინგლისსა და საფრანგეთის შორის, საფრანგეთსა და იტალიას შორის, იზრდება წინააღმდეგობა კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით, რომელიც ხანდახან პროლეტარიატის აშკარა რევოლიუციონური გამოსვლების სახით იჩენს თავს( ინგლისი, ავსტრია). იზრდება წინააღმდეგობა იმპერიალისტურ მსოფლიოსა და დამოკიდებულ ქვეყნებს შორის. რომელიც თავს იჩენს აშკარა კონფლიქტებისა და რევოლიუციონურ აფეთქებათა სახით (ჩინეთი, ინდონეზია, ჩრდილო აფრიკა, სამხრეთ ამერიკა). მაგრამ ამ წინააღმდეგობათა ზრდა ნიშნავს მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისის ზრდას, მიუხედავათ სტაბილიზაციის ფაქტისა, — იმ კრიზისის ზრდას რომელიც გაცილებით უფრო ღრმა არის, ვიდრე უკანასკნელი იმპერიალისტური ომის წინ არსებული კრიზისი. საბჭოთა კავშირის არსებობა და წარმატება საბოლოდ აღრმავებს და ამწვავებს ამ კრიზისს. გასაკვირველი არ არის, რომ იმპერიალიზმი ემზადება ახალი ომისათვის, ვინაიდან იგი ამაში ხედავს ერთად ერთ გზას ამ კრიზისის გადაწყვეტისათვის. შეიარაღებათა არაჩვეულებრივი ზრდა, ბურჟუაზიულ მთავრობათა საერთო კურსი „მმართველობის" ფაშისტურ მეთოდებზე, ჯვაროსნული ომი კომუნისტების წინააღმდეგ, გაფთრებული იერიშები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, პირდაპირი ინტერვენცია ჩინეთში, — ყოველივე ეს სხვადასხვა მხარეა ერთი და იმავე მოვლენისა, — მზადება ახალი ომისათვის, მსოფლიოს ახალი განაწილებისათვის.

ისინი, იმპერიალისტები დღემდე დაეტაკებოდენ ერთმანეთს, რომ კომუნისტური პარტიები არ არსებობდენ, რომელნიც გადამჭრელ ბრძოლას აწარმოებენ იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ, რომ არ არსებობდეს საბჭოთა კავშირი. რომლის მშვიდობიანი პოლიტიკა ხელფეხს უბორკავს ახალი ომის დაწყების მოსურნეთ, რომ მათ არ ქონდეთ შიში იმისა, რომ ერთმანეთს დაასუსტებენ და ამით გაადვილდება იმპერიალისტური ფრონტის კიდევ გარღვევა. მე ვფიქრობ, რომ უკანასკნელი გარემოება, ე. ი. ერთმანეთის დასუსტებისა და ამით იმპერიალისტური ფრონტის კვლავ გარღვევის შიში არის ერთი უმთავრესი ფაქტორი, რომელიც ჯერჯერობით აჩერებს მათ დაეტაკონ ერთმანეთს. აქედან იმპერიალისტების ზოგიერთი წრეების „ბუნებრივი" მისწრაფება. რომ უკანა რიგში ჩაიტანონ წინააღმდეგობანი თავიანთ საკუთარ ბანაკში, მიჩქმალონ ეს წინააღმდეგობანი, დროებით შექმნან იმპერიალისტების მთლიანი ფრონტი და გაილაშქრონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ თუნდაც ნაწილობრივ, თუნდაც დროებით საბჭოთა კავშირის ხარჯზე გადასწყვიტონ კაპიტალიზმის კრიზისი, რომელიც ღრმავდება.

ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტების მთლიანი ფრონტის შექმნის ინიციატივა იკისრა ინგლისის ბურჟუაზიამ და მისმა მებრძოლმა შტაბმა — კონსერვატორების პარტიამ, — ეს ფაქტი ჩვენთვის არ უნდა იყოს რაღაც მოულოდნელი რამ. ინგლისის კაპიტალიზმი ყოველთვის იყო, არის და იქნება სახალხო რევოლიუციების ყველაზე უფრო ბოროტი ჩამხჩობი. დაწყებული საფრანგეთის დიდი რევოლიუციიდან, მე-18 საუკუნის დასასრულიდან და გათავებული ჩინეთის ეხლანდელი რევოლიუციით, ინგლისის ბურჟუაზია ყოველთვის იდგა და კვლავ დგას კაცობრიობის განმათავისუფლებელი მოძრაობის ჯალათების პირველ რიგებში. საბჭოთა მშრომელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს იმ ძალადობას, ძარცვას და აწიოკებას, რომელსაც რამდენიმე წლის წინედ განიცდიდა ჩვენი ქვეყანა ინგლისის კაპიტალისტების წყალობით. რა არის აქ გასაოცარი, თუ ინგლისის კაპიტალი და მისი კონსერვატიული პარტია სცდილობს კვლავ დაიწყოს ახალი ომი პროლეტარული რევოლიუციის მსოფლიო კერას — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ინგლისის ბურჟუაზიას არ უყვარს ბრძოლა თავისი საკუთარი ხელით, ის ყოველთვის ამჯობინებდა ბრძოლას სხვისი ხელით. და ხშირად ის ახერხებდა კიდეც ისეთ სულელების შოვნას, რომლებიც მზად იყვნენ ცეცხლიდან დახალული წაბლი მიერთმიათ მისთვის. ასე იყო საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს, როდესაც ინგლისის ბურჟუაზიამ მოახერხა ევროპიულ სახელმწიფოების კავშირის შექმნა და მისი დაპირისპირება რევოლიუციონური საფრანგეთის წინააღმდეგ. ასე იყო ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ საბჭოთა კავშირში, როდესაც ინგლისის ბურჟუაზია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს და შეეცადა „14 სახელმწიფოს კავშირის" შედგენას. მიუხედავად ამისა, ის მაინც გაძევებულ იქნა საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან.

ასეა ეხლაც ჩინეთში, სადაც ინგლისის ბურჟუაზია სცდილობს მთლიანი ფრონტის შექმნას ჩინეთის რევოლიუციის წინააღმდეგ. სრულიად გასაგებია, რომ კონსერვატორების პარტია, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, რაც ემზადება ომისათვის საბჭოთა კავშირთან, აწარმოებს მოსამზადებელ მუშაობას დიდ და მცირე სახელმწიფოთა „სამღვთო კავშირის" შესაქმნელად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

თუ წინად, უკანასკნელ დრომდე, კონსერვატორები ასე თუ ისე ფარულად აწარმოებდენ თავის მოსამზადებელ მუშაობას, სამაგიეროდ ეხლა, უკანასკნელ ხანებში ისინი უკვე „პირდაპირ მოქმედებაზე" გადავიდენ, აშკარად თავს ესხმიან საბჭოთა კავშირს და ყველას თვალწინ სცდილობენ „სამღვთო კავშირის" შედგენას.

პირველი აშკარა თავდასხმა საბჭოთა კავშირზე ინგლისის კონსერვატიულმა მთავრობამ დაიწყო პეკინიდან, როდესაც ის თავს დაესხა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობას. ამ თავდასხმას, ყოველ შემთხვევაში, ჰქონდა ორი მიზანი. მას უნდა აღმოეჩინა საბჭოთა კავშირის „განმანადგურებელი" მუშაობის „საშინელი" საბუთები, რომელთაც უნდა შეექმნათ საერთო აღშფოთების ატმოსფერა და ნიადაგი მოემზადებინათ ერთიანი ფრონტისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მას უნდა გამოეწვია სამხედრო კონფლიქტი პეკინის მთავრობასთან და საბჭოთა კავშირი ჩაეთრია ომში ჩინეთთან. როგორც ვიცით, კონსერვატორების ეს ცდა ჩაიფუშა.

მეორე თავდასხმა იყო არკოსის დარბევა ლონდონში და ურთიერთობის შეწყვეტა საბჭოთა კავშირთან. ამ თავდასხმას მიზნად ჰქონდა ერთიანი ფრონტის შედგენა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მთელს ევროპაში დიპლომატიური ბლოკადის გამოცხადება საბჭოთა კავშირისათვის და საბჭოთა კავშირთან დადებულ მთელ რიგ ხელშეკრულებების ჩაშლა. ეს თავდასხმაც, როგორც ვიცით, უშედეგოთ დასრულდა.

მესამე აშკარა თავდასხმა მოხდა ვარშავაში, როდესაც მოკლეს ჩვენი წარმომადგენელი ვოიკოვი. კონსერვატიული პარტიის აგენტების მიერ მოწყობილ ვოიკოვის მკვლელობას, მისი ავტორების აზრით, უნდა ეთამაშნა სარაევოში მოწყობილი მკვლელობის როლი და საბჭოთა კავშირი ჩაეთრია სამხედრო კონფლიქტში პოლონეთთან. ეს თავდასხმაც ჩაიფუშა.

რით აიხსნება ის, რომ ამ თავდასხმებმა არ გამოიღეს ის ეფექტი, როგორსაც კონსერვატორები მოელოდენ? ეს აიხსნება სხვადასხვა ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ინტერესების ურთიერთ წინააღმდეგობით, იმით, რომ ბევრი ამ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთაგანი დაინტერესებულია ეკონომიური კავშირის შენარჩუნებით საბჭოთა კავშირთან. ეს აიხსნება საბჭოთა კავშირის მშვიდობის მოყვარული პოლიტიკით, პოლიტიკით, რომელსაც მტკიცედ და ურყევად ატარებს საბჭოთა მთავრობა. ეს აიხსნება იმით, რომ ინგლისისაგან დამოკიდებულ სახელმწიფოებს— სულ ერთია, ეს იქნება ჩან-ძო-ლინის თუ პილსუდსკის სახელმწიფო — არ სურთ გადაიქცენ კონსერვატორების ბრმა იარაღად თავის ინტერესების წინააღმდეგ. პატივცემულ ლორდებს, როგორც სჩანს, არ უნდათ შეიგნონ, რომ ყოველი სახელმწიფო, რა გინდ უმნიშვნელოც არ უნდა იყოს ის, სცდილობს თავისი თავი წარმოიდგინოს ერთგვარ ერთეულად, იცხოვროს დამოუკიდებლად და არ უნდა, რომ თავისი დამოუკიდებელი არსებობა საფრთხეში ჩააგდოს კონსერვატორების ლამაზი თვალების გულისთვის. ინგლისის კონსერვატორებს დაავიწყდათ ყველა ამ გარემოების გათვალისწინება.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ აღარ განმეორდება თავდასხმა? არა, არ ნიშნავს. პირიქით, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ თავდასხმები განმეორდება უფრო ხშირად და უფრო მეტი ძალით. ეს თავდასხმები არ შეიძლება შემთხვევითად ჩავთვალოთ. ისინი ბუნებრივად გამომდინარეობენ მთელი საერთაშორისო მდგომარეობიდან, ინგლისის ბურჟუაზიის მდგომარეობიდან როგორც თვით ინგლისში, ისე კოლონიებში, კონსერვატორული პარტიის, როგორც მმართველი პარტიის მდგომარეობიდან.

მთელი დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა და ყველა ფაქტები ინგლისის მთავრობის „ოპერაციების" დარგიდან მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირისათვის ფინანსიური ბლოკადის მოწყობა; სხვადასხვა სახელმწიფოებთან წარმოებული მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო პოლიტიკის შესახებ; უკრაინის, საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის და სხვ. ემიგრანტულ „მთავრობებისათვის" თანხების მიწოდება აჯანყებების მოსაწყობად საბჭოთა კავშირის ამ ქვეყნებში; თანხების მიწოდება ჯაშუშურ - ტერორისტულ ჯგუფებისათვის, რომლებიც აფეთქებს ხიდებს, ცეცხლს უკიდებენ ფაბრიკებს და ჰხოცავენ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლებს, — ყველაფერი ეს უდავოდ მოწმობს იმას, რომ ინგლისის კონსერვატიული მთავრობა მტკიცედ და გადაჭრით დაადგა საბჭოთა კავშირთან ომის გამოწვევის გზას, ამასთან სრული შესაძლებელია, რომ ერთგვარ პირობებში კონსერვატორები მოახერხებენ ამა თუ იმ სამხედრო ბლოკის შედგენას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

როგორია ჩვენი ამოცანა?

ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ევროპის ყველა ქვეყნების ყურადღება მივაქციოთ ახალი ომის საფრთხეს, გამოვაფხიზლოთ კაპიტალისტურ ქვეყნების მუშები და ჯარისკაცები, მოვამზადოთ მასები რათა რევოლიუციონურ ბრძოლაში ისინი დარაზმულად დაუხვდენ ბურჟუაზიული მთავრობების ცდებს და ახალი ომის საფრთხეს, ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სამარცხვინო ბოძზე მივაკრათ მუშათა მოძრაობის ყველა ის მოღვაწენი, რომლებიც „მოგონილად" „სთვლიან" ახალი ომის საფრთხეს, რომლებიც პაციფისტური სიცრუით აბრუებენ მუშებს, რომლებიც თვალს ხუჭავენ იმაზე, რომ ბურჟუაზია ამზადებს ახალ ომს და რომლებსაც უნდათ, რომ ომმა მოუსწროს მოუმზადებელ მუშებს.

ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ საბჭოთა მთავრობა შემდეგშიც მტკიცედ და ურყევად ატარებს მშვიდობიანი დამოკიდებულების პოლიტიკას, მიუხედავათ ჩვენი მტრების პროვოკაციული გამოსვლისა და მიუხედავათ ჩვენი პრესტიჟის შელახვისა. ჩვენ გვაღიზიანებენ და გვაღიზიანებენ შემდეგშიც პროვოკატორები მტრის ბანაკიდან, რომ თითქოს ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა აიხსნება ჩვენი ან და ჩვენი არმიის სისუსტით. ზოგიერთ ჩვენს ამხანაგებს აღელვებს ხოლმე ასეთი პროვოკაცია და მოითხოვენ „გადამჭრელი" ზომების მიღებას. ეს არის ძარღვების სისუსტე. ეს არის თავდაუჭერლობა. ჩვენ არ შეგვიძლია და არც უნდა ვითამაშოთ ჩვენი მტრების დუდუკზე. ჩვენ ჩვენი გზით უნდა ვიაროთ, დავიცვათ მშვიდობიანობა, გამოვიჩინოთ ჩვენი ნებისყოფა, გამოვააშკარაოთ ჩვენი მტრების მტაცებლური ზრახვები და წარმოვადგინოთ ისინი, როგორც ომის გამომწვევნი. ვინაიდან მხოლოდ ასეთი პოლიტიკით შევსძლებთ საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების შემჭიდროებას ერთ მთლიან მებრძოლ ბანაკში, თუ ჩვენ მტერი თავზე მოგვახვევს, ან უფრო სწორად, როდესაც ჩვენი მტერი თავზე მოგვახვევს ომს.

რაც შეეხება ჩვენს „სისუსტეს" ან და ჩვენი არმიის „სისუსტეს", უნდა ითქვას, რომ ჩვენი მტრები პირველად არ სცდებიან ამ მხრივ. 8 წლის წინად, როდესაც ინგლისის ბურჟუაზიამ დაიწყო ინტერვენცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ჩერჩილი კი იმუქრებოდა „14 სახელმწიფოს" გალაშქრებით, ბურჟუაზიული პრესა ასევე გაჰყვიროდა ჩვენი არმიის სისუსტეზე, მაგრამ, მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ინგლისელი ინტერვენტები და მათი მოკავშირენი სამარცხვინოდ გაძევა ჩვენი ქვეყნის ფარგლებიდან ჩვენმა ძლევამოსილმა არმიამ. უკეთესია ახსოვდეთ ეს ახალი ომის ბატონ გამჩაღებლებს..

ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარი, განვამტკიცოთ ჩვენი სახალხო მეურნეობა, გავაუმჯობესოთ ჩვენი მრეწველობა, სამხედრო და არა სამხედრო მრეწველობა, გავაძლიეროთ მუშათა გლეხთა და წითელ-არმიელთა სიფხიზლე ჩვენს ქვეყანაში, განვამტკიცოთ მათი ნებისყოფა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად და ბოლო მოუღოთ დაუდევრობას, გულგრილობას, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი.

ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში რომ განვამტკიცოთ ჩვენი ზურგი და გავწმინდოთ იგი ნაძირალებისაგან. სათანადოთ დავსაჯოთ „ბრწყინვალე" ტერორისტები და ჩვენი ფაბრიკებისა და ქარხნების ცეცხლის წამკიდებლები. ვინაიდან თავდაცვა ჩვენს ქვეყანაში შეუძლებელია ისე, თუ არ არსებობს მტკიცე რევოლიუციონური ზურგი.

ამას წინედ რიკოვის სახელზე მიღებულ იქნა ინგლისის მუშათა მოძრაობის ცნობილი მოღვაწეთა ლენსბერის, მაკსტონის და ბროკვეის პროტესტი 20 ტერორისტის და ცეცხლის წამკიდებლის დახვრეტის გამო. მე არ შემიძლია, ინგლისის მუშათა მოძრაობის ეს მოღვაწენი ჩავთვალო საბჭოთა კავშირის მტრებად. ისინი მტრებზე უარესები არიან. ისინი მტრებზე უარესები არიან, ვინაიდან უწოდებენ რა თავის თავს საბჭოთა კავშირის მეგობრებს, ისინი თავიანთი პროტესტით რუს მემამულეებს და ინგლისის ჯაშუშებს უადვილებენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების მოკვლის მოწყობას. ისინი მტრებზე უარესები არიან, ვინაიდან არ სურთ შეიგნონ, რომ 20 „ბრწყინვალე პირის" დახვრეტა რევოლიუციის აუცილებელი თავდაცვის ზომაა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ღმერთო გვიხსენ ასეთი მეგობრებისაგან, მტრებს კი ჩვენ თვითონ გაუსწორდებით. რაც შეეხება 20 „ბრწყინვალე პირის" დახვრეტას, დეე იცოდენ საბჭოთა კავშირის მტრებმა, როგორც შინაურმა, ისე გარეშე მტრებმა, რომ პროლეტარული დიქტატურა საბჭოთა კავშირში სცოცხლობს და მისი ხელი მაგარია.

რა უნდა ითქვას ყოველივე ამის შემდეგ ჩვენი უბადრუკი ოპოზიციის შესახებ, რომელმაც კვლავ გაილაშქრა პარტიის წინააღმდეგ ახალი ომის საფრთხის წინაშე? რა უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ მან, სწორედ ამ ოპოზიციამ დროულად ჩასთვალა ომის საფრთხის გამო გააძლიეროს თავისი იერიშები პარტიის წინააღმდეგ? რა უნდა იყოს მოსაწონი იმაში, რომ იგი, იმის მაგივრად, რომ დაირაზმოს პარტიის ირგვლივ გარეშე საფრთხის წინააღმდეგ, დროულად სთვლის პარტიის წინააღმდეგ ახალი გალაშქრებისათვის გამოიყენოს საბჭოთა კავშირის მდგომარეობის სიძნელე? ნუ თუ ოპოზიცია წინააღმდეგია იმისა, რომ საბჭოთა კავშირმა გაიმარჯვოს მომავალ ომში იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ნუ თუ იგი წინააღმდეგია საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის გაძლიერებისა და ჩვენი ზურგის განმტკიცებისა? ან შეიძლება ეს არის სიმხდალე ახალი სიძნელეთა წინაშე, დეზერტირობა და სურვილი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებისა, რასაც ისინი მემარცხენე ფრაზების რახარუხით ფარავენ.

## II

## ჩინეთის შესახებ

ახლა, როდესაც ჩინეთის რევოლიუციამ ფეხი შესდგა განვითარების ახალ ხანაში, ჩვენ შეგვიძლია ერთგვარი ჯამი გავუკეთოთ განვლილ გზას და განვიხილოთ საკითხი კომინტერნის ხაზის შემოწმების შესახებ ჩინეთში.

არსებობენ ლენინიზმის რამოდენიმე ტაქტიკური პრინციპები, რომელთა აღრიცხვის გარეშე არ შეიძლება არც რევოლიუციის სწორი ხელმძღვანელობა და არც შემოწმება კომინტერნის ხაზისა ჩინეთში. ეს პრინციპები უკვე დიდი ხანია დაივიწყეს ჩვენმა ოპოზიციონერებმა. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ოპოზიციას ახასიათებს გულმავიწყობა, საჭიროა კიდევ და კიდევ გავიხსენოთ ეს პრინციპები. მე მხედველობაში მაქვს ლენინიზმის ისეთი ტაქტიკური პრინციპები, როგორიცაა: ა) ყოველ ცალკე ქვეყნის ნაციონალურ თავისებურობის და ნაციონალურ სპეციფიურობის აუცილებლად აღრიცხვა ამ ქვეყნის მუშათა მოძრაობის სახელმძღვანელო დებულების გამომუშავების დროს კომინტერნის მიერ; ბ) თვითეულ ქვეყნის კომპარტიის მიერ ყოველგვარ, თუნდაც მცირეოდენ, შესაძლებლობის აუცილებლად გამოყენება ამ ქვეყნის პროლეტარიატისთვის მასიურ მოკავშირის გამონახვის უზრუნველსაყოფად, თუნდაც ეს მოკავშირე იყოს დროებითი, მერყევი, და არასაიმედო; გ) აუცილებლად მხედველობაში მიღება იმ ჭეშმარიტების, რომ მილიონიან მასების პოლიტიკურად აღზრდისათვის საკმაო არ არის მარტო პროპაგანდა და აგიტაცია, არამედ ამისათვის საჭიროა თვით ამ მასების საკუთარი პოლიტიკური გამოცდილება.

მე ვფიქრობ, რომ ლენინიზმის ამ ტაქტიკურ პრინციპების აღრიცხვა წარმოადგენს იმ აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც შეუძლებელია მარქსისტული შემოწმება კომინტერნის ხაზისა ჩინეთის რევოლიუციაში.

განვიხილოთ ჩინეთის რევოლიუციის საკითხები ამ ტაქტიკურ პრინციპების თვალსაზრისით.

მიუხედავად ჩვენი პარტიის იდეურ ზრდისა, ჩვენს პარტიაში სამწუხაროდ, კიდევ არსებობენ განსაზღვრული ჯურის „ხელმძღვანელნი", რომელთაც გულწრფელად სწამთ, რომ ჩინეთის რევოლიუციის ხელმძღვანელობა შეიძლება, ასე ვსთქვათ, ტელეგრაფით, კომინტერნის განსაზღვრულ, ყველასაგან ცნობილ საერთო დებულებების მიხედვით, თითქოს საჭირო არ იყოს ანგარიში გაეწიოს ჩინეთის ეკონომიკის, ჩინეთის პოლიტიკურ წყობილების, ჩინეთის კულტურის, ჩვეულებების და ტრადიციების ნაციონალურ თავისებურობათ. ეს „ხელმძღვანელნი" იმით განსხვავდებიან ნამდვილ ხელმძღვანელთაგან, რომ მათ ყოველთვის აქვთ ჯიბეში ორი-სამი მზამზარეული ფორმულა, რომლებიც „სავარგისია" ყველა ქვეყნისათვის და „სავალდებულო" ყოველგვარ პირობებში. მათთვის არ არსებობს თვითეულ ქვეყნის ნაციონალურ თავისებურობის და ნაციონალურ სპეციფიურობის მხედველობაში მიღების საკითხი. მათთვის არ არსებობს საკითხი კომინტერნის საერთო დებულებათა დაკავშირებისა თვითეულ ქვეყნის რევოლიუციონური მოძრაობის ნაციონალურ თავისებურობებთან და კომინტერნის საერთო დებულებათა შეგუებისა ცალკე ქვეყნების ნაციონალურ - სახელმწიფობრივ თავისებურობებთან. მათ არ ესმით, რომ ახლა, როდესაც კომპარტიები გაიზარდენ და გარდაიქმნენ მასიურ პარტიებად, ხელმძღვანელობის მთავარ ამოცანას შეადგენს ის, რომ თვითეულ ქვეყნის მოძრაობის ნაციონალური თავისებურობანი მოხერხებულად დავაკავშიროთ კომინტერნის საერთო დებულებებთან, რათა ამით შევამსუბუქოთ და პრაქტიკულად შესაძლებელი გავხადოთ კომუნისტურ მოძრაობის ძირითადი მიზნები. აქედან გამომდინარეობს მათი ცდა ერთ შაბლონს დაუმორჩილონ ყველა ქვეყნების ხელმძღვანელობა. აქედანვე გამომდინარეობს მათი ცდა მექანიკურად დაუსახონ ცალკე ქვეყნების რევოლიუციონურ მოძრაობას რამოდენიმე საერთო ფორმულა.

ჩვენი ოპოზიციონერები სწორედ ასეთ უბადრუკ ხელმძღვანელთა რიცხვს ეკუთვნიან.

ოპოზიციას გაუგონია, რომ ჩინეთში ხდება ბურჟუაზიული რევოლიუცია. ამასთანავე მან იცის, რომ ბურჟუაზიული რევოლიუცია რუსეთში მოხდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამიტომ ჩინეთისათვის მზადდება ფორმულა: ძირს ყოველგვარი შეთანხმებული მოქმედება ბურჟუაზიასთან, და კომუნისტების დაუყოვნებლივ გამოსვლა გომინდანიდან. (აპრილი 1926 წ.). მაგრამ ოპოზიციას დაავიწყდა ის გარემოება, რომ ჩინეთი 1905 წლის რუსეთთან შედარებით წარმოადგენს ნახევრად კოლონიალურ ქვეყანას, რომელიც იჩაგრება იმპერიალიზმის მიერ; მათ ავიწყდებათ, რომ ამის გამო ჩინეთის რევოლიუცია არის არა ბურჟუაზიული რევოლიუცია ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, არამედ ბურჟუაზიული რევოლიუცია ანტი-იმპერიალისტურ ტიპის; მათ ავიწყდებათ, რომ იმპერიალიზმს ჩინეთში ხელთ უპყრია მრეწველობის, ვაჭრობის და ტრანსპორტის ძირითადი ძაფები, რომ იმპერიალიზმის მიერ იჩაგრება არა მარტო ჩინეთის მშრომელი მასები, არამედ ჩინეთის ბურჟუაზიის განსაზღვრული ფენებიც, რომ ამიტომ შეიძლება ჩინეთის ბურჟუაზიამ განსაზღვრულ პირობებში და განსაზღვრული ვადით მხარი დაუჭიროს ჩინეთის რევოლიუციას. სინამდვილეში ეს, როგორც ვიცით, ასეც მოხდა. თუ ავიღებთ ჩინეთის რევოლიუციის კანტონის პერიოდს, იან-ცზიდან გამოსვლის და გომინდანის განხეთქილების პერიოდს, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ჩინეთის ბურჟუაზია მხარს უჭერდა რევოლიუციას ჩინეთში, რომ სავსებით სწორი აღმოჩნდა კომინტერნის დებულება იმის შესახებ, რომ დასაშვებია ამ ბურჟუაზიასთან საერთო მოქმედება განსაზღვრულ პირობებში და განსაზღვრული ვადით.

აქედან შედეგი — ოპოზიციის უკან დახევა ძველი ფორმულიდან და „ახალი" ფორმულის აღიარება: ჩინეთის ბურჟუაზიასთან შეთანხმებული მოქმედება აუცილებელია და კომუნისტები არ უნდა გამოვიდენ გომინდანიდან. (1927 წ. აპრილი).

ეს იყო ოპოზიციის პირველი სასჯელი, რომელიც მას წილად ხვდა იმის გამო, რომ მას არ სურს ანგარიში გაუწიოს ჩინეთის რევოლიუციის ნაციონალურ თავისებურობათ.

ოპოზიციას გაუგონია, რომ პეკინის მთავრობა ებრძვის იმპერიალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლებს ჩინეთის საბაჟო ავტონომიის საკითხის შესახებ. ოპოზიციამ იცის, რომ საბაჟო ავტონომია პირველ ყოვლისა სჭირდება ჩინელ კაპიტალისტებს. აქედან მზა ფორმულა: ჩინეთის რევოლიუცია არის ნაციონალური და ანტი-იმპერიალისტური იმიტომ, რომ ის თავის მთავარ მიზნად ისახავს ჩინეთის საბაჟო ავტონომიის მოპოვებას. მაგრამ ოპოზიციას დაავიწყდა, რომ იმპერიალიზმის ძალა ჩინეთში მდგომარეობს უმთავრესად არა ჩინეთის საბაჟო შეზღუდვაში, არამედ იმაში, რომ მას აქვს იქ ფაბრიკები, ქარხნები, მაღაროები, რკინის გზები, გემები, ბანკები და სავაჭრო კანტორები, რომლებიც სისხლს სწოვენ მრავალ მილიონიანი ჩინეთის მუშებსა და გლეხებს. ოპოზიციას დაავიწყდა, რომ ჩინეთის ხალხის რევოლიუციონური ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ პირველ ყოვლისა და უმთავრესად აიხსნება იმით, რომ იმპერიალიზმი ჩინეთში არის ის ძალა, რომელიც მხარს უჭერს და ასულდგმულებს ჩინეთის ხალხის პირდაპირ ექსპლოატატორებს - ფეოდალებს, მილიტარისტებს, კაპიტალისტებს და ბიუროკრატებს და რომ ჩინეთის მუშებსა და გლეხებს არ ძალუძთ ამ ექსპლოატატორების დამარცხება, თუ ამავე დროს არ აწარმოეს რევოლიუციონური ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ოპოზიციას ავიწყდება, რომ სწორედ ეს გარემოება წარმოადგენს ერთ-ერთ იმ მთავარ ფაქტორთაგანს, რომლებიც შესაძლებელს ხდიან ბურჟუაზიული რევოლიუცია ჩინეთში იქცეს სოციალისტურ რევოლიუციად. ოპოზიციას ავიწყდება, რომ ის, ვინც ჩინეთის ანტი-იმპერიალისტურ რევოლიუციას აცხადებს რევოლიუციად საბაჟო ავტონომიისათვის, ის უარყოფს ჩინეთის ბურჟუაზიული რევოლიუციის სოციალისტურ რევოლიუციად გადაქცევის შესაძლებლობას, ვინაიდან ის ჩინეთის რევოლიუციის ჩინეთის ბურჟუაზიის ხელმძღვანელობას უმორჩილებს.

მართლაც ფაქტებმა გვიჩვენეს, რომ საბაჟო ავტონომია არსებითად არის ჩინეთის ბურჟუაზიის პლატფორმა, ვინაიდან ისეთი დამპალებული რეაქციონერებიც კი, როგორიცაა ჩან-ძო-ლინი და ჩან-კაი-ში, ეხლა ემხრობიან უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმებას და საბაჟო ავტონომიის დამყარებას ჩინეთში. აქედან ოპოზიციის გაორება და ცდები იმისა, რომ თავი დააძვრინოს საკუთარ ფორმულას საბაჟო ავტონომიის შესახებ, ცდები იმისა, რომ ჩუმ-ჩუმად უარჰყოს იგი და მიეკედლოს კომინტერნის პოზიციას, რომლის მიხედვით ბურჟუაზიული რევოლიუცია ჩინეთში შეიძლება გარდაიქმნას სოციალისტურ რევოლიუციად.

ეს არის ოპოზიციის მეორე სასჯელი, რომელიც მას ხვდა წილად იმის გამო, რომ მას სერიოზულად არ სურს შეისწავლოს ჩინეთის რევოლიუციის ეროვნული თავისებურებანი.

ოპოზიციას გაუგონია, რომ ჩინეთის სოფელში შეიჭრა ვაჭრული ბურჟუაზია, რომელიც მიწას აძლევს იჯარით ღარიბ გლეხობას. ოპოზიციამ იცის, რომ ვაჭარი არ არის ფეოდალი. აქედან მზა ფორმულა: ფეოდალიზმის ნაშთებს და მაშასადამე გლეხობის ბრძოლას ფეოდალიზმის ნაშთების წინააღმდეგ არა აქვს სერიოზული მნიშვნელობა ჩინეთის რევოლიუციისათვის და უმთავრესი რამ ეხლა ჩინეთში არის არა აგრარული რევოლიუცია, არამედ საკითხი იმის შესახებ, რომ ჩინეთმა სახელმწიფო-საბაჟო დამოუკიდებლობა მიიღოს იმპერიალიზმის ქვეყნებისაგან. მაგრამ ოპოზიცია ვერ ხედავს, რომ ჩინეთის ეკონომიკის თავისებურება მდგომარეობს არა იმაში, რომ ვაჭრული კაპიტალი შეიჭრა სოფელში, არამედ იმაში, რომ ფეოდალური ნაშთების ბატონობა შეფარდებულია ვაჭრული კაპიტალის არსებობასთან ჩინურ სოფელში, იმგვარ პირობებში, როცა შენარჩუნებულია ფეოდალური საშუალო საუკუნეების ექსპლოატაციისა და ჩაგვრის მეთოდი. ოპოზიციას ვერ შეუგნია, რომ მთელი ეხლანდელი სამხედრო-ბიუროკრატიული მექანიზმი ჩინეთში, რომელიც საშინლად ძარცვავს და სჩაგრავს ჩინეთის გლეხობას, არსებითად არის პოლიტიკური ზედნაშენი იმ შეფარდებისა, რომელიც არსებობს ფეოდალური ნაშთებისა და ექსპლოატაციის ფეოდალურ მეთოდებსა და სოფლად არსებულ ვაჭრულ კაპიტალს შორის. და მართლაც, ფაქტებმა შემდეგ გვიჩვენეს, რომ ჩინეთში დაიწყო უდიდესი აგრარული რევოლიუცია, რომელიც უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად ჩინეთის პატარა და დიდი ფეოდალების წინააღმდეგ იყო მიმართული. ფაქტებმა გვიჩვენეს, რომ ამ რევოლიუციის ტალღას გაჰყვა რამოდენიმე ათი მილიონი გლეხობა და მას აქვს ტენდენცია გავრცელდეს მთელ ჩინეთში. ფაქტებმა გვიჩვენეს, რომ ფეოდალები, მართლაც ცოცხალი ფეოდალები, არა მარტო არსებობენ ჩინეთში, არამედ ძალა-უფლება აქვთ ხელში ჩაგდებული, მთელ რიგ პროვინციებში: იმორჩილებენ ჯარის ხელმძღვანელ ნაწილს, იმორჩილებენ გომინდანს და იერიშები მიაქვთ რევოლიუციის წინააღმდეგ.

ამის შემდეგ უარყოფა ფეოდალური ნაშთების არსებობისა, ექსპლოატაციის ფეოდალური სისტემისა, როგორც ჩაგვრის ძირითადი ფორმისა ჩინურ სოფელში, ამის შემდეგ არ ცნობა აგრარული რევოლიუციისა, როგორც ჩინეთის რევოლიუციონურ მოძრაობის ძირითადი ფაქტისა,—ამ ჟამად ნიშნავს აშკარა ფაქტების წინააღმდეგ წასვლას. აქედან გამომდინარეობს ოპოზიციის უკან დახევა თავისი ძველი ფორმულიდან ფეოდალური ნაშთებისა და აგრარული რევოლიუციის საკითხისაკენ. აქედან—ოპოზიციის ცდა მიატოვოს თავისი ძველი ფორმულა და ჩუმად აღიაროს კომინტერნის პოზიციის სისწორე.

ეს არის ოპოზიციის მესამე სასჯელი იმის გამო, რომ მას არ სურს ანგარიში გაუწიოს ჩინეთის ეკონომიკის ნაციონალურ თავისებურობათ.

სულ ასე და ამგვარად.

წინააღმდეგობა ფორმულებსა და სინამდვილეს შორის—ასეთია ოპოზიციის უბადრუკ ხელმძღვანელების ხვედრი.

ეს წინააღმდეგობა უშუალო შედეგია იმისა, რომ ოპოზიციამ გასწყვიტა კავშირი ლენინიზმის ცნობილ ტაქტიკურ პრინციპთან, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ანგარიში უნდა გაეწიოს თვითეული ცალკე ქვეყნის რევოლიუციონური მოძრაობის ნაციონალურ-თავისებურობას და ნაციონალურ-სპეციფიურობას.

აი, როგორ აყალიბებს ლენინი ამ პრინციპს

„მთელი საქმე ამ ჟამად იმაში მდგომარეობს რომ თვითეული ქვეყნის კომუნისტებმა სავსებით შეგნებულად გაუწიონ ანგარიში როგორც ოპორტუნიზმთან და „მემარცხენე" დოქტრინიორობასთან ბრძოლის ძირითად პრინციპიალურ ამოცანებს, ისე იმ კონკრეტულ თავისებურობებს, რომელსაც ეს ბრძოლა ღებულობს და აუცილებლად უნდა ღებულობდეს კიდეც თვითეულ ცალკე ქვეყანაში, მისი ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის, მისი ნაციონალური შემადგენლობის (ინდოეთი და სხვ.), მისი კოლ

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართველ მენშევიკების გასამართლება ხარკოვში

### 29 ივლისის საღამოს (მეხუთმეტე) სხდომა

### ანჯაფარიძის დამატებითი დაკითხვა

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალურ კორესპონდენტისაგან)

სასამართლოს სხდომა იხსნება ერთი დღე ნახევრის შეწყვეტის შემდეგ. დღეს დიდძალი მაყურებლებია მოზღვავებული, მოელიან ამხ. პოპოვის სიტყვას— მთელი პროცესის რეზიუმეს.

განაჩენს არ აქვს მნიშვნელობა. უსირცხვილო ჯამუშობის ბურჟუაზიული ქვეყნების გენერალური შტაბებს მიერ მოსყიდვის და მიკიტნებისა და აშკარად ბნელი ელემენტების თავის რიგებში დარაზმვის სურათი, რომელიც გადაიშალა პროცესზე, საუკეთესო განაჩენია მენშევიზმის გახრწნილი ლეშისა და მისი დამცველ ქართულ სოციალისტურ პარტიების საცოდავ ნაშთებისათვის. პოპოვი მხოლოდ ჯამს გაუკეთებს იმას, რაც სასამართლოს პროცესზე გამოირკვა.

მაგრამ ჯერ საჭიროა ანჯაფარიძის დამატებითი დაკითხვა, რომელიც ავადმყოფობის გამო სასამართლოს უკანასკნელ სხდომას არ დასწრებია.

პოპოვი სასამართლოს სთხოვს, რომ საქმეს დაერთოს ყოფილ მენშევიკების თბილისის კონფერენციის ანგარიში. სასამართლო პოპოვის თხოვნას აკმაყოფილებს.

პოპოვი ეკითხება ანჯაფარიძეს— თქვენ განაცხადეთ, რომ თუ ბოლშევიკები დამარცხდა,—გაიმარჯვებს მონარქია, მაშასადამე ის ბოლშევიზმზე უარესია

ანჯაფარიძეს არ სურს პირდაპირ უპასუხოს და ამიტომ ლაპარაკობს: მე ვფიქრობ, რომ რუსეთში არაა ისეთი შინაგანი ძალები, რომელზეც შეეძლოს მონარქიას დაყრდნობა, ამიტომ მე მონარქიის წინააღმდეგი ვარ.

ამხ. პოპოვი დაბეჯითებით კითხავს: მაშასადამე თქვენ არ შეგიძლიათ შეადაროთ ბოლშევიზმი მონარქიზმს?

— რასაკვირველია, არა—უპასუხებს ანჯაფარიძე.

მაშინ პოპოვი აქვეყნებს ერთ ადგილს რეზოლიუციის იმ პროექტიდან, რომელიც უნდა წარედგინათ მენშევიკების ყრილობას და რომელიც აღმოჩნდა ქარციაძეს დაპატიმრების დროს.

ამ რეზოლიუციაში ნათქვამია: ბოლშევიზმს მიჰყავს მუშათა კლასი შავ-რეაქციისაკენ. ამიტომ აუცილებელია საბჭოების მიმართ იგივე ხაზი გავატაროთ, როგორსაც ატარებდა მარქსი პირველ ინტერნაციონალში მეფის რუსეთის მიმართ.

**შემდეგ პოპოვი აქვეყნებს ყრილობის მისასალმებელ რეზოლიუციის პროექტს ჟორდანიასადმი, რომელიც ჟორდანიამ თვითონვე გამოაგზავნა პარიზიდან და რომელიც ქარციაძეს აღმოაჩნდა დაპატიმრების დროს.**

— ასე ატარებენ მენშევიკები პარტიულ დემოკრატიას—დასძენს პოპოვი (დარბაზში სიცილია).

ამით თავდება სასამართლოს კვლევა-ძიება.

აკ. ჭუღნია.

## უკანასკნელი ცნობები

### სავაჭრო მოლაპარაკება საბჭოთა კავშირსა და ავსტრიის შორის

**ვენა**, 29 ივლისი. ვენის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ სააგენტომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელიც ეწინააღმდეგება პოლიციის ცნობებს და აცხადებს, რომ ლანგიელის და რაპოპორტის ჩამოსვლას არავითარი კავშირი არ აქვს ვენის ამბებთან. ლანგიელი და რაპოპორტი—ნათქვამია ცნობაში—ჩამოვიდნენ ვენის მუნიციპალიტეტთან მოსალაპარაკებლად, საბჭოთა კავშირში ექსპორტის გარანტიის შესახებ. ნაციონალურ ბანკმა და სხვა ბანკებმაც ამას წინად სურვილი გამოთქვეს განაღდონ საბჭოთა თამასუქები ვენის მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით. 16 ივლისს ამ საკითხის მოსაგვარებლად მხარეებს ხელი უნდა მოეწერათ შეთანხმებაზე. ვენის ამბების გამო, ბანკებმა უარი სთქვეს შეთანხმებისათვის ხელის მოწერაზე, რადგან შეეშინდათ არასასურველი შთაბეჭდილებების უცხოეთში, განსაკუთრებით ინგლისში. თამასუქების საგარანტიო საკითხის გადაწყვეტა გადადებულია (ადს).

### ინგლისის დელეგაციის რეზოლიუცია

**ლონდონი**, 29 ივლისი. „დეილი ტელეგრაფის" კორესპონდენტი ხაზს უსვამს რეზოლიუციის მნიშვნელობას, რომელიც შეტანილი იქნება ავგისტოში განზრახული ამსტერდამის ინტერნაციონალის სხდომაზე, ინგლისის დელეგაციის მიერ.

კორესპონდენტის სიტყვით, რეზოლიუცია იმის მაჩვენებელია, რომ ინგლისის პროფესიონალური მოძრაობის ბელადები დადგენ იმ თვალსაზრისზე, რომ მოსკოვმა უნდა იცნოს ამსტერდამის ინტერნაციონალის წესდება. საბჭოს მდივანმა განაცხადა: „ჩვენ გვსურს ამსტერდამის ინტერნაციონალის ფარგლების გაფართოება, რომ ამ ფარგლებში მოქცეული იქნეს ყველა ეროვნების პროფკავშირის ცენტრები. შეუძლებელია ანგარიში არ გაუწიოთ საბჭოთა კავშირს, ჩვენი ცდა, საბჭოთა პროფესიონალური მოძრაობის მოსაქცევად ამსტერდამის ინტერნაციონალში, ყველასათვის ცნობილია" (ადს).

### ავსტრიის მოსამართლეთა მოთხოვნილება

**ვენა**, 29 ივლისი. ავსტრიის მოსამართლეთა კავშირმა, გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიც ითხოვს „სასამართლოს დაწესებულებათა სხვა ქალაქში გადატანას, თუ ვენაში შეუძლებელია მშვიდობიანი მუშაობისათვის პირობების შექმნა" (ადს).

### პატეკის მიღება

**მოსკოვი**, 29 ივლისი. საგარეო საქმეთა კოლეგიის წევრმა—სტომონიაკოვმა, 29 ივლისს მიიღო პოლონეთის ელჩი პატეკი (ადს).

### კომუნისტების დევნა ვენაში

**ვენა**, 29 ივლისი. ავსტრიის მთავრობა, რომელიც განაგრძობს რეპრესიებს ავსტრიის კომპარტიის წინააღმდეგ, ფაქტიურად აყენებს პარტიას არალეგალურ მდგომარეობაში. რაიონებში პოლიცია რეკავს პარტიულ კრებებს. კრების მონაწილეთ ჩხრეკავენ და აპატიმრებენ. პოლიცია არ აძლევს კომპარტიას კრების მოწვევის უფლებას.

ჟურნალ „როტერ სოლდატ"-ს („წითელი ჯარისკაცი") კონფისკაცია უყვეს მოწოდების გამოქვეყნებისათვის, სადაც ჯარისკაცებს მოუწოდებდენ მუშებთან სოლიდარობისაკენ. ხელახლად გაჩხრიკეს კომპარტიის ცეკას სადგომი და „როტე ფანეს" რედაქცია.

კონფისკაცია უყვეს ბერლინელ „არბეიტერ ილუსტრირტე ცაიტუნგს", სადაც მოყვანილი იყო ვენის ამბების სურათები (ადს).

### ინგლისის მემაღაროეთა ფედერაცია

**ლონდონი**, 29 ივლისი. ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს შარშანდელ კანონის გაუქმებას 8 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ მაღაროებში.

შემდეგ მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს მთავრობისაგან ყველა იმ პირთა განთავისუფლებას, რომლებიც დღესაც ციხეებში იმყოფებიან, მემაღაროეთა გაფიცვის დროს დაწესებულ საგანგებო წესების დარღვევისათვის. დახურულ სხდომაზე კონფერენციამ განიხილა საკითხები: ფედერაციის რეორგანიზაციის შესახებ, მთლიანი კავშირის პრინციპების საფუძველზე, რუსეთ-ინგლისის კომიტეტის და კომუნისტების მუშათა პარტიაში მიღების შესახებ. პირველ საკითხზე კონფერენციამ უარყო მთლიანი კავშირის პრინციპი და მიიღო რეზოლიუცია ფედერაციის დღევანდელი ორგანიზაციის გადასინჯვის შესახებ. შოტლანდიის დელეგატებმა შემოიტანეს წინადადება ინგლის-რუსეთის მემაღაროეთა კომიტეტის დაარსების შესახებ. წინადადება უარყოფილი იქნა. კონფერენციამ შემდეგ მიიღო რეზოლიუცია „მემაღაროეთა მსოფლიო ინტერნაციონალის დაარსების შესახებ, სადაც შევლენ თანაბარ პირობებზე ყველა ქვეყნის მემაღაროეთა ორგანიზაციები.

შოტლანდიის დელეგაციის მიერ შემოტანილი წინადადება, რომელიც მხარს უჭერდა კომუნისტების მიღებას მუშათა პარტიაში, უარყოფილი იქნა 420.000 ხმის უმრავლესობით 22.000 ხმის წინააღმდეგ.

სამხრეთ უელსის დელეგატებმა კენჭის ყრაში თავი შეიკავეს (ადს).

## ბრძოლა ჩინეთში

### გომინდანი „კომუნისტური შეთქმულების" შესახებ

**ხანკოუ**, 28 ივლისი. პასუხად კომპარტიის განცხადებისა უხანის მთავრობიდან კომუნისტების გასვლის შესახებ, გომინდანის პოლიტბიუროს პრეზიდიუმმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ თავისი მოთხოვნების გომინდანის რეორგანიზაციის და ცეკაში ახალი წევრების მიღების შესახებ, კომუნისტებმა გამოააშკარავეს თავისი ზრახვები. კომუნისტებს სურდათ გომინდანის დარღვევა.

შემდეგ დეკლარაცია იუწყება:

„კომუნისტური პარტიის დეკლარაცია, სადაც ის გმობს გომინდანს, აცხადებს მას კონტრრევოლიუციონურ ორგანიზაციად და აქვეყნებს თავის გადაწყვეტილებას ნაციონალური მთავრობიდან კომუნისტების გაწვევის შესახებ, წარმოადგენს იმის საუკეთესო დასამტკიცებელ საბუთს, რომ კომუნისტებს სურთ შეთქმულების მოწყობა გომინდანის წინააღმდეგ. ნაციონალური მთავრობა წარმოადგენს გომინდანის უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოს. ნაციონალური მთავრობიდან გასვლა, ამავე დროს ნიშნავს გასვლას გომინდანის რიგებიდან. ამიტომ ნაციონალური მთავრობიდან გასვლასთან ერთად კომუნისტები უნდა გავიდენ აგრეთვე ყველა სახელმწიფო ორგანოებიდან და დაწესებულებიდან". (ადს).

### ნანკინის მანევრები

**შანხაი**, 28 ივლისი. ნანკინის მთავრობამ გამოაქვეყნა ფუფუნების საგნების სია, რომელზედაც დადებული იქნება საბაჟო გადასახადი საქონლის ღირებულების 15-დან—57 ნახ. პროცენტის რაოდენობით. ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში ძლიერ დაინტერესებული არიან საკითხით—იცნობს თუ არა საზღვაო საბაჟო ახალ ტარიფებს და თუ არა, რა ზომებს მიიღებენ უცხო სახელმწიფოები ნანკინის მთავრობის დეკრეტების წინააღმდეგ.

ადგილობრივი ამერიკული წრეების აზრით, ნანკინის მთავრობის ახალი ფინანსიური ღონისძიებების მიზანია დააწყებინონ უცხო სახელმწიფოებს მოლაპარაკება ნანკინთან. (ადს).

### აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიზნით

**შანხაი**, 28 ივლისი. ჩამოვიდა იაპონიის სამხედრო მინისტრის ამხანაგი ტაკეუჩი. პრესის ცნობით, ტაკეუჩი ჩამოვიდა მდგომარეობის შესასწავლად და ჩინეთის ცნობილ მოღვაწეებთან აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის. (ადს).

### ნანკინის ჯარების უკან დახევა

**შანხაი**. 28 ივლისი. ამერიკის გაზეთების კორესპონდენტების ცნობით, ნანკინის ჯარები ევაკუაციას უწევენ შანდუნს და სიუჩოუს და ცზიანსუს პროვინციისაკენ მიემართებიან.

რეიტერის ცნობით ანგოცზიუნის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჩან-ძო-ლინის და ჩან-კაი-შის შორის მიღწეულია შეთანხმება, რომლის მიხედვით ნაციონალური ჯარები სიუჩოუდან სამხრეთისაკენ იხევენ და სიუჩოუს და პუკოუს შორის მდებარე ტერიტორია დროებით ცხადდება ნეიტრალურ ზონად. (ადს)

## ამერიკის პროფკავშირთა დელეგაცია საბჭოთა კავშირში

**ნიუ-იორკი**, 28 ივლისი. დღეს საბჭოთა კავშირში გაემგზავრა ამერიკის პროფკავშირების დელეგაცია. დელეგაცია ლენინგრადში ჩამოვა 15 აგვისტოს და საბჭოთა კავშირში დარჩება ერთ თვემდე. დელეგაციაში შედიან: **ჯეიმს მაურერი** პენსილვანიის შტატის შრომის ფედერაციის თავმჯდომარე და სოციალისტური პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი; **ჯონ ბროფი**, მემაღაროეთა კავშირის პენსილვანიის ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარე; **ალბერტ კოპელი**, მემანქანეთა კავშირის ორგანოს რედაქტორი და სხვები.

დელეგაციას თან მოჰყვება ეკონომისტების ჯგუფი, მათ შორის **სტიუარტ ჩეიზი**—შრომის ეკონომიკის გამოსაკვლევი ბიუროს დირექტორი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორები პევველი, ბრონზნერი, გოპკინსი; ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორები—დუგლასი და სხვები.

დელეგაციაში შევა აგრეთვე, აქამად საბჭოთა კავშირში მყოფი პროფესორი **ჯერომ დევისი**.

ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარის **გრინის** გამოსვლა, დელეგაციის საბჭოთა კავშირში გამგზავრების წინააღმდეგ, მისი მუქარა დელეგაციის მონაწილეთა მიმართ და ძალდატანება, რომელიც მან იხმარა პროფკავშირების წინააღმდეგ, ზოგიერთ პროფკავშირის მოღვაწეთ ხელი აალებინეს საბჭოთა კავშირში გამგზავრებაზე.

ყველა დელეგატები მოდიან საბჭოთა კავშირში, როგორც კერძო პირები და არ აქვთ არავითარი ოფიციალური რწმუნება თავიანთი ორგანიზაციებისაგან. (ადს).

## შრომის საყოველთაო კონფედერაციის ყრილობა

**პარიზი**, 28 ივლისი. შრომის საყოველთაო კონფედერაციის ყრილობაზე მრავალმა ორატორმა გააკრიტიკა კონფედერაციის ხელმძღვანელთა შეთანხმებლური პოლიტიკა. ორატორთა შორის გამოვიდა ძველი სინდიკალისტი, კინტალის კონფერენციის მონაწილე **ბურდერონი**.

27 ივლისის სხდომის ცენტრალური მომენტს შეადგენდა პარიზის რაიონის სახელმწიფო რკინის გზების მოსამსახურეთა დელეგატის გამოსვლა, რომელიც **მოითხოვდა პროფმოძრაობის მთლიანობას**. განაცხადა რა, რომ ის არ ეთანხმება კომუნიზმსა და „მთლიანობის მეგობართა ჯგუფს", ორატორი იცავდა პარიზის რაიონის პლატფორმას მთლიანობის განხორციელების შესახებ ყოველგვარ გამორიცხვის გარეშე უნიტარული კონფედერაციის საწევრო ბილეთების უბრალო გადაცვლით საყოველთაო კონფედერაციის საწევრო ბილეთებზე. შემდეგ ორატორმა დაგმო პოზიცია ყრილობის უმრავლესობისა, რომელიც **„ვერ ბედავს მთლიანობის წინააღმდეგ აშკარად გალაშქრებას და ცდილობს ფარულად გაუწიოს მას საბოტაჟი"**.

პარიზის რაიონის რკინისგზელთა წარმომადგენლის გამოსვლას მქუხარე ტაშით შეეგება ყრილობის უმცირესობა.

### ცეკას ანგარიში მოიწონეს

შრომის საყოველთაო კონფედერაციის ყრილობაზე ცეკას ანგარიშს ხმა მისცეს: სასარგებლოდ—4.856 დელეგატმა, (ხმის მიცემა სწარმოებდა მანდატების მიხედვით), წინააღმდეგ—138, თავი შეიკავა—26. (ადს).

## ამერიკის ინტერვენცია ნიკარაგუაში

**ნიუ-იორკი**, 28 ივლისი. ნიკარაგუაში, შეერთებული შტატების საზღვაო ფეხოსანმა ჯარმა კვლავ დაიწყო ბრძოლა გენერალ სანდინოს მომხრეებთან. ბრძოლის დროს მოკვდა 7 კაცი ბევრი დაიჭრა.

ანტი იმპერიალისტურმა ლიგამ და მრავალმა მემარცხენე ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს სასტიკი პროტესტი „ნიკარაგუას მოსახლეობის მხეცური განადგურების" წინააღმდეგ. (ადს)

## პილსუდსკის რესპუბლიკაში

### პოლონეთის ოფიციოზი კავერდას შესახებ

**ვარშავა**, 28 ივლისი. „მესაჟერ პოლონე" (ოფიციოზი) სწერს:

„თუ კავერდას არ მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, ეს იმის მაჩვენებელია, რომ სასამართლომ ანგარიში გაუწია შემამსუბუქებელ გარემოებათ. პრეზიდენტმა — კი ზედმეტად იცნო ამ გზის გაღრმავება.

ამას ჩვენ დაუმატებთ, რომ კავერდას აქვს შანსები იმისა, რომ მას შეუმსუბუქებენ სასჯელს, თუ დაიმსახურა ასეთი რამ, თავისი ყოფაქცევით. (ადს).

### კატასტროფა მაღაროში

**ვარშავა**, 28 ივლისი. დომბროვის ნახშირის რაიონში მუშაობის დროს მაღაროებში მოხდა აფეთქება. მაღაროებში მყოფი მუშები დაიღუპნენ. ჯერ-ჯერობით გამოტანილია 3 მუშის გვამი. (ადს)

### პილსუდსკი გაემგზავრა ვილნოში

**ვარშავა**. 28 ივლისი. პილსუდსკი გაემგზავრა ვილნოში, სადაც დაათვალიერებს სამხედრო ნაწილებს. (ადს)

### „ვილენსკის სიტყვის" არგუმენტები

**ვარშავა**, 28 ივლისი. სანამ პრეზიდენტი გამოაქვეყნებდა უარს კავერდასთვის დანაშაულის პატიების შესახებ, „ვილენსკის სიტყვამ" გამოაქვეყნა წერილი, რომელიც გადაჭრით ითხოვდა კავერდასათვის დანაშაულის პატიებას. წერილი აღნიშნავს, რომ კავერდასათვის დანაშაულის პატიების შემთხვევაში, პოლონეთს შიში არ უნდა ქონდეს საბჭოთა კავშირთან ომის, რადგან „როცა საბჭოთა მთავრობამ დახვრიტა ბუტკევიჩი, ომი არ მომხდარა".

„ვილენსკის სიტყვა" — იუსტიციის მინისტრთან — მეიშტოვიჩთან ახლოს მდგომი ორგანოა, (ადს)

### კომუნალური არჩევნები პრუშკოვში

**ვარშავა**, 28 ივლისი. ქალაქ პრუშკოვში. სადაც კომუნალურ არჩევნებში გაიმარჯვა მემარცხენე მუშათა სიამ, არჩეულ პრეზიდენტის მაგიერ დანიშნულია მთავრობის კომისარი. მემარცხენე პარტიის და პპესის დააკლდათ ერთი ხმა, რომ თავისი პრეზიდენტი აერჩიათ.

## ინგლისის სამთომადნო მუშების ფედერაციის კონფერენცია

**ლონდონი**, 28 ივლისი. სამთა-მადნო მუშების სრულიად ინგლისის ფედერაციის კონფერენციამ განიხილა რეზოლიუცია პროფკავშირების ახალი კანონის შესახებ. რეზოლიუცია გმობს კანონს, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ შეაფერხოს „შემდგომი დემოკრატიული პროგრესი" და მრეწველობის ყველა დარგების მუშებს მოუწოდებს გაერთიანებისაკენ, რათა არ დაუშვან კანონის განხორციელება.

სამხრეთ უელსის დელეგატმა **მენუერინგმა** განაცხადა, რომ პროფკავშირების წევრებს სურთ იცოდენ, თუ როგორ უნდა იბრძოლონ კანონის წინააღმდეგ, ამიტომ აუცილებელია ან ახლავე მოეწყოს საერთო გამოსვლა ახალი კანონის წინააღმდეგ, ან და დაევალოს პროფკავშირების გენერალურ საბჭოს მოიწვიოს კონფერენცია, რომელიც უზრუნველყოფს ყველა პროფკავშირების საერთო გამოსვლას, როგორც კი რომელიმე მათგანის წინააღმდეგ მიმართავენ ახალი კანონით გათვალისწინებულ რეპრესიებს.

სამხრეთ უელსის დელეგატმა **ხორნერმა** (კომუნისტია) განაცხადა:

„პროფკავშირებმა არ უნდა დაუცადონ, სანამ კანონი ძალაში შევა. მემაღაროებმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ ბრძოლა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვიხდება ყველა იმ პირობებზე დათანხმება, რომელსაც მაღაროების ფლობელნი მოისურვებენ. კიდეც რომ მუშათა მთავრობის ხელში გადავიდეს ხელისუფლება, რა გარანტია გვაქვს ჩვენ, რომ ის ისევე არ იმოქმედებს, როგორც ეხლანდელი მთავრობა, რომელმაც გამოიყენა კანონი განსაკუთრებული მდგომარეობის შესახებ? ჩვენ არ უნდა დავემყაროთ მუშათა მთავრობის შედგენის შესაძლებლობას. სავსებით მოსალოდნელია, რომ მუშური მთავრობის პოლიტიკა და მემაღაროეთა ინტერესები საწინააღმდეგო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, თუ ჩვენ ხსნა გვინდა, ჩვენ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ვიქონიოთ. ჩვენ არ უნდა შევჩერდეთ ბრძოლის „არაკონსტიტუციონური" საშუალებების წინაშე. კანონი პროფკავშირების შესახებ ფედერაციას არალეგალურ გზაზე აყენებს".

დასასრულ, ხორნერმა განაცხადა, რომ გენერალურმა საბჭომ უნდა მოიწვიოს კონფერენცია, რომელმაც უნდა გამოიტანოს დადგენილება, რომ მიემართოთ მწარმოებლებთან ბრძოლის ერთად ერთ რეალურ საშუალებისათვის, ე. ი. გამოვაცხადოთ საყოველთაო გაფიცვა.

ბოლოს გამოვიდა **ჰებერტ სმიტი**, რომელმაც განაცხადა:

„ხორნერის მხრივ არ არის რიგიანი ღია სხდომით სარგებლობა, რომ გამოსთქვას ასეთი აზრები. ხორნერს შეუძლია ეს აზრები გაატაროს ფედერაციის აღმასკომში მთელი წლის განმავლობაში (ხორნერი ამას წინად სამხრეთ უელსიდან არჩეული იქნა სრულიად ინგლისის ფედერაციის აღმასკომში). დაგვანახეთ თქვენი ენერგია და ენტუზიაზმი პატიოსანი გზით—მიმართა ხორნერს სმიტმა, თქვენ მეტი ზიანი მოგაქვთ, ვიდრე სპენსერს (მუშათა მოძრაობის ცნობილი მემარჯვენე მოღვაწე, რომელმაც ნოტინგემშირში დაარსა მემაღაროეთა „არაპოლიტიკური" კავშირი, რომელმაც გაფიცვის დროს სეპარატიული შეთანხმება დასდო მაღაროების მფლობელებთან). როცა მე მთავრობა წამართმევს ხმის უფლებას და შესაძლებლობას მივიღო მონაწილეობა პროგრესში, მაშინ მე თქვენთან ვიქნები. მოიქეცით ისე, როგორც წესია; თუ არ გსურთ გაუყვეთ ფედერაციის პოლიტიკას, მაშინ მიბრძანდით".

შემდეგ სმიტმა განაცხადა, რომ მუშები მზად არიან პოლიტიკური ბრძოლისათვის; თუ კი ფედერაციის შიგნით „შეხლა-შემოხლა" შეწყდა, მაშინ მუშები მალე იქნებიან მზად გამოიყენონ ბრძოლის პროფესიონალური საშუალებები.

კამათის დასრულების შემდეგ რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთხმად.

საჭიროა აღინიშნოს, რომ კონფერენცია სავსებით მემარჯვენე ფრთის ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფება.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის ერთ-ერთმა მოსაუბრემ, კონფერენციაზე შექმნილ განწყობილების დახასიათების დროს განაცხადა, რომ ხორნერის გამოსვლა იყო „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

მეორე მოსაუბრემ სთქვა, რომ კონფერენციის რეზოლიუცია მოასწავებს ახალი კანონის წინააღმდეგ ბრძოლაზე საბოლოოდ უარის თქმას, ვინაიდან მასში არ არის აღნიშნული ბრძოლის კონკრეტიული მეთოდები. რეზოლიუციის მიხედვით, კონფერენცია იმედს ამყარებს მაკდონალდის დაპირებაზე, რომ ის გააუქმებს კანონპროექტს თუ ხელისუფლებას დაუბრუნდა.

გაიმართა კონფერენციის დახურული სხდომა, რომელზედაც, როგორც გადმოგვცემენ, ირჩეოდა საკითხები ინგლის-რუსეთის კომიტეტისა და კომუნისტების მუშათა პარტიაში მონაწილეობის შესახებ. მსჯელობის შედეგების შესახებ ჯერ-ჯერობით ცნობა არაა. (ადს).

## „ლიბერალური" წესწყობილება რუმინეთში

**ვენა**, 28 ივლისი. რუმინეთის ეროვნულ გლეხთა პარტიის ბელადმა **მანიუსმა** პარლამენტში წამოაყენა მოთხოვნილება პარლამენტის დათხოვნის და ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ; ამის გამო წინააღმდეგობა ეროვნულ გლეხთა პარტიებსა და ლიბერალებს შორის გამწვავდა.

ეროვნულ გლეხთა პარტიის წევრთა მასიური კრების მოწვევის გამო ბუქარესტის სამხედრო ხელისუფლების მიერ მიღებულია სათანადო ზომები. ჯარისკაცები, რომლებიც შვებულებაში იმყოფებოდნენ, დაბრუნებული იქნენ თავიანთ ნაწილებში; ბუქარესტის ყაზარმებში ჯარის ნაწილები მუდამ მზათ არიან სამოქმედოთ.

ბუდაპეშტის გაზეთები აქვეყნებენ ახალ დაწვრილებით ცნობებს იმ ზომების შესახებ, რომელიც მიღებული ჰქონდა რუმინეთის მთავრობას მეფე ფერდინანდის გარდაცვალების პირველ დღეებში. **მინისტრთა საბჭოს განკარგულებით მთელს სემიგრადიაში დააპატიმრეს უამრავი ხალხი განსაკუთრებით ოპოზიციონურ წრეებთან და ნაც-ლურ უმცირესობათა შორის.** დაპატიმრებულები ითვლებოდნენ მძევლებათ. დაპატიმრებულები მალე გაანთავისუფლეს, მაგრამ ჩამოართვეს მათ ხელწერილი იმის შესახებ, რომ ისინი თავის ნებით არსად გაემგზავრებოდენ სემიგრადიიდან. დაპატიმრებულთა რიცხვში იყვნენ კათოლიკური სამღვდელოების წარმომადგენლებიც, რომლებიც აიძულეს გადაეხადათ პანაშვიდი მეფის გარდაცვალების გამო. (ადს)

## საბჭოთა კავშირში

### ნავთის გადამუშავება

**მოსკოვი**, 29 ივლისი. ამჟამად სახელმწიფო სათბობის მასალების მთავარი სამმართველო იხილავს საკითხს ნავთის გადამუშავების შესახებ.

როგორც ცნობილია, შავი ზღვის ნაპირზე შენდება ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები იმ ნავთის პროდუქტებისათვის, რომელიც იგზავნება იქ ბაქო-ბათომის და გროზნო-ტუაპსის ნავთ-სადენის საშუალებით. მაგრამ ეს საკითხს არ სწყვეტს და ახლო მომავალში საჭირო იქნება ახალი ქარხნების აშენება შინაური ბაზრების პროდუქტებისათვისაც. ამასთან დაკავშირებით წამოყენებული იქნა საკითხი ახალი ნავთის გადამამუშავებელი ქარხნების აშენების შესახებ, საბჭოთა კავშირის ცენტრში, ნავთის მომხმარების რაიონში.

სახელმწიფო სათბობის მთავარმა სამმართველომ პრინციპიალურად მიზანშეწონილად იცნო ეს ღონისძიება და გადასწყვიტა უახლოეს მომავალში დაამუშავოს და შეისწავლოს საკითხი ნავთის ტრესტებთან და ნავთის სინდიკატთან ერთად. საბოლოო დადგენილების გამოტანა ამ პრობლემის გადასაწყვეტად მიენდობა სამეცნიერო-ტეხნიკურ საბჭოს. (ადს).

### მოგებიანი სესხის ტირაჟი

**მოსკოვი**, 29 ივლისი. 1-იდან 8 აგვისტომდე მოსკოვში გლეხის ცენტრალურ სახლში მოხდება საგლეხო მოგებიანი სესხის მე-7-ე ტირაჟი.

1927 წლის მოგებიანი სესხის მეორე ტირაჟი მოხდება 15—16 აგვისტოს დონის როსტოვში. (ადს)

### იაპონელი მოსწავლენი მოსკოვში

**მოსკოვი**, 29 ივლისი. ჩამოვიდა იაპონელ მოსწავლეთა ჯგუფი 15 კაცის შემადგენლობით. მოსწავლეთა ჯგუფს მეთაურობს იაპონიის პარლამენტის წევრი ნიკომურა. ექსკურსიას შეხვდენ იაპონიის საელჩოს წარმომადგენლები, უცხოეთთან კულტურული კავშ. საზოგადოების წარმომადგენლები და პროლეტარული სტუდენტების ცენტრალური ბიუროს წარმომადგენლები.

მოსკოვიდან ექსკურსია გაემგზავრება ლენინგრადში, შემდეგ ფინეთში, შვეციაში და გერმანიაში და მოსკოვით ისევ იაპონიაში დაბრუნდება. (ადს)

## ამხ. ვოროშილოვის ბრძანება

**მოსკოვი**, 29 ივლისი. სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარის—ამხ. ვოროშილოვის ხელისმოწერით გამოქვეყნდა შემდეგი ბრძანება:

„20-დან—25 ივლისამდე—ნათქვამია ბრძანებაში—პირადათ მივიღე მონაწილეობა საზღვაო ლაშქრობაში, დავათვალიერე კრონშტადტის რეიდი, ნავთსადგური, ციხე-სიმაგრის რაიონი და ჩემს თავს მოვალედ ვსთვლი, რომ დიდი კმაყოფილებით აღვნიშნო ბალტიის ფლოტის აღორძინება. ბალტიის ფლოტი თავისი საომარი დამხმარე გემების შემადგენლობით, ისევ წარმოადგენს მრისხანე საომარ ძალას, რომელსაც შეუძლია ღირსეულად შეხვდეს ყველას, ვინც მტრული მიზნებით შეეცდება ოქტომბრის რევოლიუციის ბრწყინვალე ქალაქზე თავდასხმას.

წითელ ფლოტელებმა, კომანდირებმა და პოლიტმუშაკებმა ლაშქრობაში გვიჩვენეს საკმაოდ დამაკმაყოფილებელი სამხედრო ცოდნა. **წითელფლოტელებს ეტყობათ დიდი პოლიტიკური შეგნება და წითელი არმიის და ფლოტის წინაშე წამოჭრილ ამოცანების ნათლად გაგება. ისინი მზად არიან მშრომელთა ინტერესებისათვის თავის შესაწირად.**

საშიშროებაში მათი მორალური სიმტკიცის გამოცდამ ბრწყინვალე შედეგები გამოიღო და გვიჩვენა რევოლიუციონური სულის სიჭარბე და სიმამაცე.

დასასრულში, ბრძანება აღნიშნავს რა ზოგიერთ ნაკლებს შემდეგს ამბობს: „კრონშტადტი უნდა გახდეს საბჭოთა კავშირის მიუვალ საზღვაო ნავთსადგურად. ბალტიის წითელი ფლოტი ძლიერ საფრთხედ უნდა იყვეს საბჭოთა რესპუბლიკის მტრებისათვის. ყოველგვარი ნაკლი სასწრაფოდ უნდა იქნას გამოსწორებული.

საკავშირო რევოლიუციონური სამხედრო საბჭო, მადლობას უხდის რა ბალტიის ფლოტის და განსაკუთრებით საომარი გემების ყველა პირად შემადგენლობას, დარწმუნებულია მასში, რომ ბალტიის წითელი ფლოტი თავისი მიღწევების შემდეგი გაუმჯობესებით პატიოსნათ შეასრულებს ბრძოლის ამოცანებს". (ადს).

## 1905 წელში დაბადებულთა ჯარში გაწვევის გამო

**მოსკოვი**, 29 ივლისი. 1905 წელში დაბადებულთათვის წითელ არმიაში და ფლოტში გაწვევის გამო, საკავშირო ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ცეკამ, წინადადება მისცა ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ აქტიურად მოემზადონ გაწვევის ჩასატარებლად, ფართე საგიტაციო კამპანია აწარმოონ ქალაქის და სოფლის ახალგაზრდობაში, რათა უკანასკნელთ აუხსნან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მოახლოებული საფრთხე და ქვეყნის თავდაცვის გაძლიერების აუცილებლობა. (ადს).

## ანენკოვის საქმე

**სემიპალატინსკი**, 29 ივლისი. სასამართლოში გრძელდება ანენკოვის დაკითხვა. სასამართლოს კვლევა-ძიების დროს ანენკოვი იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის წინანდელ ჩვენებებზე. მაგ., ის აღიარებს, რომ ცისფერ ულანებიდან და შავ გუსარებიდან მან საგანგებო დამსჯელი რაზმი შეადგინა: მის რაზმში არავითარი მეგობრული ურთიერთობა არ არსებობდა ჯარისკაცებისა და ოფიცრების შორის, სამაგიეროდ განვითარებული იყო მუშტიკრივი. შემდეგ ანენკოვი ცნობებს იძლევა უცხოეთის ჯარების მოქმედების შესახებ სამოქალაქო ომის დროს ციმბირში. ის ამბობს, რომ ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის და სამხრეთ - სლავიის მისიებს მეთაურობდა ინგლისელი გენერალი ნოქსი. მისიები თეთრგვარდიელებს აწვდიდენ იარაღებს და სხვადასხვა მოწყობილობებს. ციმბირში იმყოფებოდენ აგრეთვე ინგლისის, იტალიის, რუმინეთის, პოლონეთის და სერბიის ჯარები. ვლადივოსტოკის სამხედრო სკოლას მეთაურობდა ლოკერ-ლემპსონი, შემდგომარეთა ეხლანდელი ბელადი. მისიები აწარმოებდენ კონტრდაზვერვის მუშაობას. კოლჩაკი ბრმა შემსრულებელი იყო ნოქსის სურვილების.

1918 წლის ნოემბერში უცხოელები პირველად შეეცადენ ანენკოვთან მისვლას, მაგრამ უკანასკნელი განზე გაუდგა მათ. 1919 წელში ანენკოვთან მივიდა ფრანგი პოლკოვნიკი დიუკელი, რომელმაც დაათვალიერა მისი მუშაობა. უცხოელებთან სხვაგვარ კავშირს ანენკოვი უარყოფს. (ადს)

## ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

### აზერბეიჯანი

### გაზის შადრევანი

**ბაქო**, [illegible] ივლისი. ჩილდაგის რაიონში პირველი ნომრის ჭაბურღილი შეხვდა გაზის ფენას. ფეთქავს გაზის შადრევანი. (ადს).

### ტვირთი ნიჟეგოროდის ბაზრობაზე

**ბაქო**, [illegible] ივლისი. „კასპარამ" მიიღო პირველი წინადადება ნიჟეგოროდის ბაზრობაზე 2.000 ტონა ტვირთის გადაზიდვის შესახებ.

### ნავთიანი ადგილები ბიბი-ეიბატში

**ბაქო**, [illegible] ივლისი. ბიბი - ეიბატის ახლოს, იქ სადაც სასაფლაოა, აზნავთმა დადგა მესამე ჭაბურღილი. საცდელმა ექსპლოატაციამ დიდი შედეგები გამოიღო ბიბი-ეიბატის ზემო რაიონში. აღმოჩნდა ნავთის დიდი მარაგი. (ად).

### სპარსეთის ბამბა

**ბაქო**, [illegible] ივლისი. ბაქოში ჩამოსულმა სპარსეთის მებამბეების კომიტეტის გამგეობის წევრმა ნევზიმა განაცხადა, რომ ბამბის მოსავალი სპარსეთში მ-წ. უდრის 600.000 ფუთს. ფართოდ გავრცელებულია ამერიკულ მაღალ ხარისხოვან თესლის ხმარება სპარსეთში. ზენდერგიაზში დამთავრდა ბამბის საწმენდი ქარხნის აგება. ქარხანა ამჟამად ამუშავებულია. თავისი სიდიდით ქარხანა პირველია სპარსეთში. ის მოწყობილია საბჭოთა მანქანებით. (ადს).

---

ნიების და მისი სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის ორიგინალურ მხარეებთან შეფარდებით.

ყველგან საგრძნობი ხდება, რომ ფართოვდება და იზრდება მეორე ინტერნაციონალით გამოწვეული უკმაყოფილება იმის გამო, რომ ის იჩენს ოპორტუნიზმს, ვერ ახერხებს ან არ ძალუძს შექმნას ნამდვილად ცენტრალიზებული და ნამდვილად ხელმძღვანელი ცენტრი, რომელიც შესძლებს მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკისათვის მებრძოლ რევოლიუციონურ პროლეტარიატის საერთაშორისო ტაქტიკის წარმართვას. საჭიროა ნათლად გავერკვეთ იმაში, რომ ასეთი ხელმძღვანელ ცენტრის შექმნა შეუძლებელია ბრძოლის ტაქტიკურ წესების ერთ შაბლონზე დაყენებით და მექანიკური გათანაბარებით სანამ არსებობენ ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი განსხვავებანი ხალხებს და ქვეყნებს შორის—ეს განსხვავებანი კი დარჩებიან კიდევ ძლიერ დიდხანს, პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების შემდეგაც კი მსოფლიო მასშტაბით. ყველა ქვეყნების კომუნისტური მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური ტაქტიკის მთლიანობა მოითხოვს არა ამ განსხვავების [illegible], არა ნაციონალურ განსხვავების მოსპობას (ეს სულელური ოცნებაა დღევანდელ მომენტისათვის), არამედ კომუნიზმის ძირითად პრინციპების (საბჭოთა ხელისუფლება, პროლეტარიატის დიქტატურა) ისეთ გამოყენებას, რომელიც სწორად შეუცვლიდა სახეს ამ პრინციპების კერძო მხარეებს და სწორად შეაგუებდა და გამოიყენებდა ამ პრინციპებს ნაციონალურ და ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ განსხვავებებთან. ყოველ ქვეყნის კონკრეტულ ნაციონალურ თავისებურობათა და ნაციონალურ-სპეციფიურობათა გამოკვლევა, შესწავლა და გამოძებნა იმ ინტერნაციონალურ ამოცანის გადასაჭრელად, მუშათა მოძრაობის შიგნით ოპორტუნიზმის და მემარცხენე დოქტრინერობის დასამარცხებლად და ბურჟუაზიის დასამხობად, საბჭოთა რესპუბლიკის და პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად —აი, რაში მდგომარეობს მთავარი ამოცანა იმ ისტორიულ მომენტისა, რომელსაც განიცდიან ყველა მოწინავე (და არა მარტო მოწინავე) ქვეყნები". (ლენინი „მემარცხენეობის „საყმაწვილო სენი" კომუნიზმში" ტ. 17. გვ. 178-179).

კომინტერნის ხაზი არის ლენინიზმის ამ ტაქტიკურ პრინციპის აუცილებლად მხედველობაში მიღების ხაზი.

ოპოზიციის ხაზი კი პირიქით არის ამ ტაქტიკურ პრინციპის სავსებით უარყოფის ხაზი.

სწორედ ამ უარყოფაში მდგომარეობს ძირითადი მიზეზი ოპოზიციის სავალალო შეცდომებისა ჩინეთის რევოლიუციის ხასიათის და პერსპექტივების საკითხებში.

განვიხილოთ ლენინიზმის მეორე ტაქტიკური პრინციპი.

ჩინეთის რევოლიუციის ხასიათისა და პერსპექტივებიდან გამომდინარეობს საკითხი პროლეტარიატის მოკავშირეთა შესახებ მის ბრძოლაში რევოლიუციის გასამარჯვებლად.

საკითხი პროლეტარიატის მოკავშირეების შესახებ ჩინეთის რევოლიუციის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. ძლიერი მოწინააღმდეგეები დგანან ჩინეთის პროლეტარიატის წინაშე: დიდი ფეოდალები, ძველი და ახალი მილიტარისტების სამხედრო-ბიუროკრატიული მექანიზმი, კონტრ-რევოლიუციონური ეროვნული ბურჟუაზია, აღმოსავლეთისა და დასავლეთის იმპერიალისტები, რომლებმაც ხელთ იგდეს ჩინეთის სამეურნეო ცხოვრების ძირითადი დარგები და რომლებიც ჩინეთის ხალხის გაყვლეფის უფლებას ამტკიცებენ თავისი ჯარითა და ფლოტით. ამ ძლიერ მოწინააღმდეგეთა გასანადგურებლად აუცილებელია პროლეტარიატის მოქნილი და გონიერი პოლიტიკა, უნარი იმისა, რომ გამოყენებულ იქნეს ყოველი განხეთქილება მოწინააღმდეგეთა ბანაკში, უნარი მოკავშირეთა გამოძებნისა ამ შემთხვევაშიაც კი, რომ ეს მოკავშირენი არიან მერყევი. მოკავშირენი, ხოლო იმ პირობით, რომ ეს მოკავშირენი უნდა იყვნენ მასიური მოკავშირენი და რომ ისინი არ ზღუდავდენ პროლეტარიატის პარტიის რევოლიუციონურ პროპაგანდას და აგიტაციას, არ უნდა ზღუდავდენ ამ პარტიის მუშაობას მუშათა კლასისა და მშრომელთა მასების დარაზმვისათვის. ასეთი პოლიტიკა არის ლენინიზმის მეორე ტაქტიკური პრინციპის ძირითადი მოთხოვნილება. თუ ასეთი პოლიტიკა არ იქნა წარმოებული, შეუძლებელია პროლეტარიატის გამარჯვება. ოპოზიციას ასეთ პოლიტიკას სთვლის შემცდარად და ანტილენინურად. მაგრამ ეს მოწმობს მხოლოდ იმას, რომ მან დაჰკარგა ლენინიზმის უკანასკნელი ნაშთები და რომ იგი ისე დაშორებულია ლენინიზმისაგან, როგორც ზეცა დედამიწისაგან.

ყავდა თუ არა ჩინეთის პროლეტარიატს ასეთი მოკავშირენი ახლო წარსულში? დიახ, ყავდა.

რევოლიუციის პირველი ეტაპის პერიოდში, როცა რევოლიუცია იყო საერთო ნაციონალური გაერთიანებული ფრონტის რევოლიუცია (კანტონის პერიოდი) პროლეტარიატის მოკავშირენი იყვნენ გლეხობა, ქალაქის ღარიბი მოსახლეობა, წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია და ნაციონალური ბურჟუაზია. მაგრამ ჩინეთის რევოლიუციონური მოძრაობის თავისებურებანი მდგომარეობს იმაში, რომ ამ კლასების წარმომადგენელნი კომუნისტებთან აწარმოებდენ ბრძოლას და იმყოფებოდენ ერთ ბურჟუაზიულ-რევოლიუციონურ ორგანიზაციაში, რომელსაც ეწოდებოდა გომინდანი. ეს მოკავშირენი არ იყვნენ და არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ერთნაირად საიმედო მოკავშირენი. ზოგი მათგანი იყო ცოტად თუ ბევრად საიმედო მოკავშირე (გლეხობა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა), ზოგი იყო ნაკლებ საიმედო და მერყევი (ბურჟუაზიული ინტელიგენცია) და ზოგი კი სრულიად არასაიმედო (ეროვნული ბურჟუაზია). გომინდანი მაშინ უდავოდ იყო ცოტად თუ ბევრად მასიური ორგანიზაცია.

კომუნისტების პოლიტიკა გომინდანის შიგნით მდგომარეობდა იმაში, რომ გაემართოვებია ნაციონალურ ბურჟუაზიის წარმომადგენლები (მემარჯვენენი) და გამოეყენებია ისინი რევოლიუციის ინტერესებისათვის, მარცხნივ გადაეხარა წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია (მემარცხენეები) და პროლეტარიატის გარშემო შეეკავშირებია გლეხობა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა. იყო თუ არა მაშინ კანტონი ჩინეთის რევოლიუციონურ მოძრაობის ცენტრი? უსათუოდ იყო. ამის უარყოფა ახლა შეუძლია მხოლოდ გონება-დაკარგულს. როგორია კომუნისტების მოღვაწეობა ამ პერიოდში?—რევოლიუციის ტერიტორიის გაფართოება, რამდენადაც კანტონის ჯარები გამოვიდენ იანცზიზე, პროლეტარიატის ორგანიზაციულად შეკავშირების შესაძლებლობა (პროფკავშირები, გაფიცვის კომიტეტები), კომუნისტურ ორგანიზაციების პარტიად ჩამოყალიბება, გლეხურ ორგანიზაციების (გლეხთა კავშირები) პირველ უჯრედების შექმნა და კომუნისტების შეჭრა ჯარში.

გამოდის, რომ კომინტერნის ხელმძღვანელობა ამ პერიოდში სავსებით სწორი იყო.

რევოლიუციის განვითარების მეორე პერიოდში, როდესაც ჩან-კაი-ში და ნაციონალური ბურჟუაზია გადავიდენ კონტრ-რევოლიუციის ბანაკში და რევოლიუციონურ მოძრაობის ცენტრი გადავიდა კანტონიდან უხანში, პროლეტარიატის მოკავშირენი იყვნენ გლეხობა, ქალაქის ღარიბი მოსახლეობა და წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია. რით აიხსნება ნაციონალურ ბურჟუაზიის კონტრ-რევოლიუციის ბანაკში გადასვლა? ჯერ ერთი—ნაციონალურ ბურჟუაზიის შიშით მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობის განვითარების გამო და, მეორე—იმპერიალისტების ზეგავლენით ნაციონალურ ბურჟუაზიაზე შანხაიში. ამრიგად რევოლიუციამ დაჰკარგა ნაციონალური ბურჟუაზია. ეს იყო რევოლიუციის ნაწილობრივი დამარცხება. მაგრამ სამაგიეროდ რევოლიუცია შევიდა განვითარების უმაღლეს სფეროში, აგრარული რევოლიუციის ფაზაში, მან თავის ახლო შემოიკრიბა გლეხობის ფართო მასები. ეს პლიუსი იყო რევოლიუციისათვის. წარმოადგენდა თუ არა გომინდანი რევოლიუციის განვითარების ამ საფეხურზე მასიურ ორგანიზაციას? უსათუოდ წარმოადგენდა. ის უსათუოდ იყო უფრო მასიური ორგანიზაცია, ვიდრე კანტონის პერიოდის გომინდანი. წარმოადგენდა თუ არა მაშინ უხანი რევოლიუციონურ მოძრაობის ცენტრს? უსათუოდ წარმოადგენდა. ამის უარყოფა ახლა შეუძლია მხოლოდ ბრმას. წინააღმდეგ შემთხვევაში უხანის ტერიტორია (ხუბეი და ხუნანი) არ იქნებოდა მაშინ ბაზა აგრარულ რევოლიუციის მაქსიმალურ განვითარებისა კომპარტიის ხელმძღვანელობით. კომუნისტების პოლიტიკა გომინდანის მიმართ მდგომარეობდა მაშინ იმაში, რომ გადაეხარა გომინდანი მარცხნივ და გარდაექმნა იგი პროლეტარიატის და გლეხობის რევოლიუციონურ-დემოკრატიულ დიქტატურის ცენტრად.

იყო თუ არა მაშინ ასეთი გარდაქმნის შესაძლებლობა? დიახ, იყო, ყოველ შემთხვევაში არ იყო საფუძველი ასეთი შესაძლებლობის უარყოფისათვის. ჩვენ მაშინ პირდაპირ ვამბობდით, რომ უხანის გომინდანის გარდაქმნისათვის პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლიუციონურ-დემოკრატიული დიქტატურის მთავარ ძალად აუცილებელია, ყოველ შემთხვევაში ორი პირობა: გომინდანის რადიკალური დემოკრატიზაცია და აგრარული რევოლიუციისათვის პირდაპირი ხელის შეწყობა გომინდანის მიერ. რეგვენობა იქნებოდა კომუნისტების მხრივ, რომ უარი ეთქვათ ასეთი გარდაქმნის ცდებზე. როგორია კომუნისტების მიღწევა ამ პერიოდის განმავლობაში? კომპარტია ამ პერიოდის განმავლობაში პატარა პარტიიდან 5-6 ათასი კაცისაგან გაიზარდა დიდ მასიურ პარტიად—50-60 ათას წევრით. მუშათა პროფკავშირები გაიზარდენ უდიდეს ორგანიზაციად, რომელნიც მთელი ჩინეთის მასშტაბით აერთიანებენ 3 მილიონამდე წევრს. პირვანდელი გლეხთა ორგანიზაციები გაიზარდენ უდიდეს გაერთიანებად, რომლებშიაც ირიცხებიან რამოდენიმე ათეული მილიონი გლეხები. გლეხთა აგრარული მოძრაობა უძლიერესად გაიზარდა და ცენტრალური ადგილი დაიჭირა ჩინეთის რევოლიუციონურ მოძრაობაში. კომპარტიამ მოიპოვა რევოლიუციის აშკარა ორგანიზაციის შესაძლებლობა. კომპარტია ხდება აგრარული რევოლიუციის ხელმძღვანელი. პროლეტარიატის ჰეგემონია იწყებს ფაქტად ქცევას. მართალია, ჩინეთის კომპარტიამ ვერ შესძლო ამ პერიოდის ყველა შესაძლებლობათა გამოყენება. მართალია, ჩინეთის კომპარტიის ცეკამ ამ პერიოდში დაუშვა მთელი რიგი დიდ შეცდომათა. მაგრამ სასაცილო იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩინეთის კომპარტია ნამდვილ ბოლშევიკურ პარტიად შეიძლება იქცეს, ასე ვთქვათ, ერთი ნახტომით, კომინტერნის დირექტივების საფუძველზე. საკმაოა მოვიგონოთ ჩვენი პარტიის ისტორია, რომელმაც გადაიტანა მთელი რიგი განხეთქილებათა, გამოყოფათა. ღალატისა და გამცემლობისა, და გასაგები გახდება, რომ ნამდვილი ბოლშევიკური პარტიები იბადებიან არა ანაზდეულად.

ამგვარად, გამოდის, რომ კომინტერნის ხელმძღვანელობა ამ პერიოდის განმავლობაში სავსებით სწორი იყო.

ყავს თუ არა ჩინეთის პროლეტარიატს მოკავშირენი?

დიახ, ყავს. ეს მოკავშირენი არიან გლეხობა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა.

ეხლანდელი პერიოდის დამახასიათებელია ის, რომ უხანის გომინდანის ხელმძღვანელობა გადადის კონტრ-რევოლიუციის ბანაკში და წვრილ ბურჟუაზიული ინტელიგენცია შორდება რევოლიუციას. ეს ჩამოშორება აიხსნება, პირველ, წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის შიშით აგრარული რევოლიუციის ზრდის წინაშე და ფეოდალების ზეგავლენით უხანის ხელმძღვანელობაზე, და მეორე იმპერიალისტების ძალადობით ტიანძინის რაიონში, რომლებიც გომინდანელებს მოსთხოვს კავშირის გაწყვეტა კომუნისტებთან, როგორც საფასური ჩრდილოეთისაკენ გზების გახსნისათვის. ოპოზიციას ეჭვი შეაქვს იმაში, რომ ფეოდალური ნაშთები არსებობს ჩინეთში. მაგრამ ეხლა ყველასათვის ცხადია, რომ ფეოდალური ნაშთები არა მარტო არსებობს ჩინეთში, არამედ იგი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე რევოლიუციის ძალა ეხლანდელ მომენტში. და სწორედ იმიტომ, რომ იმპერიალისტები და ფეოდალები ჩინეთში ჯერჯერობით უფრო ძლიერი აღმოჩნდენ, რევოლიუციამ განიცადა დროებითი მარცხი. მაგრამ რევოლიუციამ სამაგიეროდ უფრო მჭიდროდ დარაზმა გლეხობისა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობის ფართო მასები პროლეტარიატის გარშემო და ამით შექმნა ნიადაგი პროლეტარული ჰეგემონიისათვის. ამაშია პლიუსი რევოლიუციისათვის.

ოპოზიცია რევოლიუციის დროებით მარცხს კომინტერნის პოლიტიკით ხსნის. მაგრამ ასე შეუძლია ლაპარაკი მხოლოდ იმ პირებს, რომლებმაც კავშირი გასწყვიტეს მარქსიზმთან. მხოლოდ იმ პირებს, რომლებმაც კავშირი გასწყვიტეს მარქსიზმთან, შეუძლიათ მოითხოვონ, რომ სწორმა პოლიტიკამ ყოველთვის და აუცილებლად უშუალო გამარჯვება გამოიწვიოს. იყო თუ არა სწორი ბოლშევიკების პოლიტიკა 1905 წლის რევოლიუციაში? დიახ, იყო. მაშ რატომ დამარცხდა 1905 წლის რევოლიუცია, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდნენ საბჭოები და მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკები სწორ პოლიტიკას აწარმოებდენ? იმიტომ, რომ ფეოდალური ნაშთები და თვითმპყრობელობა მაშინ უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა. იყო თუ არა სწორი ბოლშევიკების პოლიტიკა 1917 წლის ივლისში? დიახ, იყო.

რატომ განიცადეს მარცხი ბოლშევიკებმა მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდნენ საბჭოები, რომლებმაც გასცეს მაშინ ბოლშევიკები და მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკები აწარმოებდენ სწორ პოლიტიკას? იმიტომ, რომ რუსეთის იმპერიალიზმი მაშინ უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა. სწორი პოლიტიკა ყოველთვის და აუცილებლად არ იწვევს უშუალო გამარჯვებას მოწინააღმდეგეზე. უშუალო გამარჯვება მოწინააღმდეგეზე განისაზღვრება არა მარტო სწორი პოლიტიკით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, და უმთავრესად კლასობრივ ძალთა განწყობილებით, იმით, რომ რევოლიუციის მხარეზე იყო უფრო ძლიერი ძალა, მოწინააღმდეგის ბანაკი განიცდიდეს დაშლას და არსებობდეს ხელსაყრელი საერთაშორისო მდგომარეობა. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება, რომ პროლეტარიატის სწორმა პოლიტიკამ გამოიწვიოს უშუალო გამარჯვება. მაგრამ არის ერთი სავალდებულო მოთხოვნილება, რომელსაც ყველგან და ყოველგვარ პირობებში უნდა აკმაყოფილებდეს სწორი პოლიტიკა. ეს მოთხოვნილება მდგომარეობს იმაში, რომ პარტიის პოლიტიკამ გააძლიეროს პროლეტარიატის ბრძოლის უნარი, განამტკიცოს მისი კავშირი მშრომელ მასებთან, აამაღლოს პროლეტარიატის ავტორიტეტი ამ მასებს შორის და პროლეტარიატი გადააქციოს რევოლიუციის ჰეგემონად. შეიძლება თუ არა მტკიცება იმისა, რომ განვლილი პერიოდი მაქსიმალურ ხელსაყრელ პირობებს წარმოადგენს რევოლიუციის უშუალო გამარჯვებისათვის ჩინეთში? ცხადია, რომ არ შეიძლება. შეიძლება თუ არა იმის მტკიცება, რომ კომუნისტური პოლიტიკა ჩინეთში არ აძლიერებდა პროლეტარიატის ბრძოლის უნარს, არ ამტკიცებდა მის კავშირს ფართო მასებთან. არ ამაღლებდა პროლეტარიატის ავტორიტეტს ამ მასებს შორის? ცხადია, რომ არ შეიძლება. მხოლოდ ბრმებმა შეუძლიათ არ დაინახონ, რომ პროლეტარიატმა ამ ხნის განმავლობაში ეროვნულ ბურჟუაზიას, წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციას ჩამოაშორა გლეხობის ფართო მასები და დარაზმა ისინი თავისი დროშის ირგვლივ. კომპარტიას პირველ ეტაპზე იმიტომ ქონდა ბლოკი ეროვნულ ბურჟუაზიასთან, რომ გაეფართოებინა რევოლიუციის ტერიტორია, ჩამოეყალიბებინა მასიური პარტიად, შეექმნა პროლეტარიატის აშკარა ორგანიზაციის შესაძლებლობა და გაეკაფა გზა გლეხობისაკენ. კომპარტიას იმიტომ ქონდა ბლოკი უხანის გომინდანის წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციასთან რევოლიუციის მეორე ეტაპზე, რომ გაემრავლებინა თავისი ძალები, გაეფართოებინა პროლეტარიატის ორგანიზაცია, ჩამოეშორებინა გლეხთა ფართო მასები გომინდანის ხელმძღვანელობისაგან და შეექმნა პირობები პროლეტარიატის ჰეგემონიისათვის.

ეროვნული ბურჟუაზია გადავიდა კონტრრევოლიუციის ბანაკში და გასწყვიტა კავშირი ხალხის ფართო მასებთან. ეროვნულ ბურჟუაზიას კუდში გამოედევნა გომინდანის წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია უხანში, ვინაიდან მას შეეშინდა აგრარული რევოლიუციის; მას საბოლოოდ გაუტყდა სახელი გლეხობის მრავალი მილიონიანი მასების თვალში. მაგრამ სამაგიეროდ უფრო მჭიდროდ დაირაზმა გლეხობის მრავალი მილიონი მასები პროლეტარიატის ირგვლივ, რომელშიაც ისინი ხედავენ ერთად ერთ საიმედო ბელადს და ხელმძღვანელს. განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ სწორ პოლიტიკას შეეძლო ასეთი შედეგების გამოწვევა? განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ ასეთ პოლიტიკას შეეძლო პროლეტარიატის ბრძოლის უნარის განმტკიცება? ვის შეუძლია, გარდა ოპოზიციის ხელმძღვანელთა, უარყოს ასეთი ტაქტიკის სისწორე და რევოლიუციონერობა.

ოპოზიცია ამტკიცებს, რომ უხანის გომინდანის ხელმძღვანელების გადახვევა კონტრ-რევოლიუციისაკენ მოწმობს იმას, რომ სწორი არ იყო ბლოკის პოლიტიკა უხანის გომინდანთან რევოლიუციის მეორე ეტაპზე. მაგრამ ასე ლაპარაკი შეუძლია მხოლოდ იმ პირებს, რომლებმაც დაივიწყეს ბოლშევიზმის ისტორია, დაჰკარგეს ლენინიზმის უკანასკნელი ნაშთები.

იყო თუ არა სწორი ბოლშევიკური პოლიტიკა რევოლიუციური ბლოკისა მემარცხენე ესერებთან ოქტომბერში და ოქტომბრის შემდეგ 1918 წლის გაზაფხულამდე? ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ არავის არ განუზრახავს უარეყო ამ ბლოკის სისწორე. რით დამთავრდა ეს ბლოკი? მემარცხენე ესერთა აჯანყებით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. შეიძლება თუ არა ამის გამო მტკიცება, რომ სწორი არ იყო ესერებთან ბლოკის პოლიტიკა? ცხადია, რომ არა. იყო თუ არა სწორი უხანის გომინდანთან რევოლიუციონური ბლოკის პოლიტიკა ჩინეთის რევოლიუციის მეორე ეტაპზე. ვფიქრობ, რომ არავის არ განუზრახავს უარეყო უხანის გომინდანთან რევოლიუციონური ბლოკის პოლიტიკა რევოლიუციის მეორე ეტაპის დროს. თვითონ ოპოზიცია ამტკიცებდა მაშინ (1927 წ. აპრილი), რომ ასეთი ბლოკი სწორია. როგორ შეიძლება ეხლა, როცა უხანის გომინდანის ხელმძღვანელობა ჩამოშორდა რევოლიუციას, ამ ჩამოშორების საფუძველზე მტკიცება, რომ სწორი არ არის რევოლიუციონური ბლოკი უხანის გომინდანთან? განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ უხასიათო პიროვნებებს შეუძლია ასეთი „არგუმენტების" წამოყენება. განა ვინმე ამტკიცებდა, რომ ბლოკი უხანის გომინდანთან არის მუდმივი და დაუსრულებელი ბლოკი? განა არსებობს ბუნებაში მუდმივი და დაუსრულებელი ბლოკი? განა ცხადი არ არის, რომ ოპოზიციამ ვერ გაიგო, სრულიად ვერ გაიგო თუ რას ნიშნავს ლენინიზმის მეორე ტაქტიკური პრინციპი— პროლეტარიატის რევოლიუციონური ბლოკი არაპროლეტარულ კლასებთან და ჯგუფებთან.

აი, როგორ ჩამოაყალიბა ლენინმა ეს ტაქტიკური პრინციპი:

„უფრო მძლავრ მოწინააღმდეგის დამარცხება შეიძლება მხოლოდ ძალთა უდიდესი დაძაბვით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უდიდესი გულმოდგინებით, მზრუნველობით, სიფრთხილით და მოხერხებით იქნება გამოყენებული ყოველივე, თუნდაც უმცირესი, უთანხმოება მტრებს შორის, ინტერესთა ყოველივე წინააღმდეგობა სხვადასხვა ქვეყნის ბურჟუაზიის შორის და ბურჟუაზიის სხვადასხვა ჯგუფების შორის ქვეყნის შიგნით; აგრეთვე თუ გამოყენებული იქნება ყოველივე, თუნდაც უმცირესი, შესაძლებლობა მასიურ მოკავშირის საპოვნელად, თუნდაც ეს მოკავშირე იყოს დროებითი, მერყევი, არასაიმედო და პირობითი. ვისაც ეს არ ესმის, მას არ ესმის არც ერთი სიტყვა მარქსიზმში და თანამედროვე მეცნიერულ სოციალიზმში საერთოდ. ვინც პრაქტიკულად ვერ დაამტკიცა, რომ საკმაო გრძელი დროის განმავლობაში და საკმაოდ სხვადასხვაგვარ პოლიტიკურ მდგომარეობაში შეუძლია პრაქტიკულად სინამდვილეში გამოიყენოს ეს ჭეშმარიტება, მას კიდევ არ უსწავლია, თუ როგორ უნდა დაეხმაროს რევოლიუციონურ კლასს მის ბრძოლაში მთელ მშრომელ კაცობრიობის ექსპლოატატორებისაგან განთავისუფლებლად. ნათქვამი ეხება პერიოდს პროლეტარიატის მიერ პოლიტიკურ ხელისუფლების დაპყრობის წინ და მის შემდეგ" (ლენინი „მემარცხენეობის" „საყმაწვილო სენი კომუნიზმში". ტომი 17. გვ. 159).

განა ნათელი არ არის, რომ ოპოზიციის ხაზი არის ლენინიზმის ამ ტაქტიკურ პრინციპის უარყოფა?

განა ნათელი არ არის, რომ კომინტერნის ხაზი, პირიქით, წარმოადგენს ამ ტაქტიკურ პრინციპის აუცილებლად მხედველობაში მიღების ხაზს?

განვიხილოთ ლენინიზმის მესამე ტაქტიკური პრინციპი.

ეს ტაქტიკური პრინციპი შეეხება საკითხს ლოზუნგების შეცვლის შესახებ და ამ შეცვლის წესებს და საშუალებებს. ის შეეხება საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ გარდაიქმნას პარტიის ლოზუნგები ლოზუნგებად მასებისათვის, საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ დავაყენოთ მასები რევოლიუციონურ პოზიციებზე, რომ თვითონ მასები საკუთარ პოლიტიკურ გამოცდილებით დარწმუნდენ პარტიულ ლოზუნგების სისწორეში. მასების დარწმუნება კი არ შეიძლება მარტო პროპაგანდით და აგიტაციით. ამისათვის საჭიროა თითონ მასების საკუთარი პოლიტიკური გამოცდილება. ამისათვის საჭიროა, რომ ფართო მასებმა საკუთარ ზურგზე გამოსცადონ არსებულ წყობილების დამხობის აუცილებლობა, ახალ პოლიტიკურ და სოციალურ წესრიგის დამყარების აუცილებლობა.

ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ არ შეიძლება კურსი აეღოთ უხანის გომინდანის ხელმძღვანელობის სახელის გატეხაზე და მის შეცვლაზე, სანამ მას არ ამოუწურავს თავისი ძალა, როგორც ბურჟუაზიულ-რევოლიუციონურ მთავრობას, რომ ჯერ უნდა დავაცადოთ მას ამოსწუროს თავისი ძალები, რათა შემდეგ პრაქტიკულად დავსვათ საკითხი მისი შეცვლის შესახებ. უნდა წამოაყენონ თუ არა ეხლა ჩინეთის კომუნისტებმა ლოზუნგი: „ძირს გომინდანის ხელმძღვანელობა უხანში?" დიახ, უნდა წამოაყენონ, აუცილებლად უნდა წამოაყენონ. ეხლა, როცა გომინდანის ხელმძღვანელობა უკვე გაკოტრდა თავისი ბრძოლით რევოლიუციასთან, აწარმოებდა რა მტრულ მოქმედებას მუშურ-გლეხური ფართო მასების წინააღმდეგ, ეს ლოზუნგი მძლავრ გამოძახილს ჰპოვებს ხალხის მასებს შორის. ეხლა ყოველი მუშა, ყოველი გლეხი შეიგნებს, რომ კომუნისტები სწორედ მოიქცენ, როცა გავიდენ გომინდანის უხანის ცეკადან და წამოაყენეს ლოზუნგი: „ძირს გომინდანის ხელმძღვანელობა უხანში", ვინაიდან გლეხთა და მუშათა მასების წინაშე ეხლა სდგას ასეთი არჩევანი: ან გომინდანის ეხლანდელი ხელმძღვანელობა, მაშინ ხელის აღება ამ მასების არსებით მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე და უარის თქმა აგრარულ რევოლიუციაზე, ან აგრარული რევოლიუცია და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება, მაშინ გომინდანის ხელმძღვანელობის შეცვლა უხანში მასებისათვის ხდება დღევანდელი ლოზუნგი.

ასეთია ლენინიზმის მესამე ტაქტიკური პრინციპის მოთხოვნილებანი ლოზუნგის შეცვლის საკითხში, იმ საკითხში, თუ როგორ საშუალებებითა და გზებით უნდა იქნან დაყენებული ფართო მასები ახალ რევოლიუციონურ პოზიციაზე, იმ საკითხში, რომ პარტია თავისი პოლიტიკით, თავის მოქმედებით და ერთი ლოზუნგის მეორე ლოზუნგით შეცვლით უნდა დაეხმაროს მშრომელთა ფართო მასებს, რათა მათ თავიანთ საკუთარ გამოცდილებაზე შეიცნონ პარტიის ხაზის სისწორე.

აი, როგორ ფორმულას უკეთებს ლენინი ამ ტაქტიკურ პრინციპს:

„არ შეიძლება მხოლოდ ავანგარდით გამარჯვება. მხოლოდ ავანგარდის გაყვანა გადამჭრელ ბრძოლაში, სანამ ფართო მასების ავანგარდის მიმართ არ დაუჭერიათ ან პირდაპირი დახმარებისა ან უკიდურეს შემთხვევაში კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტის პოზიცია, ან მასების არ დაუკარგავთ მტრებისადმი დახმარების აღმოჩენის უნარი,—ასეთ პირობებში ავანგარდის ბრძოლა იქნებოდა არა მარტო სისულელე, არამედ დანაშაულიც, იმისათვის, რომ მართლაც მთელი კლასი, რომ მართლაც მშრომელთა ფართო მასები და კაპიტალის მიერ ჩაგრულნი მივიდენ ამ პოზიციამდე, მხოლოდ პროპაგანდა, მხოლოდ აგიტაცია არ არის საკმარისი. ამისათვის საჭიროა ამ მასების საკუთარი პოლიტიკური გამოცდილება.

კარგია, თუ მოწინავე ჯგუფი — პარტია დარწმუნდა, ვთქვათ, მილიუკოვ - კერენსკის დროებითი მთავრობის დამხობის აუცილებლობაში 1917 წლის აპრილს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმისთვის, რომ გამოხვიდე ამ მთავრობის დასამხობად, რომ წამოაყენო დროებითი მთავრობის დამხობის ლოზუნგი, რომ დღის ლოზუნგად გამოაცხადო საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. იმისათვის, რომ ფორმულა „მთელი ძალაუფლება საბჭოებს" უახლოესი პერიოდის პერსპექტივიდან გადაქცეულიყო დღის ლოზუნგად, უშუალო მოქმედების ლოზუნგად, საჭირო იყო კიდევ ერთი გადამწყვეტი გარემოება, სახელდობრ ის, რომ თვით მასები დარწმუნებულიყვნენ ამ ლოზუნგის სისწორეში და მის განხორციელების საქმეში აღმოეჩინათ პარტიისათვის ესა თუ ის დახმარება. საჭიროა ერთი მეორისაგან გარჩევა ფორმულისა, როგორც უახლოესი მომავლის პერსპექტივის, და ფორმულისა, როგორც დღის ლოზუნგის. სწორედ ამაში ჩაიჭრა პიტერში 1917 წლის აპრილს ბოლშევიკების ჯგუფი ამხ. ბოგდატიევის მეთაურობით, როდესაც მან შეუფერებელ დროს, ნაადრევად წამოაყენა ლოზუნგი „ძირს დროებითი მთავრობა, მთელი ძალაუფლება საბჭოებს". ბოგდატიევის ჯგუფის ეს ცდა ლენინმა შეაფასა მაშინ, როგორც საშიში ავანტიურიზმი და საჯაროდ გამოააშკარავა ის.

რატომ? იმიტომ, რომ მშრომელთა ფართო მასები როგორც ფრონტზე, ისე ზურგში მაშინ ჯერ კიდევ არ იყვნენ მომზადებული ამ ლოზუნგისთვის, იმიტომ, რომ ამ ჯგუფმა აურია ფორმულა „მთელი ძალაუფლება საბჭოებს", როგორც პერსპექტივა, აურია ლოზუნგთან „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს", როგორც დღის ლოზუნგი. იმიტომ, რომ ამ ჯგუფმა გაუსწრო პარტიას და უკანასკნელი ჩააყენა იმ ფართო მასებისაგან, საბჭოებისაგან მოწყვეტის საფრთხეში, რომლებსაც ჯერ კიდევ სწამდათ დროებითი მთავრობის რევოლიუციონერობა. ჩინელ კომუნისტებს, ვთქვათ, წელიწად ნახევრის წინ უნდა წამოეყენებიათ თუ არა ლოზუნგი „ძირს გომინდანის ხელმძღვანელობა უხანში"? არა, არ უნდა წამოეყენებიათ. არ უნდა წამოეყენებიათ იმიტომ, რომ ეს იქნებოდა საშიში გაქცევა წინ. ეს გაუძნელებდა კომუნისტებს დაახლოვებას მშრომელთა ფართო მასებთან, რომლებსაც სწამდათ გომინდანის ხელმძღვანელობა. ეს კომპარტიას ჩამოაშორებდა გლეხთა ფართო მასებისაგან. არ უნდა წამოეყენებიათ ეს ლოზუნგი იმიტომ, რომ უხანის გომინდანის ხელმძღვანელობამ, უხანის გომინდანის ცეკამ ვერ მოასწრო თავისი თავის, როგორც ბურჟუაზიულ-რევოლიუციონური მთავრობის, გამოჩენა, მშრომელთა ფართო მასების თვალში ვერ მოასწრო თავის შერცხვენა თავისი ბრძოლით მუშათა კლასის წინააღმდეგ, თავისი ბრძოლით აგრარული რევოლიუციის წინააღმდეგ და თავისი გადახრით კონტრ - რევოლიუციის მხარეზე.

ასეთია ყველა დიდი რევოლიუციების ძირითადი კანონი, რომელიც ახლა განსაცვიფრებელი სიძლიერით და რელიეფურად დაადასტურა არა მარტო რუსეთმა, არამედ გერმანიამაც. არა მარტო რუსეთის უკულტურო და ხშირად უწიგნურ მასებს, არამედ გერმანიის მაღალ განათლებულ მასებსაც დასჭირდა საკუთარ ტყავზე გამოეცადათ მეორე ინტერნაციონალის რაინდების მთელი უძლურება, უხასიათობა, უმწეობა, ბურჟუაზიის წინაშე ლაქიობა და უკიდურეს მემარჯვენე რეაქციონერთა დიქტატურის სრული აუცილებლობა. (კორნილოვი რუსეთში, კაპპი და კომპანია გერმანიაში), რომ გადაჭრით გადაბრუნებულიყვნენ კომუნიზმისაკენ. საერთაშორისო მუშათა მოძრაობის შეგნებულ ავანგარდის, ე. ი. კომუნისტურ პარტიების, ჯგუფების და მიმდინარეობების ძირითადი ამოცანა არის შესძლონ მიიყვანონ ფართო (ამჟამად ჯერ კიდევ მძინარე, აპატიური და დახავსებული) მასები ამ მათთვის ახალ მდგომარეობამდე, ანუ, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, შესძლონ ხელმძღვანელობა გაუწიონ არა მარტო თავის პარტიას, არამედ ამ მასებსაც ახალ პოზიციაზე გადასვლის განმავლობაში" (ლენინი, „მემარცხენეობის „საყმაწვილო სენი კომუნიზმში", ტ. მე-17, გვ 179—180).

ოპოზიციის ძირითადი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ მას არ ესმის ლენინიზმის ამ ტაქტიკურ პრინციპის აზრი და მნიშვნელობა. ის არ სცნობს ამ პრინციპს, ის სისტემატიურად არღვევს მას.

ის (ტროცკი) არღვევდა ამ ტაქტიკურ პრინციპს 1917 წლის დასაწყისში, როდესაც სცდილობდა „გადახტომოდა" ჯერ კიდევ დაუმთავრებელ აგრარულ მოძრაობას (იხ. ლენინი).

ის (ტროცკი—ზინოვიევი) არღვევდა მას, როდესაც სცდილობდა „გადახტომოდა" რეაქციონერ პროფკავშირებს, არ სცნობდა კომუნისტების მუშაობის მნიშვნელობას რეაქციონერ პროფკავშირებში, უარყოფდა მათთან დროებით ბლოკის საჭიროებას.

ის (ტროცკი—ზინოვიევი—რადეკი) არღვევდა მას, როდესაც სცდილობდა „გადახტომოდა" ჩინეთის რევოლიუციონურ მოძრაობას (გომინდანი) თავისებურობებს, ჩინელი ხალხის მასების ჩამორჩენილობას, მოითხოვდა 1926 წლის აპრილში კომუნისტების დაუყოვნებლივ გამოსვლას გომინდანიდან და 1927 წლის აპრილში საბჭოების დაუყოვნებლივ მოწყობის ლოზუნგს რევოლიუციის განვითარების კიდევ დაუმთავრებელ გომინდანურ ფაზის პირობებში.

ოპოზიცია ფიქრობს, რომ თუ მან შეიგნო გომინდანის ხელმძღვანელობის მერყეობა და არასაიმედობა და თუ ის დარწმუნდა გომინდანთან ბლოკის დროებითი - პირობითი ხასიათში (ხოლო ამის გაგება ძნელი არაა თვითეულ კვალიფიციურ პოლიტმუშაკისათვის), მაშინ ეს სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მასებმა, მუშებისა და გლეხების ფართო მასებმა „მაშინვე" დაგვეთანხმონ „ჩვენ" და დაუჭირონ მხარი „ჩვენ" „გადამჭრელ მოქმედებას". ოპოზი-

## პარტიული ცხოვრება

### ს. კ. პ. (ბ) ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

საქ. რემედასი ყოველ ორ-თვეში ერთხელ ატარებს რემედასის ერთიან დღეებს.

მორიგი რთიანი დღე ტარდება 10 აგვისტოს. ამ დღეს განხილულ უნდა იქნეს საკითხი „ომის საფრთხე, თეთრი ტერორის ზრდა და რემედასი“.

აგრეთვე საქ. რემედასის ც. კ. დადგენილების თანახმად. უნდა ჩატარდეს რემედასის ყველა უჯრედების გაფართოებული სხდომები მშრომელთა ფართო მასების ჩაბმით.

ყოვილგვარი მასალები აღნიშნულ ერთიანი დღის შესახებ და თეზისები მომხსენებელთათვის ეგზავნება რემედასის ადგილობრივ ორგანიზაციებს რემედასის ც. კ-გან.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. სააგიტ.-საპროპ. განყოფილება გავალებთ უხელმძღვანელოთ რემედასს ამ დღის ჩატარებაში და აღმოუჩინოთ მათ ყოვილგვარი დახმარება (მომხსენებლებით და სხვ.).

**ს. კ. პ. (ბ) ც. კ. საავიტ.-საპროპ. განყ. გამგე: თათარიშვილი.**

### მაზრის ორგანიზაციის გამოკვლევის შედეგები

მაისიდან შორაპნის სამპარტკომის მიერ წინასწარ შემუშავებულ გეგმით დაგზავნილ იქნა ინსტრუქტორები ადგილებზე უჯრედების მუშაობა-მდგომარეობის გამოსარკვევათ.

გამოკვლეულ იქნა დეტალურათ მაზრაში არსებული ყველა თემკომები და უჯრედები.

მუშაობა ამ მიმართულებით დამთავრდა 18 ივნისს.

გამოკვლევის შედეგებზე მოხსენება დაისვა მაზრკომის გაფართოებულ პლენუმზე, რომელზედაც ესწრებოდა ყველა, როგორც პარტიის, ისე კომკავშირის თემკომის, უჯრედების პ.-მგ. მდივნები, კომუნისტი თემაღმასკომის თავმჯდომარენი და სხვა პ.-მგ. ამხანაგები.

გამოკვლევამ კარგი შედეგი მოგვცა, ნათლად გამოაშკარავა ის დეფექტები, რომლებიც პარტ-ორგანიზაციებს ადგილებზე აქვთ თავიანთ მუშაობაში.

გამოირკვა, რომ პარტ-წევრები და კანდიდატები ხშირად არ არღვევენ პარტდისციპლინას.

პარტ-კომკავშირის წევრები პოლიტ-მომზადების მხრით ერთობ დაბლა დგანან.

როგორც სოფლად, ისე ქალაქში ანტი-რელიგიური პროპაგანდა სუსტად სწარმოებს, და ზოგიერთ შემთხვევებში ადგილებზე პარტიის წევრთა შორის ემჩნევა რელიგიური გადახრები.

თემკომებში და უჯრედებში ამხანაგების პარტიის რიგებიდან გარიცხვის კითხვა უწესრიგოთ სწარმოებს.

არ მუშავდება და ცხოვრებაში არ ტარდება სამაზრო კომიტეტის მიერ დაგზავნილი ცირკულიარები და დირექტივები.

პიონერთა ორგანიზაციაზე სუსტი ხელმძღვანელობაა.

ქალთა შორის მუშაობის ხელმძღვანელობა მოისუსტებს.

პლენუმმა გაუკეთა რა ჯამი მუშაობაში არსებულ მთელ რიგ დეფექტებს, მომავალ მუშაობის გაფართოების და გაღრმავებისათვის გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული მითითებანი.

ეს გამორკვევა იყო საქმიანი და მისი შედეგები ხელს შეუწყობს ჩვენს მაზრაში პარტ-მუშაობის გამოცოცხლებას.

**მ. ზრეგვაძე.**

### გომბორის თემის პარტიული კონფერენცია

ამ რამოდენიმე ხნის წინად შესდგა ხსენებული თემის პარტ. კონფერენცია. კრებაზე მოსმენილი იქნა თემკომის პასუხისმგებელი მდივნის სამთვიური საანგარიშო მოხსენება. მოხსენებელმა აღნიშნა, რომ თემკომი აერთიანებს 52 პარტ. წევრს და კანდიდატს. თემში პარტმუშაობის გაცხოველების მიზნით დაარსებულია კომუჯრედები სოფელ ბორჯომში, ვაშლოვანში, და თვით სოფელ გომბორში, რომელიც მუშაობენ წინასწარ სამთვიურ შემუშავებულ გეგმის მიხედვით და თემკომის სათანადო ხელმძღვანელობით. უკანასკნელ ხანებში უჯრედების მუშაობას ემჩნევა სისუსტე, რაც გამოწვეულია სოფლად სამუშაო პერიოდის დაწყებით. რაც შეეხება საკანდიდატო ჯგუფების მუშაობას იგიც ვერა სდგას თავის მოწოდების სიმაღლეზე შესაფერი ხელმძღვანელების უყოლობის გამო. თემში არსებული უჯრედები შესაძლებლობის ფარგლებში აწყობენ გლეხობის თანადასწრებით ღია კრებებს, სადაც კეთდება მოხსენება-საუბრები გლეხობისათვის საჭირბოროტო საკითხებზე, რაც გლეხობას აკავშირებს პარტიასთან; უჯრედებთან ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ, სამეურნეო, კულტურულ წრეებთან შეძლების და მიხედვით სწარმოებს მუშაობა. უჯრედების მუშაობამ მოგვცა ის ნაყოფი, რომ უპარტიო აქტივი საკმაო რაოდენობით ჩაბმული საზოგადოებრივ მუშაობაში. თემში არსებულ 5-- პოლიტძ სკოლის გამოშვებამ სასურველი შედეგები მოგვცა იმ მხრივ, რომ პოლიტიკურათ წინ წასწია სოფლად, როგორც პარტწევრები და კანდიდატები, ისე კომკავშირის და უპარტიო გლეხთა ახალგაზრდობა.

ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებიდან ჩამოყალიბებულია ავიაქიმის და რემედასის საზოგადოება. რემედასის მუშაობა საგრძნობლად მოისუსტებს. თემკომი აქცევს რა სათანადო ყურადღებას მოჯამაგირეთა შორის მუშაობას, მიღებულია შესაფერი ზომები მათი პირობების გაუმჯობესების და ინტერესების დაცვისათვის, რისთვისაც ჩამოყალიბებულია თემში მოჯამაგირეთა კომიტეტი, რომელთანაც მიმაგრებულია ფასიანი ტეხნიკური მდივანი. მოჯამაგირეების 60 პროცენტი ჩარიცხულნი არიან წევრებათ კომკავშირში.

ქალთა შორის მუშაობის გაცხოველების მიზნით გამოყოფილი მასწავლებელი ქალები აწარმოებენ მათში სათანადო მუშაობას. ჟურნალ გაზეთების გავრცელების საქმე თემში სასურველ სიმაღლეზე სდგას. შეეხო რა კომკავშირის შორის მუშაობას, ამხ. ბოკერია აღნიშნავს, რომ თემში კომკავშირის მუშაობა სათანადოთ მიმდინარეობდა, ხოლო უკანასკნელ ხანებში აღნიშნულ ორგანიზაციის მუშაობას სისუსტე ემჩნევა, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კომკავშირის თემკომის პასუხისმგებელ მდივანს უხდება მუშაობა უჯამაგიროთ, კომკავშირის რიგებში აქვს ადგილი აგრეთვე დისციპლინის დარღვევას და სხვა....

პიონერთა შორის მუშაობა დამაკმაყოფილებელია; სოფელ გომბორში და ბოჭორმაში ჩამოყალიბებულ პიონერთა კოლექტივებზე მიმაგრებულნი არიან მომზადებული ხელმძღვანელები. მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიაც ამხანაგებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს. კამათის შემდეგ კონფერენციამ შემდეგი მუშაობისათვის გამოიტანა პრაქტიკული წინადადებანი.

**შ. გარე-კახელი.**

### კომკავშირი და ახალი ყოფა-ცხოვრების საკითხები სოფლად

ლენინურ კომკავშირში და მის გარეშე თავს იყრის მრავალი მილიონიანი ახალგაზრდობა, მათში ახალი ყოფა-ცხოვრების საკითხები, რომელზედაც დამოკიდებულია ჩვენი წინმსვლელობა ჯერ კიდევ არ არის განმტკიცებული. დღემდის ამ საქმეში სულ უმნიშვნელო მიღწევები გვაქვს, დღემდის არ ექცევა სერიოზულ ყურადღება ყოფა-ცხოვრების საკითხების მოგვარებას-მოწესრიგებას, განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა სოფლათ, სადაც ადგილი აქვს ისეთი მავნე ვადახრებს როგორიცაა: კარტ-ნარდის თამაში და სხვა, რამაც ეპიდემიური სახე მიიღო. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კავშირის ზოგიერთი წევრებს სწამთ ლოცვა და სოფლის ექიმბაშების წამლობა. მიზეზი ახალგაზრდობის კულტურულ ჩამორჩენილობაში უნდა ვეძიოთ. სამართლიანად უნდა ვაღიაროთ, რომ სოფლათ დღესაც კი არა გვაქვს რიგიანად მოწყობილი კულტურული დაწესებულებები და ორგანიზაციები, მართალია არსებობს: ქოხ-სამკითხველოები, თეატრები და კლუბები, მაგრამ არცერთი მათგანის მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი. სოფლად იშვიათად თუ გაიმართება სალამო-წარმოდგენები ისიც უგემო და უშინაარსო, რომელსაც არავითარი აღმზრდელობითი მნიშვნელობა არა აქვს. ამის გამო სოფლის ახალგაზრდობა იძულებულია თავისუფალი დრო გაატაროს ლაყბობაში, კარტის თამაშში, ლოთობაში და სხვ.

დროა ამ გარემოებას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და გადადგმული იქნეს საამისო პრაქტიკული ნაბიჯები. სოფლის გლეხური ახალგაზრდობის კულტურულ დონის ასაწევათ და მათი საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩასაბმელათ. ამისათვის საჭიროა: კულტ-დაწესებულებების თავის დანიშნულების სიმაღლეზე დაყენება. რის შემდეგ, როგორც კომკავშირულს, ისე უპარტიო ახალგაზრდობას მიეცემა საშუალება თავისუფალ დროის მიზან შეწონილად გამოყენებისა.

ყველა ამას ჩვენ შევსძლებთ მხოლოთ სწორ პარტიულ ხელმძღვანელობით, როგორც კომკავშირულ ისე უპარტიო ახალგაზრდობაზე.

**გ. ძ—ლი.**

## საბჭოთა საქართველო

### დეპეშები

#### ფიზკულტურა

**ფოთი,** 28 ივლისი. ფოთის სპორტიულ საზოგადოება — „დინამო“-მ სენაკის და სოჩის შორის მოაწყო ველოგადარბენა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო შვიდმა კაცმა. ორივე მხრივ გავლილ იქნა 800 ვერსი.

ფოთის „დინამოს“ ფეხბურთელთა პირველი გუნდი გაემგზავრა მაიკოპში, სადაც ეთამაშა ადგილობრივ ნაკრებ გუნდს. შეჯიბრი დასრულდა ფოთელთა სასარგებლოთ, ნიშნით 6:1. გუნდი ინახულებს შავი ზღვის სანაპიროთა ყველა ქალაქებს. (ადს).

#### სკოლის ასაგებად

**გორი,** 28 ივლისი. სოფ. გომის გლეხებმა თვითდაბეგვრის საშუალებით შეაგროვეს თანხა სკოლის შენობის ასაგებად. შენება დაწყებულია. (ადს).

#### თელავის სამაზრო აღმასკომის პლენუმი

**თელავი,** 28 ივლისი. გაიხსნა თელავის სამაზრო აღმასკომის მესამე პლენუმი. მიწათმოქმედების განყოფილების საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა მეხუთე სამაზრო ყრილობის დავალება მიწადმოწყობის და აგრონომიულ დახმარების საქმეში 80 პროცენტით არის შესრულებული. 400 დესეტინამდე მიწა გამოყოფილია სახალხო მამულებიდან და გადაცემულია მცირე მიწის მქონე გლეხებზე. ვითარდება მერძეობა. კომუნალურ განყოფილების მოხსენებამ აღნიშნა ქალაქის კეთილმოწყობის ზრდა. აშენებულია 25 ახალი სახლი. სწარმოებს 36 სახლის კაპიტალური შეკეთება და სხ. (ადს).

#### ტყავის ქარხნის ამუშავება

**ბათომი,** 28 ივლისი. ეხლახან შეკეთებული ტყავის ქარხანა უკვე ამუშავდა. ქარხნის ყოველთვიური წარმოება ამჟამად უდრის 350 ფუთ ლანჩას. შემდეგში განსაზღვრულია მისი აყვანა 750 ფუთამდე. ნედლი მასალის ნაკლებობა არ არის, მაგრამ ქარხანას საკმაოდ არ ეყოფა ტყავის სალბობი ნივთიერება, რაც საგრძნობ გავლენას ახდენს წარმოების ნაყოფიერებაზე. (ადს).

#### ბიბლიოთეკის მუშაკთა კურსები

**ბათომი,** 28 ივლისი. აჭარისტანის პროფსაბჭოს კულტ-განყოფილება აგვისტოს დასაწყისში ხსნის ორთვიან კურსებს ბიბლიოთეკების და ქოხ-სამკითხველოების მუშაკთა მოსამზადებლად. კურსებზე მეცადინეობა იწარმოებს ქართულად და რუსულად. კურსებზე ჩაეწერა 80 კაცამდე. ჩაწერა გრძელდება. (ადს).

#### ოხრას ბუდობები

**ბათომი,** 28 ივლისი. აჭარისტანის მრეწველობის სამთო განყოფილების მკვლევართა ჯგუფმა, ციხის ძირის რაიონში აღმოაჩინა ოხრას ბუდობები, მადნის ქიმიურმა ანალიზმა დადებითი შედეგები გამოიღო. (ადს).

#### ბათომის ნავთსადგური

**ბათომი,** 28 ივლისი. ნავთსადგურს გამოცოცხლება ეტყობა. ყოველდღე მოდის და გადის უცხოეთის 3—4 გემი და ათამდე სიტორიანი იალქნიანი ხომალდები. 27 ივლისს, ნავთსადგურში იდგა უცხოეთის 7 გემი, რომელთა შორის ხუთი ნავთსაზიდია. დიდი გაცხოველება ეტყობა აგრეთვე საბჭოთა სავაჭრო ფლოტის ნავთსადგურს. ხუთივე გემი ყოველ კვირით მიდის-მოდის ბათომ-ოდესას შორის. (ადს).

### წერილები

#### ქალაქისა და სოფლის კავშირის თბილისის საბჭოს პლენუმი

გუშინ, სალამოს 7 საათზე, ცენტრალურ მუშათა კლუბში გაიხსნა ქალაქისა და სოფლის კავშირის თბილისის საბჭოს პლენუმი, რომლის დღ. წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ; 2) საკურორტო ლატარეის შედეგები; 3) ქალაქისა და სოფლის კავშირის თბილ. საბჭოს 3 თვიანი მუშაობის გეგმის დამტკიცება; 4) სექციების დამტკიცება და სხ.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ყაველაშვილი, რომელიც შეეხო, ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ წარსულ წლებთან შედარებით ის უარყოფითი მოვლენები, რომლებიც თავს იჩენდენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩატარების დროს — თანდათან ისპობა. შემდეგ ამხ. ყაველაშვილს მოყავს ციფრები, რომ ყოველწლიურად — სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მცირდება. აქეთ არის აღებული საბჭოთა ხელისუფლების კურსი; ღარიბი გლეხობა მთლიანად უნდა იქნეს განთავისუფლებული და დაიბეგრონ კულაკები. თუ 1925 წელში თბილ. მაზრაში გადასახადისაგან განთავისუფლდა 5000 მეკომური — 1926 წელში განთავისუფლდა 9.000 და სხვ.

დასასრულს მომხსენებელი ჩერდება საშეფო საზოგადოებების მნიშვნელობაზე, რომელიც ახლოს სდგას გლეხობასთან. საჭიროა საშეფო საზოგადოებამ მტკიცე კავშირი დაიჭიროს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან, გააცნოს თავის მომუშავეებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის პოლიტიკა და ყოველმხრივად მომზადებული ამხანაგები გაგზავნოს საშეფო-სოფლებში.

საშეფო კომისიებმა უნდა აუხსნან გლეხებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მნიშვნელობა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათის შემდეგ პლენუმმა მიიღო შესაფერი რეზოლიუცია.

შემდეგ საკურორტო ლატარეის შედეგების შესახებ მოკლე ინფორმაციული მოხსენება გააკეთა ამხ. სტეფანოვმა.

ბოლოს პლენუმმა ზოგიერთი შესწორებების შემდეგ — დაამტკიცა საშეფო საზოგადოების თბილისის საბჭოს მუშაობის 3 თვიანი გეგმა და თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის ოქმები.

**ნ. ფ—ძე.**

### წერილებიდან

— **მარტო ჩვენ ვერ შევსძელით, საჭიროა თქვენი დახმარება.** (თბილისის მაზრა, სოფ. პატარძეული), ამ სოფელში თითქმის 1.500 კომლია. მცხოვრებლები ძლიერ ღარიბნი არიან 1925 წელს აქაურმა გლეხებმა დაიწყეს სასწავლებლის აგება. ეს შენობა მიიყვანეს მეორე სართულამდე თუ არა მუშაობა შესწყდა. ღარიბმა გლეხობამ ველარ შესძლო შენობის დათავება. ამ სოფლის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დ. ოქროცვარიძე დიდ აქტივობას იჩენს, მაგრამ როდესაც საშუალება აღარ არის ისიც იძულებული ხდება შეაჩეროს მუშაობა, განათლების კომისარიატმა და თბილისის აღმასკომმა უნდა მიიღონ ზომები სკოლის დასამთავრებლად.

**შ. მ—ლი.**

— **პროფსკოლამ გაამართლა იმედი.** (ნიგოითის თემი, გურია) წარსულ 1925-26 სასწავლო წელში ჩვენს თემში გახსნილი იქნა პროფსკოლა, პროფსკოლაში სულ ირიცხებოდა 45-მდე ახალგაზრდა ქალი. მიუხედავათ იმისა, რომ სკოლას აკლდა მრავალი საჭირო მასალები მან დახელოვნებული მასწავლებლის ხელმძღვანელობით, მაინც შესძლო მიზნის მიღწევა. ამ რამოდენიმე დღის წინეთ ამ სკოლაში ჩატარებული იქნა გამოცდები. გამოცდებმა კარგი შედეგი მოიტანა. 45 მოწაფეში კურსი დაამთავრა 35-მა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ქალები კარგად მომზადებული აღმოჩნდენ პოლიტსწავლაში.

**„ია“.**

— **მოვსპოთ ქურდობა.** (კაკაბეთი, სიღნაღის მაზრა) ჩვენს თემში ქურდობა არ მოისპო. იმისთვის კი არა რომ რაიმილიცია გულგრილად იქცევა, არამედ ქურდებს თვით ჩვენ უწყობთ ხელს, როდესაც საქმე სასამართლოზე გადადის. ქურდებს ხელს ვაფარებთ.

საჭიროა სასტიკი ზომების მიღება.

**ს. ქიზიყურაშვილი.**

— **საჭიროა მიმღები რადიო** (ამაღლების თემი, ოზურგეთის მ.) ამაღლების თემში ყველა კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებებია, მხოლოდ არ გვაქვს რადიო-მიმღები. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს რადიოს გამავრცელებელ საზოგადოებამ და მოგვიწყოს ზემოთ დასახელებულ თემში რადიო-მიმღები.

**ბ. შაფათავა.**

— **ახალი ქოხ-სამკითხველო** (დ. საჩხერეში). რამოდენიმე ხნის წინად დ. საჩხერეში გაიხსნა ქოხ-სამკითხველოს ახალი შენობა აგებული ადგილობრივ აღმასკომის მიერ. სამკითხველომ შემოკრიბა ინტელიგენტთა აქტივი.

სამკითხველოში მოდის თბილისის ყველა ქართულ-რუსული გაზეთები. ნაკლებობაა სხვადასხვა პერიოდული ჟურნალებისა. საჭიროა სამაზრო პოლიტგანმა შეავსოს საჩხერის ღარიბი ბიბლიოთეკა მეცნიერული და მხატვრული ლიტერატურით; იზრუნოს აგრეთვე რადიოს დადგმაზე.

**ვ. ფ.**

### სოფლის ქრონიკა

— **კოოპერატივი.** სოფ. კაჭარეთის (სიღნაღის მაზრა) მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს აღძრან შუამდგომლობა კოოპერატივის გახსნის შესახებ.

— **ხოფ. შრომაში ქარხანა** „შრომა“-სთან მოეწყო ელსადგური, რომელიც სინათლეს აწვდის სოფელსაც.

— **ხიდები.** სოფ. საწირის თემსაბჭომ გადასწყვიტა მდ. წყალწითელაზე და სკიპზე ააგოს ხიდები.

— **გზები.** სოფ. დიღომის საბჭომ გადასწყვიტა შეუდგეს სასოფლო გზების შეკეთებას.

— **ტრაქტორი.** სოფ. ქვიშხეთის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობამ მიიღო ტრაქტორი.

— **აბანო.** საგარეჯოს აღმასკომმა გადასწყვიტა აამუშაოს დღემდე დაუმთავრებელი აბანო.

— **არხის დაცვა.** სოფ. მანავის თემაღმასკომმა გამოყო კომისია მანავის არხის დასაცავად.

— **გლეხთა სახლი.** განზრახულია ფოთში მოეწყოს გლეხთა სახლი.

## მუშათა ცხოვრება

### მაღაროებში მეტი მუშაობაა საჭირო

როგორც გუშინდელ ჩვენს გაზეთში მოთავსებულ კორესპონდენციიდან სჩანს ტყიბულის ქვა-ნახშირის რაიონში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ძალზე მოისუსტებს. იშვიათად იდგმება წარმოდგენები, იშვიათად გადის კინო-სურათები, წრეები ვერ მუშობს, მუშათა მასები არ არიან ჩაბმული სხვადასხვა წრეებში, მათ არ აქვთ კულტურული გასართობები. არ არის ისეთი კუთხე, სადაც მუშაობის გათავების შემდეგ შეეძლოს მუშას მისვლა და თავისუფალი დროის გონივრულად გატარება.

ეს იწვევს მუშებში მავნე გადახრებს. ზოგი თავისუფალ დროს მამა-პაპეულ სამიკიტნოებში ატარებს, ღვინის სმითა და არყის ჭრიალით ერთობა, ზოგი კარტის თამაშით—ბაქარათი და ოცდა-ერთით ფიქრობს დროის მოკვლას და შეიძლება გამდიდრებასაც.

ან კი რა ქნას მუშამ. ერთი კლუბი აქვს და იქ არავითარი კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა არ სწარმოებს: არ ეწყობა ლექცია მოხსენებები სხვადასხვა საჭირბოროტო მუშებისათვის საინტერესო საკითხებზე; არ იმართებოდა საოჯახო სალამოები, რაც ძლიერ უწყობს ხელს ახალი ყოფა-ცხოვრებაზე გადასვლას. კლუბს წევრები ძალიან მცირე რიცხვი ყავს.

სხვაგან, ფაბრიკა-ქარხნებში მუშებისთვის სადილობისთვის მიცემულ დროსაც არ კარგავენ ტყვილა უბრალოდ: კითხულობენ მოხსენებებს საერთაშორისო მდგომარეობაზე; სხვადასხვა ავადმყოფობაზე, ახალ ყოფა-ცხოვრებაზე და სხ. ტყიბულში ამას ვინ დაეძებს, საერთოდ, რომ იყვეს კარგად დაყენებული ეს საქმე.

ტყიბულის მუშათა რაიონში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ასე ჩამორჩენილი არ უნდა იყვეს. სწორედ აქ არის საჭირო მუშაობა. ამას უსათუოდ ყურადღება უნდა მიაქციოს სათანადო პროფკავშირებმა. საჭიროა კლუბის მუშაობის გამოცოცხლება. კლუბში სისტემატიურად უნდა იმართებოდეს წარმოდგენები, კინო, უნდა ჩამოყალიბდეს სხვადასხვა წრეები—მუსიკის, ჭადრაკის, ლიტერატურული სადაც უნდა იჩხენ მუშები. მუშები თავისუფალ დროს სამიკიტნოში ან კარტის სათამაშოთ კი არ უნდა მიდიოდენ, არამედ ამ წრეებში უნდა ნახულობდენ გასართობს და დროის გასატარებელს. შემდეგ კლუბში, სისტემატიურად უნდა ეწყობოდეს მოხსენებები მუშებისთვის საინტერესო თემებზე. არც ერთი მაღაროს მუშა არ უნდა დარჩეს კლუბის წევრობის გარეშე. ეს კი მაშინ იქნება თუ კლუბის მუშაობას თავის დონეზე დავაყენებთ და ამ მუშაობით შევძლებთ მუშების დაინტერესებას.

**კ —ია.**

### ჩვენს ხვედრზე ჩვენც უნდა ვსთქვათ

რუსულ გაზეთებში უკვე წამოიჭრა საკითხი; რომ თითქოს სასურველია თვიური ხელფასის გაცემის მაგიერ, მუშები გადაყვანილ იქნას კვირეულ შრომის ხელფასის მიღებაზედ.

ვსთქვათ, რომ ჩვენ გადაგვიყვანეს ყოველკვირეული შრომის ხელფასზე, ამით ჩვენ არსებითად არაფერი არ შეგვმატებია და გიტყვი დაკლებით შეიძლება დაგვაკლდეს.

გვაკლდება იმიტომ, რომ ძლიერ ძნელია მოთმენა, როცა კაპეიკები ჯიბეზე გაქვს. იმდენად დახურდავდება ჩვენი ჯამაგირის სიბარაქე, რომ აღარც აქეთ და აღარც იქეთ არაფერი არ დაგვრჩება.

სათქმელი ის კი არ არის, რომ კვირეული შრომის ხელფასი მივიღოთ, არამედ ის რომ მუშებს სრულებით ვერ უხვდებით, თუ ვის როგორი საჭიროება აქვს და როგორ სურს მიიღოს თავისი ჯამაგირი ნაწილ-ნაწილად თუ ზოლად თვის ბოლოს.

ამიტომ საჭიროა მუშასვე ეკითხოს. კითხვის პასუხი კი იქნება—მიეცეს „ავანსები“, რასაც უკვე ღებულობენ.

ხელფასის თვის ბოლოს მიღება ყველათვის კარგია, მაგრამ დღეს პირდაპირ ზღაპარი იქნება თუ ვიტყვით ჩვენს უმრავლესობას შეეძლოს ერთი თვე ფულის სრულიად მიუღებლად იცხოვროს.

ახალი ფორმის შემოღება, თითქოს ყოველ შაბათს მიიღოს მუშამ თავისი ხვედრი, საქმეს ტყვილა არევ-დარევს და არსებითად ამით მდგომარეობა არ გაუმჯობესდება.

ალბად მაშინ ყოველგვარ ფვიურ სხვა ანგარიშიანობასაც მოუწევს კვირეულზე გადახალისება,—რაც ნაკლებს სარგებლობას მოიტანს. საჭიროა სხვა ამხანაგებმაც გამოსთქვან ამის შესახებ თავისი აზრი.

**დათიკო ლოლობერიძე.**

### რისთვის უთხრეს უარი

წევის სამსახურმა მიმართა რკინის გზის სამმართველოს ნებართვისათვის, რომ ნება დაერთოთ შეეძინათ სურამის თიხა, ძირულის თიხის მაგივრად, იმ მოსაზრებით რომ სურამის თიხა უფრო ცეცხლუპოვარია და გარდა ამისა სურამის თიხა ღირს ერთი ტონი 3 მან. 70 კაპ. ძირულის თიხა კი ტონი ღირს 29 მან. 50 კაპ. თიხა სჭირდებათ ორთქლმავლის ქვაბში აგურების დასამაგრებლად. ძირულის თიხის აგურებით აშენებული ორთქლმავლის ქვაბის კედლები უფრო მალე ფუჭდება, ვიდრე სურამის თიხიდან აშენებული. რკინის გზის სამმართველომ კატეგორიული უარი შემოუთვალა. იქნება „რეჟიმ ეკონომია“ უკუღმად ესმით, თუ არა და რაშია საქმე, რაზე უთხრეს უარი.

**მუშკორი ძია-ლევან.**

### საჭიროა კი?

ამიერ-კავკასიის რკინის გზების წევის დარგთან ხუთი წლის განმავლობაში არსებობდა სარემონტო-სამასალო ქვეგანყოფილება 6 კაცის შემადგენლობით. 1926—27 წ. ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ქვეგანყოფილება გადახალისებულ იქნა საწარმოო ნაწილით რომლის შტატი შეიცავს 16 კაცს.

უნდა აღინიშნოს რომ შტატი გადახალისების შემდეგ გადიდდა თითქმის სამჯერ, ხოლო ჯამაგირების გამო გამოწვეული ხარჯი თითქმის ხუთჯერ.

მუშაობა ახალი შტატის შექმნით მცირედ შეიცვალა; ეხლაც ისე, როგორც ძველად, საწარმოო ნაწილი არამც თუ არ ამარტივებს და არ აჩქარებს მომარაგებას, არამედ ქმნის დაბრკოლებებს თავის დროზე უბნების მიერ მასალების და სათადარიგო ნაწილების მიღების საქმეში.

რას აკეთებს ფაქტიურად საწარმოო ნაწილი?

წევის უბნებიდან საწარმოო ნაწილი თხოულობს საკვარტალო მოთხოვნილებებს ამა თუ იმ მასალებზე, სათადარიგო ნაწილებზე, ხელსაწყოებზე და იარაღებზე. ამ მოთხოვნილებებს იქ სინჯავენ, გადასწერენ და ადგენენ როგორც შეკვეთას სამასალო სამსახურში, ან ბაქო და თბილისის მთავარ სახელოსნოებში. ა მასალის განყოფილება მოთხოვნილებებს გადაგზავნის მთავარ მაღაზიაში შესამოწმებლად. თუ საჭირო მასალები არ არის, მთავარი მაღაზია 1—2 კვირას, ხან კი ერთი თვის შემდეგაც აუწყებს სამასალო სამსახურს შედეგს, და ეს უკანასკნელი ან იძენს მასალას ბაზარზე ან თხოულობს ცენტრიდან.

საწარმოო ნაწილმა თანდათანობით უნდა შეადგინოს წლიური მოთხოვნილება ცენტრიდან მოსათხოვი და აქვე შესძინოს ან გასაკეთებელ მასალებისა მომავალი ხარჯთაღრიცხვისათვის. ნამდვილად კი, როცა მოაწევს დრო მოთხოვნილების შედგენისა, იწყება ზედმეტი საათები ან სანარდო მუშაობა, ეს მაშინ როცა შტატით 1 კაცია.

იბადება კითხვა, მიზანშეწონილია თუ არა იხარჯებოდეს ფული საწარმოო ნაწილის ზედმეტ და დიდ შტატის შენახვაზე? ჩვენის აზრით არა. საკმარისი იქნება თუ ამ 16 კაცის ნაცვლად დასტოვებენ ერთ გამოცდილ ინჟინერს და 2—3 ტეხნიკს წლიური მოთხოვნილების გამოსარკვევად და შესადგენად. მასალების მიღება უბნებს შეუძლია საწარმოო ნაწილის გარეშეც, უშუალოდ სამასალო განყოფილებიდან.

**ახალი.**

### საყურადღებო წვრილმანი

— **შესცვალეთ განწესი.** კახეთის რკინის გზის ხაზზე მუშებისთვის დანიშნულია დამატებითი მატარებელი, რომელიც ყოველ შაბათ სალამოს გადის თბილისიდან. იქიდან მეორე დღეს დილით ისე ადრე ბრუნდება თბილისში, რომ მუშები ვერაფრის ყიდვას ვერ ასწრებენ და რჩებიან მეორე მატარებლისთვის. თუ ეს მატარებელი მუშებისთვის არის დანიშნული, მაშინ ის ამ მუშების თავისუფალი დროის შეფარდებით უნდა მიმოდიოდეს.

**სლიდოპიტი.**

— **მოგვაშორეთ ავარები.** (მილიციის საყურადღებოდ) ალექსანდროვის ბაღი, რომელიც დღეს თავისი სიმშვენიერით იზიდავს საზოგადოებას და დაქანცული მუშები ოჯახებით მოდიან სალამოობით ცოტა ხნით დასასვენებლად, ავარების ბუდეთ გადაიქცა. აქ მოსულ მუშებს და სხვებს დასვენების საშუალებას არ აძლევენ ქუჩის ავარები და მეძავი ქალები, რომლებიც ქუჩური სიტყვებით უმასპინძლდებიან მათ, ხშირად აქვს ადგილი აყალ-მაყალსაც.

ეს უსიამოვნებას იწვევს მუშებში და ისინი იძულებული ხდებიან დატოვონ ბაღი ამ ქუჩის ავარებს და მეძავ ქალებს. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს მილიციამ და გასწმინდოს ბაღი ავარებისაგან.

**შ. ვაჩეიშვილი.**

— **დასაშვებია?** მუშათა კოოპერატიულ სახლის № 64 თავმჯდომარე ხურცილავამ და გამგეობის წევრმა სახამძერიძემ ამავე სახლში მცხოვრებთ უმანიანის ქალს მის სახლში არ ყოფნის დროს გადმოუყარეს ბინიდან ბარგი. უბინაო თუმანიანის ქალი იძულებული იყო მოთავსებულიყო იმავე სახლის „პოდიეზდ-ში“. აქაც არ გააჩერეს და აქედან ხურცილავამ და სახამძერიძემ ეს ქალი შეასახლეს იქვე ხის ფარდულში. აღმასკომმა ნებადაურთველად გახსნილი ბუდკა ისევ დახურა. თუმანიანის ქალი ბავშვით ქუჩაშია დატოვებული.

**მუშკორი მეხი.**

— **როდის გამოსწორდება სასადილოს საქმე.** (ტყიბულის მაღაროები), შედიხარ სასადილოში გვირაბიდან გამოსული მუშა, გიხდება თითქმის ნახევარი საათი რიგში დგომა, რომ აიღო სადილის მოსატანი ჩეკი. შემდეგ გიხდებათ სკამის ძებნა.

როგორც იქნება, დიდი ვაი-ვაგლახით იშოვი სკამს. მაგრამ ყურადღებას არავინ გაქცევს, რომ სადილი მოგიტანოს, კარგა ჩხუბის შემდეგ მოგივა სადილი, შემდეგ უნდა უცადო პურის მოტანას, სადილს გაათავებ მოგივა დანა-ჩანგალი.. ასეთ მდგომარეობაში ვსადილობთ საერთოდ დასვრილი მუშები.

აესთია ტყიბულის მაღაროების მუშების მდგომარეობა სადილის ჭამის მხრით, ნეტავი როდის მოეღება ბოლო ამ მდგომარეობას.

**ა. მ.**



შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ ჭიათურიდან: ნინა მელქაძეს, კოლია მელქაძეს, ზოტინე სოფრომაძეს; დიმიტრი აბაშიძეს; გიორგი ლოლაძეს; შალვა გურულს; გიორგი გურულს; სამუელ ხარაიძეს, ვანო მოდებაძეს; ანტონ ტუსკიას; ბაბკენ კოჩიანს; ვალიკო კუპატაძეს; გიორგი ნუცუბიძეს; ისიდორე ხარატიშვილს; ისაკი მიქაძეს; თამარა ანდღულაძე-წერეთლისას; ექ. კიკაშვილს

**დიმიტრი ლაზარესძე მელქაძე**

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ ვასიკო ტაბატაძეს (კორბ. თემი) ალ. ნადირაძეს და ენუქ ბრეგვაძეს (საჩხერე) ვანო ჭუმბურიძეს (ლორუშა). მარიამ და ბესარიონ ციცქიშვილებს, სონია ორჯონიკიძეს, იპ. ბლიაძეს; (ხუნევი). ამბროსი ძაძამიძეს (ჭიათურა) და ვასო ახვერდოვს (თელავი).

**გრიშა გოგოლაძე.**

შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ: ვალენტინა ლობახუას, ტატიანა გეგუჩიძეს, ალექსანდრა რუხაძეს და თინა შანიძეს.

**სოფიო ლოლობერიძე.**

[illegible]

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ პირველი საკავშირო ასეულიდან: ცომაია თომას, გაბუნია ვლადიმერს, მიშა ცხადაძეს; ბიქტორ ზაუტაშვილს, ამხ. კვანტალიანს; ჭიჭინაძეს; ჭელიძეს; საჯაიას; ულამძეს; ადამიას; მაჭარაძეს; არევაძეს; ასლამაზოვს; როყვას; კუპატაძეს; სვანს; მიხელაშვილს; ტყაბლაძეს და ვაწაძეს.

**საშა თორაძე.**

შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: აკაკი დუნდუას, სამსონ ლეჟავას, ვასო მამაგეიშვილს; იოსებ ქართველიშვილს; ილია ქაჯაიას; ლუბა სანაძეს; ვანიკო ტაბიძეს; ვალიკო შენგელიას (ლანჩხუთი) ლევან ბუაძეს, კოსტა ჩაჩუას; თომა დუნდუას; ილია ნიკურაძეს, აკაკი გვარამიას; გრიშა ნაღარაძეს და საშა ნიკოლაევას (ქუთაისიდან).

**დავით ლოლობერიძე.**

შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ ილარიონ კალანდაძეს; ლაზარე ბაბაევს; ქეთო აბაშიძეს; ბაგრატ ალახვერდოვს, რაჟდენ დოლიძეს, სანდრო თოიძეს; ჯაფარი სულეიმანოღლს; შოთა სიმონიშვილს; ევგრაფი დალაქიშვილს და კოლია შაქარიშვილს.

**სიმონ მიქაშავიძე.**

შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ სოხუმიდან შალიკო გოჩოლეიშვილს, ტყიბულიდან ვასო კვანტალიანს, გორიდან ილიკო შარაშენიძეს; წნორიდან დათიკო სტეფანიშვილს; თბილისიდან აკაკი ფუტკარაძეს, ივანე მილლერს, ლადო მაჭარაშვილს; ირაკლი ტუხარელს; პეტია სიმონოვს ანტონ შარბაჩევს; გიორგი საათაშვილს; კასია ფურცელაძეს; ოლია გველესიანს და ეფრემ მელაძეს.

**კოლია ჯღამაძე**

შემომაქვს ათი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: მახვილაძე სილოვანს; მჟავანაძე გრიშას; კოხოძე ვალოდიას; თავხელიძე ნიკიფორეს; კაციტაძე არქიფოს, კაკუშაძე გრიშას, კელენჯერიძე გაბოს, ახალაძე ივანეს; ლორთქიფანიძე ეფრემს; ფურცელაძე გრიშა იულოსძეს; ასათიანი ვლადიმერს; შავგულიძე აქსენტის; გველესიანი ეთერიკას; ცუცქირიძე კლამედის; ფურცელაძე კორნელის; ფურცელაძე ვარლამს, გორგაძე საულს; ჩიქვინაძე მიხეილს; ფურცელაძე აბესალომს; მაჩიტაძე ვასილს; ნესტორ დვალიშვილს, ხეცურიანი გრიგოლს; ქაშაკაშვილს. ცაბურიოს; ყანჩაველი ლადიკოს; ჯაფარიძე დავითს და ეთერულიანი გავრილს.

**ჭიჭიკო ძოწენიძე.**

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ სამიქაოდან: გიორგი ლოჩოშვილს, სარდიონ ჯიქიას, სიმონ ლაბარტყავას, ცაბუ ლაბარტყავას, მიშა კეშელავას და უჩარდა ცოტაძეს, მარნიდან: გრიგოლ თელიას; პროკოპი ნოდიას; პარმენი ხინუას და გიორგი ანაკიძეს. გეზათ-გულუხეთიდან გიორგი კიკაბიძეს და კირილე გაბურიას.

**ბაგრატი დარიცმელიძე.**

შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ სამტრედიიდან: კალაძე ბესარიონ, კაჭარავა იოსებ; ხურცილავა ალექსანდრე, კვანტალიანი ავქსენტი; ქანთარია სამსონ; გეგუჩაძე ვასილ; ბაღდავაძე ალექსანდრე; გოგიშვილი ნოე, გეგეშიძე პეტრე; ჩაჩუა თეოფანე; რიონიდან: გოცირიძე ალექსანდრე. ხოჯავა გერმანე: ქუთაისიდან: ლაკვეხელიანი დავით: ლალიაშვილი ვალერიანე; კუკულაძე ალექსანდრე; ტყიბულიდან: რ უამაძე შალვა.

**თომა ლ. დონდუა.**

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ქ. სენაკიდან: გრიგოლ გვაძაბიას და დათიკო იოსელიანს, ნოქალაქევიდან: ლუკა კიკალეიშვილს და ილარიონ თულაძეს, მარტვილიდან: ვანიჩკა გეგეჭკორს და მოსე გვილავას. სალხინოდან: პარმენ გაგუას. სეფე კოკაია და ირაკლი ლაშხიას.

**ბიქტორ ბაკურია.**

შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ ფოთიდან ალექსანდრე კირთაძეს, მიხეილ საბახტარიშვილს; ზუგდიდიდან: სოკრატ კეშელავას, ბესარიონ ჯიქიას; ხობიდან: ბესარიონ ჯორჯიკიას; ჩხოროწყუდან: გრიგოლ ვახანიას; ბანძიდან რაჟდენ ქვარცხავას; აბაშიდან: ალექსანდრე ხავავას; ბაღდადიდან: კოტე კაკუშაძეს; ვასილ აბულაძეს, სამტრედიიდან: ილია თევზაძეს; აკაკი ლორთქიფანიძეს; ზესტაფონიდან: პლატონ სალაძეს, ჩხარიდან: ვასილ აბუსაძეს; ხრესილიდან: ნესტორ ქელბაქიანს.

**გაბო ბოჭორიშვილი.**

შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ თედორე ქირიას; აკაკი ბუკიას; ვალოდია გვასალიას; მაქ. ლატარიას, ალ. ნაჭყებიას; პაშა ფილიპიას; იონა ბუკიას; ლადო ქანთარიას; დ. კიტიას; ხობიდან: ილიკო ჯოჯუას; ნ. ფარცვანიას; ელ. ჯორჯიკიას; ტ. აბრამიას; აქ. შონიას; ვ. წურწუმიას; ზუგდიდიდან: მალ. ცხადაიას; ილია ნაჭყებიას, ამბროსი ჯოლოგუას; დარჩელიდან მიხა დემურიას და პ. სორდიას.

**ერასტი ბუკია.**

სენაკის სამაზრო გლეხკომის თანამშრომლებს შემოგვაქვს 20 მანეთი და ვიწვევთ საქართველოს ყველა სამაზრო და ავტონომიურ რესპუბლიკანურ ცენტრალურ გლეხკომებს.

**სენაკის სამაზრო გლეხკომის თანამშრომლები.**

შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ დ. საჩხერიდან: კოტე ქამუშაძეს; ი. ქელბაქიანს; პ. ჯაფარიძეს. ხ. დემეტრაშვილს; დ. კაპანაძეს, მ ქამუშაძეს; ს. იაკობიძეს; პ. ქამუშაძეს, წყ. ასატუროვს და ნადირაძეს.

**ზეინკალი ზაზო ქამუშაძე.**

შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ნინა დანელიას; ბიქტორი ძაგანიას; პიმენ ჩარგაზიას; კოლია მაჭარაშვილს, ქსენია ლაბარტყავას, ვალოდია ხატიშვილს; კოლია დავიდოვს; პეტრე ჭალაგანიძეს; გრიშა ალექსანდრესძე გეგეჭკორს და ირაკლი ლაშხიას.

**ბიქტორ ცავა.**

შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ ამხ. ალექსანდრე სანოძეს; (სოხუმი) მაქსიმე ხელაიას; პავლე ჯანჯღავას, ანდრია ბეჟალავას; ალექსანდრე ხაჟომიას; კოლია ჯღანჯღავას; დათიკო ჯღანჯღავას; სევერიანი წოწორიას და თედორე ჯოჯუას.

**კალისტრატე წოწორია.**

შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს დამცველთა კოლეგიის ყველა იმ წევრებს რომლებიც დარჩენ გამოუწვეველნი.

**სევერიან ლოლობერიძე.**

შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ ვანო სტურუას; გრიგოლ კუჭაიძეს; დავით კანდელაკს; იაკობ ვარძიელს, კოწია ხომერიკს; არჩილ მიქაძეს, პავლე საყვარელიძეს; ვანო ბოლქვაძეს; ალექსანდრე ერისთავს და მიშა ძაგანიას.

**დავით ბააზოვი.**

შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ მეორე ქართ. მსრ. ლეგიონიდან: ნინა ბაახია; ასათიანი ქსენია, იაშვილი ლიუბა; მაღნარაძე მარგალიტა; ციცხვაია პარასკევა; ლეგაშვილი თამარა; მესამე ქართულ მსროლელ ლეგიონიდან: შალვაძე ნინა, ულენტი ოლია; კვირცხალია კატუშა მეოთხე ლეგიონიდან: მიკარტიჩევი ლიზა; ქართ. მსროლელ პირველ დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულიდან: ცომაია ეუნია; ბათომის აჭარკომის ქალთა განყოფილებიდან თალაკვაძეს, ოლღა ბერაიას.

**ლიუბა ნესტორ ანდრიაძის ასული შონვაძე.**

შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ სამტრედიიდან კატო ალავიძეს; ნინო გველესიანს; ნუნუ ბეჟუაშვილს; კატუშა კოპალეიშვილს და ელენე ვაშაკიძეს, ქუთაისიდან იასონ ნიკოლაიშვილს; და შალიკო მოდებაძეს. ბათომიდან: საშა ნემსაძეს და პეტრე ბზიავას; ახალ-სენაკიდან ნატაშა ფრანგიშვილს-კორძაიასას, თბილისიდან; თამარა კორძახია-სვანიძისას; სოხუმიდან: ვასო ძაბუნიას და რუბენ მგელაძეს.

**თამარა ნიკოლაიშვილი.**

—:—

დღეს შემოსულია 89—00 მან.
სულ შემოსულია 5.582—59 კაპ. და ერთი მაჯის ოქროს საათი.

---

ციას აიწყდება, რომ „ჩვენი“ გაგება აქ ჯერ კიდევ საკმაო არაა იმისათვის, რომ ჩინელმა კომუნისტებმა წაიყვანონ მასები. ოპოზიციას ავიწყდება, რომ ამისათვის საჭიროა კიდევ, რომ თვით მასები დარწმუნდენ საკუთარი გამოცდილებით გომინდანის ხელმძღვანელობის რეაქციონერობასა და კონტრ-რევოლიუციონერობაში. ოპოზიციას ავიწყდება, რომ რევოლიუციას „ქმნიან“ არა მარტო მოწინავე ჯგუფი და არა მარტო, თუნდაც „მაღალი“ „პიროვნებანი“, არამედ პირველ ყოვლისა და უმთავრესად ხალხის მილიონიანი მასები. გასაოცარია, რომ ოპოზიციას ავიწყდება, რომ ხალხის მილიონიანი მასები მზად არიან გადამწრელი მოქმედებისათვის. ვიცოდით ჩვენ: პარტიამ და ლენინმა 1917 წ. აპრილში, რომ მილიუკოვ-კერენსკის დროებითი მთავრობის ჩამოგდება მოგვიხდებოდა, რომ შეუძლებელია დროებითი მთავრობის არსებობა და საბჭოების მოღვაწეობის შეთავსება, რომ ძალაუფლება საბჭოების ხელში უნდა გადავიდეს? დიახ, ვიცოდით. მაშ რატომ მონათლა ლენინმა ავანტიურისტებად ბოლშევიკების ერთი ჯგუფი პიტერში ბოგდატიევის მეთაურობით 1917 წლის აპრილში, როცა ეს ჯგუფი გამოვიდა ლოზუნგით „ძირს დროებითი მთავრობა, მთელი ძალა-უფლება საბჭოებს“, როცა ის დროებითი მთავრობის დამხობას ცდილობდა? იმიტომ, რომ მშრომელთა ფართო მასები: მუშათა ერთი ნაწილი, გლეხობის მილიონები, არმიის ფართო მასები და, ბოლოს, თვით საბჭოები ჯერ კიდევ არ იყვენ მზად ამ ლოზუნგის, როგორც სადღეისო ლოზუნგის შესათვისებლად. იმიტომ, რომ დროებით მთავრობას და ესერებისა და მენშევიკების წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიებს ჯერ კიდევ არ ამოეწურათ თავისი თავი, ჯერ კიდევ საკმაოდ არ გაეტეხათ სახელი მშრომელთა მილიონიან მასების თვალში. იმიტომ, რომ ლენინი ფიქრობდა, რომ დროებითი მთავრობის დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად საკმარისი არაა პროლეტარიატის მოწინავე ჯგუფებისა და პროლეტარიატის პარტიის შეგნება, ამისათვის საჭიროა კიდევ, რომ თვით მასები დარწმუნდენ საკუთარი გამოცდილებით ასეთი ხაზის სისწორეში.

იმიტომ, რომ საჭირო იყო მთელი კოალიციონური ვაკხანალიის გავლა, წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიათა მთავრობის ღალატის გავლა 1917 წლის ივნისსა და ივლისსა და აგვისტოში, საჭირო იყო გავლა სამარცხვინო შეტევისა ფრონტზე 1917 წლის ივლისში, საჭირო იყო გავლა წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიების „პატიოსანი“ კოალიციისა კორნილოვის და მილიუკოვის მეთაურობით, საჭირო იყო გავლა კორნილოვის აჯანყებისა და სხ., რომ მშრომელთა მილიონიანი მასები დარწმუნებულიყვნენ დროებითი მთავრობის დამხობასა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების აუცილებლობაში. იმიტომ, რომ მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლებოდა საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგი, საპერსპექტივო ლოზუნგიდან გადაქცეულიყო მომენტის ლოზუნგად.

ოპოზიციის უბედურება იმაშია, რომ ის წარამარა უშვებს შეცდომებს, როგორც ერთ დრო უშვებდა შეცდომებს ბოგდატიევის ჯგუფი; ოპოზიციის უბედურება იმაშია, რომ ის, სტოვებს რა ლენინის გზას, ამჯობინებს ბოგდატიევის გზით სიარულს.

როდესაც მონაწილეობას ვიღებდით დამფუძნებელი კრების არჩევნებში, როდესაც ვიწვევდით მას პიტერში, ვიცოდით თუ არა ჩვენ: პარტიამ და ლენინმა, რომ დამფუძნებელი კრება ვერ ეგუება საბჭოთა ხელისუფლების სისტემას? დიახ, ვიცოდით. მაშ რისთვის ვიწვევდით მას? რანაირად მოხდა, რომ ბოლშევიკებმა, პარლამენტარიზმის მტრებმა, რომლებმაც წამოაყენეს საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგი, არა თუ მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში, არამედ მოიწვიეს კიდეც დამფუძნებელი კრება? ხომ არ იყო ეს „კუდში ჩანჩალი“, ჩამორჩენა მოვლენათა მსვლელობისაგან, „მასების უკან დახევა“, „შორს დამიზნების“ ტაქტიკის დარღვევა? რასაკვირველია, არა. ბოლშევიკები ამ გზას დაადგენ იმიტომ, რომ ხალხის ჩამორჩენილ მასებისათვის გაეადვილებინათ დამფუძნებელი კრების უვარგისობის, მისი რეაქციონერობის, მისი კონტრ-რევოლიუციონერობის ცხადათ დანახვა. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა გლეხობის მრავალმილიონიანი მასების მიმხრობა, დამფუძნებელი კრების გარეკვის გაადვილება. აი, რას სწერს ამის შესახებ ლენინი:

1917 წლის სექტემბერსა და ნოემბერში ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ რუსეთის ბურჟუაზიულ პარლამენტის, დამფუძნებელი კრების არჩევნებში. სწორი იყო თუ არა ჩვენი ტაქტიკა? გვქონდა თუ არა ჩვენ — რუს ბოლშევიკებს —მეტი უფლება დასავლეთის კომუნისტებზე, 1917 წლის სექტემბერ-ნოემბერში პოლიტიკურად დრომოჭმულად ჩაგვეთვალა პარლამენტარიზმი რუსეთში? რასაკვირველია, გვქონდა, ვინაიდან საქმე იმაში კი არ არის, რომ დიდი ხანი არსებობს თუ არა ბურჟუაზიული პარლამენტი, არამედ იმაში, თუ რამდენად მომზადებული არიან (იდეურად, პოლიტიკურად და პრაქტიკულად) მშრომელთა ფართე მასები იმისთვის, რომ მიიღონ საბჭოთა წესწყობილება, იმუშაონ და გარეკონ ან და ხელი შეუწყონ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარლამენტის გარეკვას.

რომ რუსეთში 1917 წლის სექტემბერ-ნოემბერში მუშათა კლასი ქალაქებში, ჯარისკაცები და გლეხები მთელ რიგ განსაკუთრებულ პირობების გამო ფრიად მომზადებული იყვენ საბჭოთა წყობილების მისაღებად და სავსებით დემოკრატიულ პარლამენტის გასარეკად, ეს არის უდავო და სავსებით დადასტურებული ისტორიული ფაქტი, მაგრამ, მიუხედავად ამისა ბოლშევიკებმა ბოიკოტი კი არ გამოუცხადეს დამფუძნებელ კრებას, არამედ მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში პროლეტარიატის მიერ პოლიტიკურ ხელისუფლების დაპყრობამდეც და მას შემდეგაც. დასკვნა აქედან სრულიად უდავოა: დამტკიცებულია, რომ რამოდენიმე კვირით ადრე საბჭოთა რესპუბლიკის გამარჯვების წინ და ამ გამარჯვების შემდეგაც კი ბურჟუაზიულ პარლამენტში მონაწილეობას არა თუ რამე ზიანი არ მოაქვს პროლეტარიატისათვის, არამედ კიდევაც უადვილებს მას დაუმტკიცოს ჩამორჩენილ მასებს რატომ არიან ასეთი პარლამენტები გარეკის ღირსი, აადვილებს ამ გარეკას, აადვილებს ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმის „პოლიტიკურად დაძლევას“. (ლენინი: „მემარცხენეობის „საყმაწვილო სენი კომუნიზმში“ ტ. 17 გვ. 149).

აი, როგორ იყენებდენ ბოლშევიკები სინამდვილეში ლენინიზმის მესამე ტაქტიკურ პრინციპს.

აი, როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ბოლშევიზმის ტაქტიკა ჩინეთში, სულ ერთია, ლაპარაკია აგრარულ რევოლიუციასა და გომინდანის შესახებ, თუ საბჭოების ლოზუნგის შესახებ.

ოპოზიცია, როგორც სჩანს, იმ აზრისკენ იხრება, რომ ჩინეთის რევოლიუციამ განიცადა სრული მარცხი. ეს, რასაკვირველია, არ არის მართალი.

რომ ჩინეთის რევოლიუციამ განიცადა დროებითი დამარცხება, ეს უეჭველია. მაგრამ როგორია ეს დამარცხება, რამდენად ღრმაა იგი,— აი, რაში მდგომარეობს ამჟამად კითხვა. შესაძლებელია, რომ ეს არის ისეთივე შედარებით ხანგრძლივი დამარცხება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა რუსეთში 1905 წელს, როდესაც რევოლიუცია შეწყდა მთელი თორმეტი წლით და 1917 წლის თებერვალში იფეთქა კიდევ მეტი ძალით, დაამხო თვითმპყრობელობა და მოუმზადა ნიადაგი საბჭოთა რევოლიუციას. ეს პერსპექტივა შესაძლებელია. მაგრამ ეს კიდევ არ არის რევოლიუციის სრული დამარცხება, ისე, როგორც 1905 წლის დამარცხება არ იყო საბოლოო დამარცხება.

ეს არ არის სრული დამარცხება, ვინაიდან ჩინეთის რევოლიუციის ძირითადი ამოცანები განვითარების ეხლანდელ პერიოდში აგრარული რევოლიუცია, ჩინეთის რევოლიუციონური გაერთიანება და იმპერიალიზმის მონობის უღლიდან განთავისუფლება,—ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია. თუ ეს პერსპექტივა იქცევა რეალობად, მაშინ შეუძლებელია ლაპარაკი მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნის შესახებ ჩინეთში, ვინაიდან საბჭოების შექმნა და გამარჯვება მხოლოდ რევოლიუციონური ენტუზიაზმის პირობებში შეიძლება. მაგრამ საეჭვოა, რომ ეს პერსპექტივა იქნეს ცნობილი რეალობად. ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით არ არის საფუძველი ამისათვის. არ არის საფუძველი, ვინაიდან კონტრ-რევოლიუცია ჯერ არ არის გაერთიანებული და მალე ვერ გაერთიანდება, თუ მას საერთოდ შეუძლია როდისმე გაერთიანდეს, ვინაიდან ძველი და ახალი მილიტარისტების ბრძოლა ერთმანეთს შორის კვლავ ჩაღდება და მას არ შეუძლია არ შეასუსტოს კონტრ-რევოლიუციის ძალა და ამასთან ერთად არ გაალატაკოს და არ დაასუსტოს გლეხობა; ვინაიდან ჩინეთში ჯერ არ არის ისეთი ჯგუფი ან ისეთი მთავრობა, რომელსაც შეეძლოს სტოლიპინის მაგვარი რეფორმის ჩატარება, რაიც იქნებოდა ძველი ბატონების არსებობის განგრძლივების საშუალება, ვინაიდან მრავალი მილიონი გლეხობა, რომელიც უკვე ხწვდა მემამულეთა მიწებს, ძნელი დასაწყნარებელია; ვინაიდან პროლეტარიატის ავტორიტეტი მშრომელთა მასების თვალში დღითი-დღე იზრდება და მისი ძალები არ არის განადგურებული.

შესაძლოა, რომ ჩინეთის რევოლიუციის დამარცხება ანალოგიურია იმ დამარცხებისა, რომელიც ბოლშევიკებმა განიცადეს 1917 წლის ივლისში, როცა საბჭოებმა გასცეს ისინი, როცა ისინი იძულებული გახდენ არალეგალური მუშაობა დაეწყოთ და როცა რამოდენიმე თვის შემდეგ რევოლიუცია კვლავ გამოვიდა ქუჩაში, რომ წაელეკა იმპერიალისტური მთავრობა რუსეთში. ანალოგია აქ, რასაკვირველია, პირობითია. მე ამ ანალოგიას უშვებ მხოლოდ ყველა შესწორებებით, რომელნიც აუცილებელია, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი დროის ჩინეთის და 1917 წლის რუსეთის სხვადასხვაგვარ სიტუაციას. ასეთ ანალოგიას მივმართავ მხოლოდ იმისათვის, რომ დაახლოებით ავსახო რევოლიუციის ხარისხი.

მე ვფიქრობ, რომ ეს პერსპექტივა უფრო მოსალოდნელია. და თუ ეს პერსპექტივა რეალურ სახეს მიიღებს უახლოეს ხანში, უეჭველად 2 თვის განმავლობაში კი არა, არამედ ნახევარი წლის, ერთი წლის განმავლობაში და რევოლიუციის ახალი აფეთქება ფაქტი შეიქნა, შეიძლება დღის წესრიგში დაისვას საკითხი მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს დაარსების შესახებ, რომელიც დაუპირდაპირდება ბურჟუაზიულ მთავრობას. რატომ? იმიტომ, რომ რევოლიუციის ახალი აფეთქების პირობებში, საკითხი საბჭოების დაარსების შესახებ სრულიად მომწიფდება. გუშინ—რამდენიმე თვის წინათ ჩინეთის კომუნისტებს არ უნდა წამოეყენებინა ლოზუნგი საბჭოების დაარსების შესახებ. ეს იქნებოდა ავანტიურიზმი, რომელიც ასე სჩვევია ჩვენს ოპოზიციას, ვინაიდან გომინდანის ხელმძღვანელობამ ვერ მოასწრო თავისი თავის, როგორც რევოლიუციური ხელმძღვანელების [illegible]. დღეს კი, პირიქით, საბჭოების შექმნის იდეა შეიძლება გახდეს ნამდვილი რევოლიუციონური ლოზუნგი, თუ-კი (თუ-კი!) უახლოეს მომავალში ხელახლა მძლავრად იფეთქა რევოლიუციამ. ამიტომ დღესვე, რევოლიუციის ახალ აფეთქებამდე, გომინდანის დღევანდელი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებასთან ერთად, უნდა განვითარდეს ფართო პროპაგანდა საბჭოების იდეის სასარგებლოთ, მაგრამ დღესვე-კი არ უნდა შეიქმნეს ეს საბჭოები, არამედ უნდა გვახსოვდეს რომ საბჭოების აყვავება შესაძლებელია მხოლოდ რევოლიუციის ახალი მძლავრი აფეთქების დროს.

შეიძლება ოპოზიციამ სთქვას, რომ ეს „პირველად“ სწორედ მან სთქვა, რომ სწორედ ეს არის ის, რასაც ოპოზიცია უწოდებს „შორს დამიზნების“ ტაქტიკას. ეს-კი სწორი არ არის, სრულებით სწორი არ არის, ეს „შორს დამიზნების“ ტაქტიკა კი არ არის, არამედ ეს არის უთავბოლო ხტიალის ტაქტიკა. არც ის იყო სწორი ტაქტიკა, როდესაც ოპოზიციამ 1926 წლის აპრილში მოითხოვა გომინდანიდან კომუნისტების გაწვევა. არც ის, როდესაც ჩინეთის რევოლიუციას იხილავდა როგორც ბრძოლას საბაჟო ავტონომიისათვის და ოპოზიციამ შემდეგ აღიარა კიდევ თავისი შეცდომა. და ჩაჩივით გაება თავისივე ფორმულიროვკას. როდესაც 1927 წლის აპრილში ოპოზიციამ, ჩინეთის ფეოდალური ნაშთიდან გაზვიადებულათ გამოაცხადა, ესეც შეცდარი ტაქტიკა იყო, ვინაიდან თვითონ ოპოზიციონერებმაც აღიარეს მაშინ წინააღმდეგობათა არსებობა ოპოზიციის ბანაკში და ერთ-ერთი მათგანი (ტროცკი) მოითხოვდა უხანის მთავრობის დამხობას. მეორე (ზინოვიევი), პირიქით, მოითხოვდა „ყოველმხრივ დახმარებას“ იმავე უხანის მთავრობისათვის. მაგრამ რამდენი ხანია, რომ ხტიალის ტაქტიკას, ჩვენში აცხადებენ „შორს დამიზნების“ ტაქტიკად?

საბჭოების შესახებ უნდა ითქვას, რომ საბჭოების შესახებ ჩინეთში, როგორც პერსპექტივაზე, კომინტერნებში გამოსთქვა აზრი თავის გადაწყვეტილებაში ოპოზიციაზე ბევრად უფრო ადრე. რაც შეეხება საბჭოებს, როგორც სადღეისო ლოზუნგს, რომელიც წამოაყენა ოპოზიციამ მიმდინარე წლის გაზაფხულზე, როგორც რევოლიუციონურ გომინდანის დაპირისპირება, (გომინდანი მაშინ რევოლიუციონური იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში რა საჭირო იყო ზინოვიევის ყვირილი გომინდანისათვის „ყოველმხრივ დახმარების“ აღმოჩენის შესახებ), ეს იყო აჩქარებული მყვირალა ავანტიურა, ისეთივე ავანტიურა და აჩქარება, როგორიც დაუშვა ბოგდატიევმა 1917 წლის აპრილში. იმ გარემოებიდან, რომ საბჭოების ლოზუნგი უახლოეს მომავალში შეიძლება გახდეს ჩინეთში სადღეისო ლოზუნგად, კიდევ არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ ოპოზიციის მიერ ამ ლოზუნგის წამოყენება ამა წლის გაზაფხულზე არ იყო საშიში და მავნე ავანტიურა. ისე, როგორც იმ გარემოებიდან, რომ ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ ლენინმა აუცილებლად და თანადროულად სცნო 1917 წლის სექტემბერში (ცეკას ცნობილი გადაწყვეტილება აჯანყების შესახებ), სრულებითაც არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ ამ ლოზუნგის წამოყენება ბოგდატიევის მიერ 1917 წლის აპრილში არ იყო მავნე და საშიში ავანტიურა.

ბოგდატიევსაც შეეძლო ეთქვა 1917 წლის სექტემბერში, რომ მან „პირველმა“ წამოაყენა საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგი 1917 წლის აპრილში, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ბოგდატიევი იყო მართალი და ლენინი კი არა, რომელსაც სასტიკად ილაშქრებდა მის გამოსვლას 1917 წლის აპრილში? როგორც სჩანს ბოგდატიევის სახელი მოსვენებას არ აძლევს ოპოზიციას.

ოპოზიციას არ ესმის, რომ საქმე სრულებითაც არ არის იმაში, რომ სთქვა „პირველმა“, აჩქარებით და არევ-დარევა შეიტანო რევოლიუციის საქმეში, არამედ იმაში, რომ სთქვა თავის დროზე და სთქვა ისე, რომ ნათქვამს გაშინაურონ მასებმა და გარდაქმნან იგი საქმედ. ასეთია ფაქტები.

ოპოზიციის ჩამოშორება ლენინურ ტაქტიკიდან და მისი პოლიტიკური ულტრა-მემარცხენე ავანტიურიზმი—ასეთია შედეგები.

---

## საქართველოს ცაკში

### გლეხის სასახლეში

სრულიად საქართველოს აღმასრულებელ კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით გასულ თვეში (ივნისში) თბილისში ჩამოვიდა და 2,822-ჯერ ღამე გაათია გლეხის სასახლეში 749 გლეხმა. ამათში მამაკაცი იყო 578, ქალი 171, ქართველი 475, რუსი 94, სომეხი 101-ი, თათარი 57-ი და სხვა ეროვნების 21 კაცი. თბილისში თავის პირად საქმეებზე იყო ჩამოსული 476 გლეხი, ავადმყოფობის გამო 96 გლეხი. დანარჩენი 177 ნაწილი ჩამოსული იყო მაზრებისა და სოფლების დავალებით მთავრობასთან, ხოლო მეორე ნაწილი კი გამოგზავნილი იყო სხვადასხვა ყრილობებზე და კონფერენციებზე დელეგატებად. ზემოაღნიშნულ თვის განმავლობაში გლეხის სასახლემ უფასოდ მისცა სადილი 125 ღარიბ გლეხს, 288 გლეხი ასადილა ფასდაკლებით, 84 გლეხს აღმოუჩინა უფასო საექიმო დახმარება; უფასოდ მისცა იურიდიულ რჩევა დარიგება და განცხადებები დაუწერა 46 გლეხს, 8 გლეხს მისცა საგზაო ფული და ტანსაცმელი გაუსუფთავა (სადეზინფექციო კამერაში) და უფასოდ აბანავა 600 გლეხი.—ამ ეზოში გლეხის სახლის ბაქში გაიარა გლეხების 800 ურემმა და 815 სულმა საქონელმა.

### როგორ მუშაობენ გლეხკომები ბორჩალოს მაზრაში

საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობებით 1921 წლის პირველ ოქტომბრიდან 1927 პირველ ივნისამდე ბორჩალოს მაზრაში მომუშავე გლეხკომებმა ინვალიდებს, ობლებს, ქვრივებს და წითელ არმიელების ოჯახებს დახმარება მისცა 1540 მანეთი და 47 კაპ. ღარიბ გლეხებს სესხად მისცა 7.987 მანეთი, კულტურულ დაწესებულებებზე და საქმეზე დახარჯა 4.230 მან. და 80 კაპიკი. უფასო იურიდიული დახმარება აღმოუჩინა 722 გლეხს, შრომით დახმარება აღმოუჩინა 28 ოჯახს, თავის საშუალებებით შეიყვანა წევრებათ კოოპერატივში 25 გლეხი და თავის ძალებით და საშუალებებით მოაწყო მაზრაში სამანქანო და სარძეო ნადები ათი.

## ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისათვის

ა. კ. ცაკთან გამოყოფილია კომისია, რომელმაც უნდა ჩაატაროს ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში.

კომისიამ უკვე მიიღო დღესასწაულის ჩატარების საორგანიზაციო გეგმა.

გეგმის მიხედვით განზრახულია გამოცემული იქნეს კრებული საბჭოთა ხელისუფლების ისტორიისა და მიღწევების შესახებ ამიერ-კავკასიაში; გამოცემული იქნება აგრეთვე პოპულიარული ლიტერატურა მუშებისა, გლეხებისა და ბავშვებისათვის, მხატვრული პლაკატები და ალბომი, გამოცხადებული იქნება კონკურსი საუკეთესო პიესაზე, კინო-სცენარიზე და ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმობის ჰიმნზე.

ამისდამიხედვით კომისიამ გამოჰყო სექციები: ლიტერატურულ-საგამომცემლო, მხატვრული ეკონომიურ საუფლებო და საორგანიზაციო საფინანსო.

საქართველოს მწერალთა კავშირს გადაეცა მონოპოლიური უფლება გამოსცეს პლაკატები ა. კ. და რესპუბლიკანური მთავრობის წევრების და პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა სურათებით.

## ოსმალეთის მთავრობის კომისია თბილისში

გუშინ სტამბოლიდან თბილისში ჩამოვიდა ოსმალეთის მთავრობის კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ანატოლიის რკინის-გზების დათვალიერება.

კომისიაში შედიან—ბ. ბ. **აბდულა ბეი** (ოსმალეთის რკინის-გზათა უფროსი), **ნური-ტიმ ბეი** (ანატოლიის რკინის გზათა ინსპექტორი) და **ვეისი ბეი**.

ჩვენ თანამშრომელთან საუბარში წევრებმა განაცხადეს:

— ჩვენს კომისიას დავალებული აქვს შეისწავლოს და გამოარკვიოს ოსმალეთის რკინის გზების მდგომარეობა, განსაკუთრებით აღმოსავლეთის უბნების, რკინის გზები, ვინაიდან ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევთ სწორედ ამ გზებს საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან დამოკიდებულების საქმეში. საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის განსამტკიცებლად მთავარი მნიშვნელობა აქვს ტრანზიტს და ჩვენს მიზანს შეადგენს სწორედ ჩვენი გზების სატრანზიტო უნარიანობის გამოკვლევა.

ჩვენი ჩამოსვლა ამიერ-კავკასიაში აიხსნება შემდეგი მიზეზებით: ჯერ ერთი ჩვენ გვსურდა გავსცნობოდით ა.-კ. რკინის-გზების მუშაობას, მეორე—არც ერთ ჩვენგანს არ უნახავს კავკასია და მესამე—ყარსისკენ და ერზერუმისაკენ აქედან უფრო მოსახერხებელია გადასვლა.

საუბრის დასასრულს სტუმრებმა აღნიშნეს, რომ ოსმალეთში ამჟამად სწარმოებს სამი დიდი რკინის-გზის გაყვანა: ანგორა—ცეისარი ანგორა—ანატოლია და მესამე რკინის-გზის აგება გადაცემული აქვს ფრანგულ კონცესიას.

## გერმანიის მეცხვარეთა დელეგაციის ჩამოსვლა

გუშინ როსტოვიდან საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩამოვიდა გერმანელ მეცხვარე-სპეციალისტთა ჯგუფი, რომელშიაც შედიან—**კარლ ვრედე**, ბერლინის მესაქონლეობის კამერის გამგე, **ჰანს ვებერ**—მეცხვარეობის სპეციალისტი შარლოტენბურგიდან, **ფ. შულც-მერსდორფი** — მეცხვარე ბრანდენბურგიდან, **იულ. ბრიუნინგი** — მეურნე ქალ. ამოლენიდან და **დიტრიხ ტილე**—მეცხვარეობის სპეციალისტი.

მათ თან ახლავს საკავშირო საქც.საზო-ბა „ოვცევოდის“ საწარმოო განყოფილების გამგე სწავლული აგრონომი-მესაქონლე **ი. სლადკევიჩი**.

მათი ჩამოსვლის მიზნის შესახებ ქ. **ვრედემ** ჩვენს თანამშრომელს განუცხადა:

— ჩვენი ჩამოსვლის მიზანია გავეცნოთ მეცხვარეობის საქმეს საბჭოთა კავშირში, სადაც მეცხვარეობა შედარებით სხვა ქვეყნებთან კარგ მდგომარეობაშია. ჩვენ უკვე მოვასწარით მეცხვარეობის მთელი რიგი რაიონების გაცნობა. გარდა ამისა, ჩვენს მიზანს შეადგენს გავაუმჯობესოდ გერმანიის ცხვრების ჯიშები, რისთვისაც საჭიროა მრავალი ჯიშების შესწავლა.

საქართველოში ჩვენ გვაინტერესებდა საქართველოს სამხედრო გზატკეცილის ნახვა. თბილისში ვფიქრობთ დავრჩეთ დაახლოვებით ორი დღე და გავეცნოთ ადგილობრივ მეცხვარეობის საქმის მდგომარეობას.

## რკ.-გზების მართვა-გამგეობის რეფორმა

ა.-კ. რკინის-გზების სამმართველოში მიღებული ცნობით, 20 ივლისს მოსკოვში, გზათა კომისრის თანაშემწის ამხ. **დ. ე. სულიმოვის** თავმჯდომარეობით შესდგა საბჭოთა კავშირის ტრანსპორტის მმართველობის საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენება რკინის-გზების მართვა-გამგეობის რეფორმის შესახებ.

როგორც ამ მოხსენებიდან სჩანს, უნდა მოხდეს რკინის-გზების მართვა-გამგეობის არსებული კოლეგიალური სისტემის შეცვლა ერთეულ პირთეული მართვა-გამგეობის სისტემით. ამგვარად გზის სათავეში უნდა დაინიშნოს ერთი მმართველი, რომელსაც ეყოლება ერთი თანაშემწე. უკანასკნელი უსათუოდ უნდა იქნეს ინჟინერი.

გათვალისწინებულია გზებზე ეხლა არსებულ განყოფილებების და სამსახურების რეორგანიზაცია. მათი რიცხვი ექვსამდე იქნება დაყვანილი. გზის მუშაობის დაგეგმვისა და გზის მუშაობის შესაფასებლად დაარსდება საგეგმო ეკონომიური განყოფილება. ამ განყოფილებას გადაეცემა ეხლა არსებულ კომერციულ განყოფილების ფუნქციების ნაწილი; ეს უკანასკნელი კი, როგორც დამოუკიდებელი ორგანო იშლება, რაც შეეხება საკითხებს, ტვირთების გაზიდვის, საქონლის გავუჯების შესახებ წამოყენებულ პრეტენზიების, ტვირთების დაკარგვის და დანაკლისის, საიერებიის საქმეს და დამხმარე წარმოების შესახებ, რომელთაც აქამდე განაგებდა კომერციული განყოფილება—გადაეცემა მოძრაობის განყოფილებას.

განზრახულია აგრეთვე სტატისტიკური განყოფილების ლიკვიდაცია. მისი ფუნქციები განაწილებულ იქნება განყოფილებათა შორის.

რათა ადგილი არ ექნეს სხვა და სხვა განყოფილებების საანგარიშო მუშაობაში პარალელიზმს, აუცილებლად არის ცნობილი ამ საქმის ცენტრალიზაცია საალრიცხვო-ფინანსიურ განყოფილებაში.

გათვალისწინებულია საშემოსავლო განყოფილების ლიკვიდაციაც. მისი ფუნქციები გადაეცემა საალრიცხვო-ფინანსიურ განყოფილებას, ხოლო მისი ნაწილი ფინანსიური კონტროლისა გადაეცემა მოძრაობის განყოფილებას.

ამასთანავე გათვალისწინებულია კავშირისა და ელექტრო-ტეხნიკური განყოფილების ლიკვიდაცია. მისი ფუნქციები განაწილდება წევისა და მოძრაობის განყოფილებებს შორის.

გზის მატერიალური მომარაგების საქმე უნდა მიენდოს მთლიანად მხოლოდ მატერიალურ განყოფილებას. ამგვარად, ეხლანდელ განყოფილებებთან არსებული სპეციალური ნაწილები მოისპობა.

რაც შეეხება დანარჩენ აპარატებს, განზრახულია იურიდიულ განყოფილების მაგიერ იურიდიულ ბიუროს დაარსება, ხოლო შრომის მეცნიერული ორგანიზაციის და გამომგონებლობისათვის ხელის შეწყობის საქმე მიენდობა რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროს.

შრომისა და ყოფა-ცხოვრების მომწესრიგებელი საგზაო ბიურო დაიშლება და მისი ფუნქციები დაეკისრებათ განყოფილებების და ხაზზე მომუშავე ორგანოებს.

ნაცვლად ადმინისტრატიული განყოფილებისა, იქნება კანტორა, რომელიც ემსახურება მხოლოდ გზის მმართველობის აპარატს.

გათვალისწინებულია განყოფილებების და უბნების ხელმძღვანელ პირთა უფლებების გაძლიერება-გაფართოება, ფინანსიურ-მატერიალური საკითხების დამოუკიდებლივ გადაწყვეტის მხრივ.

საუბნო განყოფილებები, სახელოსნოები, დამხმარე წარმოებები და სხვა სამეურნეო ნაწილები, ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის მხრივ ითვლებიან დამოუკიდებელ ერთეულებად.

საკავშირო ტრანსპორტის მმართველობის საბჭოს პრეზიდიუმმა რკ.-გზ. მართვა-გამგეობის რეფორმის ეს ძირითადი დებულებები მოიწონა და საჭიროდ სცნო მისი დაწვრილებითი განხილვა, მათი ყველა გზებზე ცხოვრებაში გატარების დროს.

## სტატისტიკის სამმართველოში

### გლეხის ბიუჯეტი

საქართველოს სტატისტიკის ცენტრ. სამმართველომ ჩაატარა გლეხის ბიუჯეტის გამოკვლევა თელავის მაზრაში. ამჟამად ასეთივე გამოკვლევა სწარმოებს გორის მაზრაში.

### სტატ. საგეგმო კომისიაში

სტატისტიკის საგეგმო კომისიის პირველ სხდომაზე 28 ივლისს არჩეულ იქნა საგეგმო კომისიის პრეზიდიუმი და შემდეგი ქვეკომისიები: 1) შრომის და მრეწველობის, 2) სასოფლო მეურნეობის, 3) გაცვლა-გამოცვლის, 4) სოციალური სტატისტიკის და 5) სახალხო მეურნეობის ბალანსის.

ყოველგვარი საკითხები წინასწარ დამუშავდება ქვეკომისიებში და შემდეგ გატარდება საგეგმო კომისიის პლენუმზე.

### რაიონულ სტატისტიკოსების კონფერენცია

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურმა სამმართველომ გადასწყვიტა ა. წ. პირველ სექტემბრისათვის მოიწვიოს საქართველოს ყველა მაზრების და ავტონომიურ რესპუბლიკათა რაიონულ სტატისტიკოსების კონფერენცია. კონფერენციის მიზანია რაიონულ სტატისტიკოსთა მუშაობის გაცნობა, მომავალ მუშაობის გეგმის გამომუშავება და ინსტრუქტაჟი. აღნიშნულ კონფერენციაზე მოწვეული იქნებიან აგრეთვე სავაჭრო ფასების ცნობების მომწოდებელი აგენტები.

## „სოფლის კავშირში“

### 821,252 მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღები

სასოფლო-საკრედიტო ამხანაგობათაგან მიღებულ შეკვეთების თანახმად, „სოფლის კავშირის“ „ზაკსელმაშ“-ს შეუკვეთა 821.252 მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღები. დახარჯვის ხარჯების შემცირების მიზნით, „სოფლის კავშირმა“ შემოიღო შემდეგი წესი: შეკვეთილი მანქანები ქარხნიდან იგზავნება უშუალოდ სას. საკრედიტო ამხანაგობის სახელზე სოფლის კავშირის საწყობში გაუტარებლად.

საკრედიტო ამხანაგობები გლეხებს სას. სამ. იარაღებს და მანქანებს აძლევენ შეღავათიან პირობებით. ღირებულების 25 პროცენტს იხდიან ნაღდით, დანარჩენს 75 პროცენტს ნაწ. ნაწილად —3 წლის განმავლობაში იმ კრედიტების ხარჯზე, რომელსაც გლეხობას აძლევს საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი.

### გასაღებული მანქანა-იარაღები

„სოფლის კავშირის“ მიერ საკრედიტო ამხანაგობათა დახმარებით გასაღებულია გუთანი—853, ფარცხი — 204, კულტივატორი — 492, საცეხველი — 334, სათიბი იარაღები—22, ძნის შესაკვრელი იარაღები — 19, ყურძნის საწნეხი —150; ჩალის საჭრელი მანქანები — 19, ფორძონის ტრაქტორი — 9; შაბიამანი — 1200 ტონა, გოგირდი — 480 ტონა, რკინეული 1 ვაგონი; ვენახების შესაწამლი რკინის მაშინები—3 ვაგონი; გარდა ამისა გასაღებულია ფილმოსილის მანქანები, სასხლავი დანები, მაშხალები, ცელები, ხერხები, ბარები და სხვა.

„სოფლის კავშირი“ ასრულებს სას. სამ. საკრედიტო ამხანაგობათა ცალკე დავალებებს, როგორც არის მაგალითად სამშენებლო მასალის შეძენა და სხვა.

[illegible]

# სურებ-ჩოხატაურის გზა

მადლენა ბარონის ასული ბიბინეიშვილის გამოწვევით, **სურებ ჩოხატაურის გზის ფონდის** გასაძლიერებლად შემომაქვს **ხუთი მანეთი** და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გაიანე ივანე ბარამიძის ასულ ალავიძისას, ძაბუნა კალანდაძის ასულ რამიშვილისას, მუქუტა ჩიჩუას (ოზურგეთიდან), ეშანა ჰავჭავაძის ასულ გეორგაძისას, (ბათომიდან), ილიკო ლუკასძე სიმონიას და კონა ლევანისძე სიმონიას, (ბაქოდან), პისტია კიწმარიშვილს და ანიჩკა მათე ბარამიძის ასულ კიწმარიშვილისას, (ბულიეთიდან), ჟენელა მიხეილის ასულ ბარამიძეს და მარო თავართქილაძეს.

**რისიმე ბესარიონ ბარამიძის ასული კეკელიძისა.**

* * *

თანახმად ამხ. პოლის ლომინეიშვილის და ბლფესი გაგუას გამოწვევისა შემომაქვს სურებ ჩოხატაურის გზის გასაძლიერებელ ფონდში ხუთი მანეთი (5) და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: სამტრედიიდან: დავით ლოლობერიძეს, იუსტინე პაპავას, ანდრო კანდელაკს, ამბროსი ზოდელავას, მარუსია გიორგაძეს, თამარა შანიძეს და აგრაფინა ფარულავას. ბათომიდან: ანტონ ჩხაიძეს, ანასტასია ჩხაიძეს და ანდრო და შალიკო ჩიქოვანებს. თბილისიდან კაპიტო კოტრიკაძეს და თამრო (თეო) ზარამიძეს, ლაგოდეხიდან კოლია ფარულავას და ვასილ ჭაფოძეს. დიდი-ვანიდან სეფე რამიშვილს, ტროფიმე რამიშვილს და ანდრო რამიშვილს.

**პოლიკარპე კეკელიძე.**

* * *

თანახმად ეკა ხუნდაძე-ჭაფოძის გამოწვევისა, შემომაქვს სურებ-ჩოხატაურის გზის ფონდის გასაძლიერებლად ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს. ულენტი ანდრო, თენეიშვილი ვლადიმერ, ხუნდაძე არკადი. ულენტი გრიშა, ხუნდაძე ვალიკო, საბახტარიშვილი ვარდენ პაპავა ანტონისძე, ვოლკოვი თამარა სოხაძე. პიმენ, ხუნდაძე სიმონ ირაკლესძე, ხუნდაძე პლატონ დავითისძე, ხუნდაძე ტროფიმე, საჭამია სერიდან: ჭკუასელი ევგენი იოსებისძე, სხვიტარიძე ილიკო, ზაქარიაშვილი ვარდენ, ჭკუასელი სანდრო, ცხომელიძე ვანო; ხუნდაძე ვანოს ტეფანესძე, ზაქარიაშვილი ვიქტორ, ხუნდაძე ალექსანდრე მიხეილისძე, ჭკუასელი გიგო ლუკასძე, ჭკუასელი ვიქტორ, რამიშვილი სვიმონ ხუნდაძე, დათიკო ონიფანტესძე ხუნდაძე დათიკო მაქსიმესძე, ხუნდაძე გრიშა ირაკლესძე.

**სვიმონ პართენისძე ხუნდაძე.**

# ინფუზორიტის დამუშავების რაციონალიზაცია

## სპეციალური კომისიის დასკვნები

23 ივლისს ს. მ. უ. ს. სამთო მრეწველობის ტრესტმა ახალციხის მაზრაში მიავლინა სპეციალისტთა კომისია ინფუზორიტის მადნების დამუშავების რაციონალიზაციისათვის სათანადო გეგმის გამოსამუშავებლათ. კომისიამ მოახდინა ინფუზორიტის ბუდობების დათვალიერება ადგილობრივ და განიხილა ამოღებული მადნის გადაზიდვის საკითხი.

ინფუზორიტის გადაზიდვის გასაუმჯობესებლათ სულ წარმოდგენილი იყო 4 ვარიანტი.

კომისიამ პრინციპიალურად მოიწონა მეოთხე ვარიანტი, რომელიც ეკუთვნის ინჟ. **დ. ყიფიანს.** ამ ვარიანტით ნაგულისხმევია მადნეულობის წყლით გადაზიდვა; ამ საშუალებით მადნის გადატანა ჯდება თვითეული ფუთი არა უმეტეს 2 კაპ..

გარდა ამისა, კომისიამ დაადგინა ინფუზორიტის გადასამუშავებელი ქარხანა აგებულ იქნეს ქალ. ახალციხიდან 6 კილომეტრის დაშორებით ბორჯომისაკენ. იქვე მოეწყობა წყლით გადაზიდული ინფუზორიტის ბუნებრივად გაშრობა და მადნის საფქვავი ქარხანა.

დასასრულ, კომისიამ გადასწყვიტა სამისო სამუშაოები დაწყებულ იქნეს აგვისტოდან.

### რა არის ინფუზორიტი

ინფუზორიტი არის თეთრი მიწისმაგვარი მადანი, რომელიც ძალიან წააგავს ცარცს, მაგრამ მისგან განსხვავდება ქიმიური ელემენტების შემადგენლობით.

თანამედროვე მრეწველობაში ინფუზორიტზე ძალიან დიდი მოთხოვნილებაა; დღემდე იგი შემოჰქონდათ უმთავრესად ამერიკიდან. ინფუზორიტს ხმარობენ ნავთის პროდუქტების საწმენდათ, საღებავების დასამზადებლათ, საპნის მრეწველობაში, დინამიტებისა და სხვა ასაფეთქებელ მასალათა გამამზადებელ მრეწველობაში, ელექტრო-იზოლიატორების დასამზადებლათ, რეზინის მრეწველობაში და სხ.

გარდა ამისა, ინფუზორიტი ცნობილია, როგორც ხმისა და სითბოს არ გამტარი ნივთიერება და მას ფართოდ იყენებენ სხვადასხვა მანქანების ხმაურობის შესანელებლათ (აეროპლანები და სხ.).

საქართველოში ინფუზორიტის მადნები მოიპოება ახალციხის მაზრაში; არის ცნობები, რომ ასეთი მადანი არის სხვა მაზრებშიაც.

ახალციხის მაზრაში ინფუზორიტის მარაგი არ არის გამოანგარიშებული, მაგრამ სპეციალისტების ვარაუდით აღემატება რამოდენიმე ათეულ მილიარდ ფუთს.

# სამზადისი მაუდის ფაბრიკის ასამუშავებლად

თბილისის მაუდის ფაბრიკა, რომლის აგება ამჟამად სწარმოებს, განზრახულია მოეწყოს კომბინიურ სისტემაზე, ვინაიდან იქ ვანზრახულია დამზადებული იქნეს, როგორც იაფი, მაგარი და ხმელის ქსოვილები ისე ძვირფასი ქსოვილებიც. ასეთი არის შევიოტები, მაღალ ხარისხოვანი ფართალი და სხვა კამვოლური ნაწარმოები.

ძვირფასი ფართლეულობის დამზადების მცოდნე მუშები (მღებავები, მქსოველები, ამომხვევები და სხვ.) ჯერ-ჯერობით საქართველოში არ არის, ხოლო ყველა საჭირო კვალიფიციური მუშა-ხელის მოწვევა სხვა კუთხეებიდან დიდ ხარჯებს მოითხოვს. ამ მოსაზრებით ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა გაეგზავნა რუსეთის საქსოვ ფაბრიკებში 55 მუშა საფეიქრო მრეწველობის შესასწავლათ. საქმის პრაქტიკულათ მოგვარება დაევალა ს. მ. უ. ს. შრ. ეკ. განყოფილების გამგეს ამხ. ეირანოვს, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს გადასცა შემდეგი:

— საქართველოდან გაგზავნილი მუშები დანაწილებული არიან „მოსსუკნოს", „კრასნი ოქტიაბრ"-ისა, პენზის მაუდის ფაბრიკებსა და სხვა საფეიქრო ქარხნებს შორის. თვითეულ ქარხანაში ჩვენი მუშები დაჰყოფენ ერთ წელიწადს და შეისწავლიან საფეიქრო მრეწველობის სხვადასხვა დარგებს. პარალელურად, ქარხნების ადმინისტრაცია საქართველოდან მივლინებულ მუშებისათვის მოაწყობს ლექციებს საფეიქრო მრეწველობაზე და სხ.

ერთი წლის შემდეგ ჩვენ სავსებით უზრუნველყოფილი ვიქნებით ჩვენი საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო კვალიფიციური მუშახელით. რუსეთიდან დაბრუნებული მუშები თბილისის მაუდის ფაბრიკაში იმუშავებენ ქარგლებათ, ხოლო ხელმძღვანელებათ მოწვეულ იქნებიან საზღვარგარეთელი მუშები.

# რკინის გზებზე

### დამატებითი მატარებელი

დღეს, 30 ივლისს, თბილისიდან ბორჯომამდე ინიშნება დამატებითი სახალხო მატარებელი. მატარებელი თბილისიდან გავა ნაშუადღევის 2 საათზე და 55 წუთზე. ბორჯომიდან თბილისში დაბრუნდება ორშაბათს დილის 5 საათზე და 15 წუთზე.

### პრემია ა.-კ. რკ. გზებს

გზათა კომისარიატმა ა.-კ. რკ გზების საანგარიშო აპარატის ხელმძღვანელებს მიუსაჯა პრემია გასული წლის ბალანსის თავის დროზე წარდგენისა და ამ ბალანსის ყველაზე უფრო ვრცლად და სისწორით შედგენისათვის.

ამგვარი პრემიის მისჯა პირველი შემთხვევაა საბჭოთა რკინის გზების პრაქტიკაში.

### სტატისტიკის ნაწილი წევის დარგთან

საორთქლმავლო სავაგონო გუნდებისათვის ჯამაგირის გარეშე გამომუშავებულ გასამრჯელოს გაცემის აღრიცხვის უკეთ საწარმოებლად, ა. კ. რკინის გზის წევის დარგთან არსდება სტატისტიკური ნაწილი.

ჯამაგირის გარეშე გამომუშავებულ გასამრჯელოს გამოანგარიშება და გაცემა გადატანილია საუბნო საანგარიშო კანტორებში.

### 1927-28 წლის ხარჯთაღრიცხვა

ოთხშაბათს, 3 აგვისტოს, მოსკოვში მიემგზავრება ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის კომისია, გამგეობის წევრის ინჟ. **ლ. ს. ტერ-მიქაელიანის** და საფინანსო განყოფილების გამგის თანაშემწის **ს. გ. ნუროვის** შემადგენლობით, გზათა კომისარიატისათვის ა.-კ. რკ. გზ. 1927-28 წლის ხარჯთაღრიცხვის წარსადგენად და მიმდინარე წლის საფინანსო ანგარიშების შესათანხმებლად.

მომავალი წლის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა გამოანგარიშებულია 65.568.000 მანეთის ფარგლებში, ხოლო შემოსავალი კი განისაზღვრება 54.689.000 მანეთით.

ამგვარად 1927-28 წელს მოსალოდნელია გზის დეფიციტი—10.880.000 მან. რაოდენობით, იმ დროს, როდესაც გასულ საოპერაციო წელს დეფიციტი გამოიხატა 6.790.000 მანეთში.

გზის დეფიციტის გადიდება აიხსნება საექსპორტო ტვირთების გადაზიდვის ტარიფის სიმცირით, საექსპორტო ტვირთების გადაზიდვა კი შეადგენს გზის ტვირთბრუნვის უმეტეს ნაწილს.

# ქრონიკა

### მისალმება საქართველოს ცაკს

ბორჩალოს სამაზრო აღმასკომის მორიგი პლენუმი ადგილობრივ გლეხობასთან ერთად მიესალმება საქართველოს მთავრობის უზენაეს ორგანოს — ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

ომის საფრთხის წინ და ბურჟუაზიის ლაქიების - მენშევიკების გაძლიერებული ყეფის დროს პლენუმი მუშაობას ეწევა მორიგ სამეურნეო - ეკონომიური საკითხების გადასაწყვეტად. ბორჩალოს მაზრის მშრომელნი ფიცს სდებენ საქართველოს ცაკის წინაშე, რომ ისინი თავიანთი საუკეთესო შვილებით მზათ არიან საბჭოთა მთავრობის დასაცავად.

„იაშასუნ ყირმიზ გურჯისტან"!

**ბორჩალოს სამაზრო აღმასკომის პლენუმი.**

### მისალმება საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს

**მხურვალე სალამი მშრომელთა ერთადერთ ხელმძღვანელს და წინად დაბეჩავებულ საქართველოს ეროვნებათა მხსნელს. მტრების მიერ გამოწვევას და კაპიტალის ერთგულ დამქაშთა ავანტიურას ვუპასუხებთ მეურნეობის აღდგენა-განვითარებით და რიგების შემჭიდროებით კომუნისტური პარტიის გარშემო.**

„იაშასუნ გურჯისტან კომუნისტ პარტიასი"!

**ბორჩალოს სამაზრო აღმასკომის პლენუმი.**

### ამხ. ბურკოვის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატის მთავარი ინსპექტორ ამხ. ბურკოვი, რომელსაც დავალებული აქვს ამიერკავკასიაში კერძოთ საქართველოში გამოიკვლიოს სასოფლო-სამეურნეო დარგში მომუშავეთა შრომის პირობები.

### ამხ. ევრეინოვის ჩამოსვლა

გუშინ, თბილისში ჩამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრი და კულტგანყოფილების გამგე ამხ. ნ. ევრეინოვი.

თბილისში ამხ. ნ. ევრეინოვმა ინახულა საქ: პროფსაბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები.

### სამუშაო დროის განსაზღვრა

შრომის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა დადგენილება შინამრეწველ ხელოსანთა და სავაჭრო დაწესებულებებში მუშაობის დროის განსაზღვრის შესახებ. ამ დადგენილების ძალით, ზემო-ხსენებული დაწესებულებებში, ისე როგორც სხვა დარგის წარმოებებში წესდება 8 საათის სამუშაო დრო. შინამრეწველი ხელოსანთა დაწესებულებებში განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება სამუშაო დრო გაგრძელებული იქნას 1 საათით.

### სატუბერკულიოზო საკავშირო ყრილობა თბილისში

ჯანმრთელობის კომისარიატის ცნობით შემოდგომაზე მოწვეული იქნება სატუბერკულიოზო საკავშირო ყრილობა.

### ა.-კ. რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების სამმართველო

ა.-კ. საგეგმო კომისიამ განიხილა საკითხი ა.-კ. რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების მმართველობის შესახებ და საჭიროთ იცნო ის მმართველობა და ზედამხედველობა დააკისროს ა.-კ. ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს.

### "საქართველოს მარგანეცის" დაკვეთა

აქციონერულმა საზოგადოებამ „საქართველო მარგანეცმა" დაუკვეთა აბაშის ჰიდროელსადგურს ქ. ფოთისათვის ელექტრო-ენერგიის მიწოდება 300—500 კილოვატამდე. ეს ელექტრო-ენერგია „საქართველოს მარგანეცს" დასჭირდება ელევატორების ამოსაძრავებლათ.

### ფასები სიმინდზე

ამჟამად საქართველოში, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობით, საშუალოდ ფუთი სიმინდი ღირს 1 მანეთი და 5 კაპ.

### პური

ცეკავშირმა რუსეთიდან მიიღო 30 რონოდა პურის ფქვილი, რომელიც გაუნაწილდება ძირითად კოოპერატივებს. ამ დღეებში ცეკავშირში კიდევ მიღებული იქნება 100 რონოდა ფქვილი.

### თბილისის აღმასკომში

◆ **ლომბარდის მუშაობის გასაძლიერებლად** საფინგანს დაევალა საბიუჯეტო წლისათვის ლომბარდის საბრუნავი თანხა გაადიდოს 100.000 მანეთით.

◆ **საფურთხებლების მოწყობა ქალაქში.** თბილისის აღმასკომის დადგენილებით ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში ახლო ხანში დაიდგმება 500 საფურთხებელი ყუთი.

◆ **საზოგადოება „მკერავი".** აღმასკომის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა შეიძინოს სააქციო საზოგადოების „მკერავი"-ს აქციები 5000 მანეთის რაოდენობით.

◆ **ჭლექის დისპანსერისათვის** შენობას აგების საქმე გადაეცა საზოგადოება „სამშენს".

◆ **თურქი ქალების კლუბი.** პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა გადასდოს 5000 მანეთი თურქ ქალებისათვის კლუბის მოსაწყობად.

◆ **საპატიმროების შეკეთება.** კომუნალურ განყოფილებას დაევალა შეაკეთოს სისხლის სამართლის მილციის ყველა საპატიმროები.

◆ **საქარხნო-საფაბრიკო სკოლის** ხოვლაპატრონობა დაეკისრა ტრამვაის დირექციას. განზრახულია მომავალ სასწავლო წლიდან აღნიშნულ სკოლის გაფართოება.

◆ **ახალი რონოდები.** ტრამვაის ახალი რონოდების შესაძენად აღმასკომმა გადასდო 300.000 მანეთი.

### სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **ახალი პურის ფქვილი.** ქალაქ გორში უკვე შემოვიდა გაზაფხულის პურის ფქვილი. ამის გამო ბაზარზე დღითი-დღე ეცემა ფასები სიმინდზე.

◆ **ფეხსაცმელების მიღება.** ახლო ხანში თბილისის მუშკოოპი ოუსტიდან მიიღებს 6000 წყვილ ფეხსაცმელს.

◆ **ცეკავშირმა წინადადება** მისცა კოოპერატივებს წარმოადგინონ მოთხოვნილება საზამთრო პროდუქტებზე, მათი წინასწარ მომარაგების მიზნით.

◆ **ყრილობა.** 10 სექტემბერს თბილისში შესდგება ცეკავშირის ინსტრუქტორთა ყრილობა.

### ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში

◆ **ახალი კერა.** ჯანსახკომი კერძო პირთა ბავშვებისათვის აწყობს იაფფასიანი საბავშვო კერას.

◆ **კბილის ექიმთა** მოსამზადებლად და გადასამზადებლად ჯანსახკომი თბილისში ხსნის კბილის ექიმთა ინსტიტუტს.

◆ **სამკურნალო ხელსაწყოები.** ჯანსახკომის კომისარიატმა მიიღო საექიმო ხელსაწყოები, რომლებიც დაეგზავნა მაზრებს.

◆ **მსწრაფლ დამხმარე ავტომობილები.** უეცრად დაავადებულთათვის სასწრაფო საექიმო დახმარების აღმოსაჩენად ჯანსახკომმა შეიძინა ორი ახალი ავტომობილი.

### შრომის სახ. კომისარიატში

◆ **უმუშევრობასთან ბრძოლის** მიზნით საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად მომავალ საბიუჯეტო წელში გადაიდება 20.000 მანეთი.

◆ **შრომის კოლექტივი.** ახლო ხანში თბილისში მოეწყობა ყუთების დამამზადებელი შრომის კოლექტივი.

### საბინაო მშენებლობა

◆ **ახალი სახლები.** ამჟამად საბინაო კოოპ. ამხანაგობა თბილისში აშენებს 10 სახლს 60 ბინით.

◆ **მშენებლობის გასაძლიერებლად** ამ დღეებში გამომუშავებული იქნება საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობათა ქსელის გაფართოების გეგმა.

◆ **კურსები.** ახლო ხანში თბილისში გაიხსნება საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობების ხელმძღვანელთა მოსამზადებელი მოკლე ვადიანი კურსები.

◆ **ექსკურსია.** კვირას 31 ივლისს შესდგება პოლიტგანათლების მთავარმართველობის ცენტრ. საექსკურსიო ბიუროს ექსკურსია მცხეთა-არმაზში. შეკრება რკინის გზის სადგურზე დილის შვიდ საათზე, დაბრუნდება საღამოს.

### ს. მ. უ. ს.-ში

◆ **თავდაცვის ფონდის სასარგებლოდ.** ს. მ. უ. ს. თანამშრომელთა საერთო კრებამ გადასწყვიტა გადასდოს ერთი დღის ხელფასის მეოთხედი თავდაცვის ფონდის სასარგებლოდ.

◆ **თავდაცვა-ავიქიმის უჯრედი.** ს. მ. უ. ს. ადგილკომთან დაარსდა თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედი.

◆ **ჩათახის ქარხნის გადაცემა.** ს. მ. უ. ს. სამთო სამმართველომ მიზანშეწონილად სცნო ჩათახის ქარხნის ელსადგური დროებით გადასცეს ბორჩალოს სამაზრო აღმასკომს.

### სხვადასხვა

◆ **პოლიგრაფტრესტი** მოკლე ხანში გერმანიიდან მიიღებს ახალ სასტამბო მანქანებს.

◆ **დასასვენებელი სახლი.** სოფ. ჯავში (სამხრეთ-ოსეთი) აგებული იქნება დასასვენებელი სახლი.

* * *

### ხელოვნების ქრონიკა

◆ **პროფკავშირთა კლუბებში.** პროფკავშირთა კულტგანყოფილებამ გადასწყვიტა პროფკავშირის კლუბებში მოაწყოს ხმა მაღალი მოლაპარაკე აპარატები.

◆ **„სტუმარ-მასპინძლობა".** საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კლუბში დღეს წარმოდგენილი იქნება ტრ. რამიშვილის კომედია: „სტუმარ-მასპინძლობა".

◆ **დიდი საღამო-კონცერტები.** დღეს ბაღ „არტოში" გაიმართება დიდი საღამო კონცერტები ანდღულაძის, მენდელევის ბალერინა ქაბუკიანის და სხვათა მონაწილეობით.

◆ **სიმფონიური კონცერტი.** დღეს მედსანშრომის მუშაკთა კლუბში გაიმართება დიდი სიმფონიური კონცერტი სპენდიაროვის ხელმძღვანელობით.

◆ **„ელისო" ეკრანზე".** ამ დღეებში სახკინმრეწვი დაღესტანში აგზავნის კინო ექსპედიციას ახალი სურათის „ელისო"-ს გადასაღებად.

◆ **„ამერიკელი ძია" ხაშურში.** დღეს ხაშურში **ი. ზარდალიშვილის** რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება „ამერიკელი ძია".

# მოსწავლეების მიღება

## სპეციალურ ტეხნიკუმებში

**განათლების კომისარიატის ცნობით ტეხნიკუმებში შესასვლელად განცხადებების მიღება იწარმოებს 1 აგვისტოდან 25 აგვისტომდე. განცხადებებს თან დართული უნდა ქონდეს მოწმობები, წლოვანების, განთლების და სოციალური მდგომარეობის შესახებ. განცხადებები წარდგენილი უნდა იქნას უშუალოდ ტეხნიკუმების კანცელარიაში. ტეხნიკუმებში მიიღებიან 7 წლედის კურსდამთავრებულნი 15—17 წლამდე. გამოცდები უნდა ჩააბარონ: მშობლიურ და რუსულ ენაში (არა ქართველებმა მარტო ქართულ ენაში), მათემატიკაში, საზოგადოებათმეცნიერებაში და გეოგრაფიაში. გამოცდები დაიწყება 1—5 სექტემბერს.**

# საბინაო მშენებლობა

ამჟამად საბინაო მოედნის ფაქტიური ნორმა თბილისში ერთ სულზე უდრის 12.3 კვ. არშინს. ასე, რომ დეფიციტი ერთ სულზე შეადგენს 3,7 კვ. არშინს, რომლის მიხედვით არსებულ მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად საჭიროა 1,080,000 კვ. არშინი ახალი საცხოვრებელი მოედანი, ანუ 31,000 ოთახი, რომლის ასაგებათ საჭირო იქნება 62 მილიონი მანეთი. ამ საბინაო კრიზისის შესანელებლად სწარმოებს ბრძოლა საბინაო საამშენებლო-კოოპერატიულ ამხანაგობების საშუალებით. აგრეთვე მიღებულია ზომები არსებულ საცხოვრებელ მოედნების დასაცავად განადგურებისაგან.

ახალი საცხოვრებელი მოედნების ასაგებათ წელს საბინაო კოოპერატიული ამხანაგობები და ხარჯავენ 1260000 მანეთს, თბილისის აღმასკომს ამავე მიზნისათვის გადადებული აქვს 1.045.000 მანეთი, ხოლო სხვადასხვა დაწესებულებები და კერძო პირები დახარჯავენ 400.000 მანეთს. მთელი ამ თანხით წელს თბილისში აგებული იქნება სულ 1500 ოთახი.

# საპნის მრეწველობა

## თბილისში

ამჟამად თბილისში მთელი საპნის მრეწველობა იმყოფება საპონ-ზეთის ტრესტის ხელში. თბილისში ძველადვე არსებობდა რამოდენიმე საპნის ქარხანა, რომლებიც ამზადებდნენ საუკეთესო ღირსების საპნებს. უკანასკნელი წლის განმავლობაში საპნის მრეწველობა თბილისში შესუსტდა, ვინაიდან საჭირო ნედლი მასალის რაოდენობა არ იყო საკმარისი.

ს. მ. უ. ს.-მ ამის გამო აღძრულია შუამდგომლობა რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოების წინაშე, რომ საპონ-ზეთის ტრესტს მიეცეს საქართველოში დამზადებული ნედლი მასალიდან საკმაო ნაწილი თავის ქარხნების დასატვირთავათ. სულ თბილისის საპნის ქარხნები აკმაყოფილებენ მცხოვრებთა მოთხოვნილების მხოლოდ ერთ მესამედს.

მომავალი საანგარიშო წლისათვის საპნის ქარხნებს დასჭირდებათ 600.000 ფუთი ბამბის თესლის სხვადასხვა ხარისხები. ამ მასალიდან შეიძლება დამზადებული იქნეს 108.000 ფუთი გასახევავი და 96.000 ფუთი ე. წ. მარმარილოს საპონი.

# ტყიბულის მაღაროებში

## ახალი გვირაბები

ტყიბულის საქვანახშირო მაღაროების სამმართველოდან სამთო მრეწ. ტრესტში მიღებულია ცნობები, ახალი მაღაროებისა და კაპიტალური გვირაბების გასაყვან სამუშაოთა მდგომარეობის შესახებ.

ამჟამად ტყიბულში დაწყებულია ორი დიდი გვირაბის გაყვანა. ერთი აღმოსავლეთის უბანზე და მეორე დასავლეთისაზე. აღმოსავლეთის უბანზე გვირაბი უკვე გაყვანილია 25 საჟენის სიგრძეზე, ხოლო დასავლეთისაზე—15 საჟენის სიგრძეზე.

გვირაბების გაყვანის დასრულება განზრახულია ზამთრისათვის.

# სასამართლო

### „ცოლის" გაუპატიურება

ივნისის გრილი საღამოა.

მარო ზ—ძე ყანიდან ბრუნდება თავის მეზობელთან ერთად. მგზავრები ტკბილი მასლაათით მიუახლოვდენ ხევს.

უეცრად ბუჩქები შეირხა, გზაზე გადმოხტა ხანჯალ ამოწვდილი კაცი და გაეშურა ქალისაკენ. აცახცახებული ქალი ჩაეკვრა თავის თანამგზავრს და სთხოვს შველას.

ხანჯლიანი იმუქრება მოკვლით. საქმე ცუდათ არის. მოსალოდნელია სისხლი დაიღვაროს. შეიძლება, თავდამსხმელმა ქალის დამცველი იმსხვერპლოს.

მარომ არჩია გაქცევა. მირბის შურდულივით. ხანჯლიანი დაეწევა ქალს, წაავლებს თმებში ხელს, მოუღირებს ხანჯალს და უბრძანებს თან გაჰყვეს, თორემ სიკვდილი არ ასცდება.

ბუჩქებიდან გამოძვრება ხანჯლიანის ამხანაგი და ორივეს ერთად მიჰყავთ მტირალე ქალი. გადაიარეს ტყენი და ღრენი, ჩავიდენ სოფელ თელეჯში. მოტაცებული მიიყვანეს მოკეთესას.

მასპინძელმა სუფრა გაშალა. ღამეა ქალს ლოგინი გაუშალეს მეორე ოთახში. კარგა მაგრად შეზარხოშების შემდეგ ხანჯლიანი შეიჭრა ოთახში და ძალით სქესობრივი კავშირი დაიკავა ქალთან.

თენდება. ოთახში ყველას სძინავს. არ სძინავს მხოლოდ მაროს, რომელიც მთელი ღამე ფიქრობს იმაზე, თუ როგორ გაიპაროს.

ქალი დგება, ფეხაკრებით მიდის კართან, აღებს და შეუმჩნევლად იპარება. ხანჯლიანს გაეღვიძა, მიიხედ-მოიხედა: სადღაა მისი მოტაცებული?

— მოდი და დაიძინე კაცმა — ჩაილაპარაკა მან. და ის იყო უნდა გამოვარდნილიყო გარეთ ქალის დასაწევად, რომ კარებს მოადგა ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

დაიჭირეს ხანჯლიანი, ის აღმოჩნდა იობი კოტორაშვილი.

მას ჰყავდა ცოლად სწორედ ის ქალი, რომელიც მან მოიტაცა და გააუპატიურა.

რაღად დასჭირდა ცოლის გატაცება? — იკითხავთ, ალბად.

ცოლი მარო მას გაეყარა და გაჰყვა სხვას. ასე, რომ, მოტაცებული უკვე სხვისი ცოლი იყო, როცა ეს ამბავი დატრიალდა.

იობი კოტორაშვილი გაასამართლეს და „ცოლის" გაუპატიურებისათვის მიუსაჯეს ხუთი თვით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელი შეეცვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადათ დაენიშნა ერთი წელი.

**გერ.**

### უკადრისი შოფერი

ნიკიტა კავალოვის ავტომობილი არასოდეს კანონს და წესს არ ემორჩილებოდა, რადგან პატრონი ჰყავდა ისეთი, რომელსაც წესიერი მოძრაობა ქუჩაში ისე ეჯავრებოდა, როგორც ძაღლს — ჯოხის დანახვა.

27 ივლისს, მუხრანის ქუჩაზე, კავალოვი შეაჩერა საგუშაგოზე მდგომმა მილიციელმა და ავტომობილის უწესოდ წაყვანისათვის წესიერი შენიშვნა მისცა.

შენიშვნის საპასუხოდ შოფერმა გადმოალაგა, რაც კი გინება გაეგონა.

შესდგა ოქმი. უკადრისი შოფერი მოხსნეს ავტომობილიდან და დააჯინეს საბრალმდებლო სკამზე.

სასამართლომ სამი კვირით გაგზავნა კავალოვი გამსახლში, სადაც მან უნდა ისწავლოს წესრიგის დაცვის საჭიროება.

**გ.**

# შემთხვევები

### სპეციალიზაცია ქურდობაში

სისხლის სამართლის მილიციის მიერ უკანასკნელ ხანებში შენიშნულია, რომ ქურდები ხშირად აუმჯობესებენ თავიანთ „ხელობას" და დრო და დრო ახალ-ახალი საშუალებებით ახდენენ ქურდობას. შემჩნეულია იყო რამოდენიმე შემთხვევა იატაკის ამოჭრის და ქვეითა სართულიდან მაღაზიაში აძრომის, შენობის სახურავიდან შესვლა და სხ.

ასეთ შემთხვევას, მაგალითად ადგილი ჰქონდა ა.-კ. სეგზამ-სატრანსპ. სამომხ. საზ-ბის ფეხსაცმელების მაღაზიაში (პლეხ. პრ. № 101) 17 ივლისს. ამ დღეს აღნიშნულ მაღაზიაში მე-10 უბნის მილიციელებმა ქურდობაზე მოუსწრეს გიორგი კონსტან. ძე ფრანგიშვილს, რომელიც წინასწარ შეთანხმებია მეეზოვეს და მისი ბინის სარდაფიდან გვირაბის გაყვანის საშუალებით და იატაკის ამოჭრის გზით შესულა მაღაზიაში.

სისხ. სამართლის მილიციამ დააპატიმრა მეეზოვე აივაზ აივაზიანცი და ფრანგიშვილი და გადაგზავნა ისინი გამსახლში. მეეზოვე აივაზიანცის ბინაზე აღმოაჩნდა ნაქურდალი ოქროს საათი (მამაკაცის) და აზიური ვერცხლის ქამარი.

აღნიშნული ნივთების პატრონებს შეუძლიათ მიიღონ ეს ნივთები სის. სამ. მილიციაში ოთახი № 7 თანამშრომელ კაჭარავასთან.

◆ **ცეცხლი.** 28 ივლისს კიზლიაროვის ქუჩა № 11 მდებარე სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლისმქრობელმა რაზმმა.

◆ **ოქროს საათის მოპარვა.** 28 ივლისს გუნიბის ქუჩა № 44 გიორგი პავლენკოს მოპარეს ოქროს საათი.

◆ **ამავე დღეს** ცენტრალურ ბაზარში ისააკ პიჟოიანცს ჯიბიდან ამოაცალეს ოქროს საათი.

◆ **თათრის მოედანზე** ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს სარქის ეფრემისძე ჩარჩიანცი.

◆ **ბოქლომის აგლეჯის** საშუალებით 28 ივლისს პლეხანოვის გამზირი № 127 გაქურდეს ნიკოლოზ კერესელიძის სავაჭრო.

◆ **ტრამვაის მუშათა კლუბში** მცხოვრებ არტემ ასატაშვილს მოპარეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

◆ **ავტომობილით ქალაქში** სეირნობის დროს ლეონიდ სტოკელსკის ჯიბიდან ამოაცალეს 130 მან.

◆ **ქურდობა.** 28 ივლისს ლენინის ქუჩა № 21 გაქურდეს იოსებ სვანიძის ბინა. წაიღეს 140 მან. ნივთები.

◆ **ამავე დღეს** რეუტოვის ქუჩა № 2 გაქურდეს ბეგლარ ალამალოვის ბინა. წაიღეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

# მეორე საგლეხო სესხი

## მეშვიდე ტირაჟის მოგებათა გათამაშება

**პირველიდან 8 აგვისტომდე მოსკოვში იწარმოებს 1926 წლის 12 პროცენტიანი საგლეხო სესხის მეშვიდე ტირაჟის მოგებათა გათამაშება. სულ გათამაშებული იქნება 32.810 მომგებიანი ბილეთი საერთო ჯამით 1.250.000 მანეთი.**

**აქედან 10 მოგება იქნება ხუთ-ხუთი ათასი მანეთის, 50 მოგება—ათას-ათასი მანეთის, 250 მოგება—500 მანეთიანი, 600—100 მანეთიანი, 7.000 მოგება—50 მანეთიანი და 25.000 მოგება—25 მანეთიანი.**

**მომგებიანი ბილეთების ნომრები დაიბეჭდება გაზ. „იზვესტიაში", ხოლო ტირაჟის გათამაშების შემდეგ მოგებულ ნომრების სრული ტაბელები გამოსაქვეყნებლად დაეგზავნებათ ადგილებს.**

**გათამაშების შესახებ ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ფინსახკომის ყველა სალაროებში, სახ. ბანკის ფილიალებში, შემნახველ სალაროებში და სხ. საკრედიტო დაწესებულებებში.**

# ა. კ. ვაჭრ. კომისარიატში

## სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავება

საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა აცნობა ა. კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადასამუშავებელი მოწყობილობების მიღება საკმაო რაოდენობით შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ თავის დროზე იქნება წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნილება.

### ტრაქტორების ნაწილები

ა. კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა შემოტანილ იქნეს ამერიკიდან მომავალი წლის კონტინგენტის ანგარიშში „ინტერნაციონალის" ფირმის 10 სატრაქტორო გარნიტური აზერბეიჯანის სააქციო საზოგადოება „ბიან"-ისათვის; აღნიშნული საზოგადოება აწარმოებს ძირტკბილას დამზადებას და გასაღებას. ამას გარდა შემოტანილ უნდა იქნეს ტრაქტორების და სატრაქტორო გუთნების სათადარიგო ნაწილები.

### მოწყობილობა რიონჰესისათვის

ა. კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი დეპეშით შეეკითხა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის კომისარიატს, შესაძლებელია თუ არა შემოტანილ იქნეს საზღვარგარეთიდან საჭირო მასალები საალმასო ბურღვისათვის რიონჰესის ასაგებ სამუშაოების წარმოების დროს.

# ადგილობ. მრეწველობა

ამჟამად სწარმოებს მუშაობა იმ წარმოებების მოსაწყობად, რომლებიც გათვალისწინებულია ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ხუთწლიან პერსპექტიულ გეგმაში.

დაწყებულია ერბო-კარაქის და ყველის ქარხნების აგება ახალქალაქში და ყაზბეგში; თვითეული ქარხანა ყოველწლიურად გადაამუშავებს 50.000 ფუთ რძეს; შენდება ხილის სახმობი ფარდულები—ორი გორში და ერთი ახალციხეში; თვითეული ფარდული დაამზადებს 10.000 ფუთ ხმელ ხილს; შენდება აგრეთვე ნიგვზის საწმენდი ქარხანა ზუგდიდში, რომელიც ყოველწლიურად გადაამუშავებს 50.000 ფუთ ნიგოზს, და კირის ქარხანა ქუთაისში, რომელიც წლიურად დაამზადებს 800.000 ფუთ კირს.

# რადიო-გადაცემა

## შაბათს, 30 ივლისს

დღეს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

მასწავლებლობა და ქვეყნის თავდაცვა-ლექცია რუსულ ენაზე (7—7—20).

ბრძოლა ღვინოების ფალსიფიკაციასთან, კანონი ღვინის შესახებ და მისი მნიშვნელობა—ლექცია ქართულ ენაზე (7—20—7—50).

ომი და სახალხო მეურნეობა—რუსულ ენაზე (7—50—8—20).

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე (8—20—8—30).

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია (8—30—11).

# მეცნიერება და ტეხნიკა

## უცნაური ავადმყოფი

ლონდონის ერთ-ერთ საავადმყოფოში ამჟამად სამკურნალოდ წევს ჰოლანდიელი მეზღვაური, რომელმაც მთელი ადგილობრივი ექიმების [illegible] მიიპყრო. მის [illegible] აქვს [illegible] დღეში შეიცვლის ფერს. [illegible] კანი ჯერ სრულიად თეთრია, შემდეგ [illegible] მეზღვაური იქცევა ნამდვილ ზანგად. რამოდენიმე საათის შემდეგ ტანი ისევ იწყებს გათეთრებას. ამ მოვლენის ახსნა ჯერ ვერ მოუხერხებიათ ექიმებს.

### ელექტროფიკაცია და მებოსტნეობა

შვეციის მებოსტნეობის ინსტიტუტი ორი წელიწადია აწარმოებდა ბოსტნეულის ელექტროფიკაციის ცდებს. ეს ცდები ამჟამად დასრულებულია და მიღებულია მეტად საინტერესო შედეგები.

საცდელი კვალების უბრალო გათბობამ საუკეთესო შედეგები გამოიღო. ამ მიზნით მიწაში დაგებულ იქნა შესაფერი მავთულები, რომლებში უშვებდნენ ელექტრონის დენს და ნიადაგი თანაზომიერად თბებოდა. ამ გზით, ისე როგორც ზაფხულში, ნოემბერში, დეკემბერში და თებერვალში შეიძლებოდა სალათისა და სხვა ამგვარი ბოსტნეულის მოყვანა. ელექტროფიკაციამ საქმეს არ უშველა მხოლოდ იანვარში, რადგან სტოკჰოლმში მზე ამ დროს ისე სუსტად ანათებდა, რომ მარტო ნიადაგის გათბობამ ელექტრონის ენერგიით არ იკმარა.

# იურიდიული დახმარება

## საბინაო ამხანაგობის თავმჯდომარეს ამხ. ფარცვანოვს

### პასუხი

**თუ მოქ. სერგო გძელიშვილი არის გადაყვანილი სამუშაოდ მარელისის სახერხ ქარხან. მუდმივად, იგი ვალდებულია გადმოგცეთ ოთახი. მას არა აქვს არავითარი უფლება რვა თვის განმავლობაში მისი გადაყვანის დღიდან ეუფლოს ოთახს. თბილისში საბინაო კრიზისი გვაქვს და ამის გამო ყოვლად დაუშვებელია მოქ. გძელიშვილის საქციელი.**

**გირჩევთ მიმართოთ საბინაო სასამართლოს და მოითხოვოთ ოთახის განთავისუფლება. ის გარემოება, რომ იგი იხდის დროგამოშვებით ბინის ქირას, სრულებით არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მას ჰქონდეს უფლება ბინა გადაკეტოს, გააფუჭოს და „ყოველ შემთხვევისათვის" თავისთვის შეინახოს, მან კი სხვაგან იცხოვროს.**

### ბუკისციხელ ქეთო ცი—ძეს

### პასუხი

როგორც თქვენ გვწერთ, თქვენ დაავადებულხართ ქმართან ცხოვრების დროს ვენერიული ავადმყოფობით მისი „უზნეო ცხოვრების გამო". ამჟამად კი განშორებიხართ ერთმანეთს და ჩვენ გვეკითხებით, ვალდებულია თუ არა თქვენი ყოფილი ქმარი გარჩინოს თქვენ.

### გიპასუხებთ

**დეკრეტი № 28-ის მუხ. 96 და 97-ის თანახმად, თქვენი ყოფილი ქმარი ვალდებულია მოგცეს, როგორც ავადმყოფს და ეკონომიურად უმწეოს, სარჩო-საბადებელი და გაიღოს საჭირო თანხაც თქვენი მოსარჩენად.**

**(კავშირის წევრ წიგნ. № 28.6 32) ამხ.**

# პარტიული კალენდარი

**საქ. ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ორშაბათს, პირველ აგვისტოს, დღის ორ საათზე ცეკას შენობაში შესდგება თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა. მათთვის, ვისი ანკეტებიც დასამტკიცებლად გადაცემული აქვს თბილისის კომიტეტს, დასწრება აუცილებელია.**

შაბათს, 30 ივლისს, დილის 4 საათზე, შესდგება საქ. ახ. ლ. კ. კ. ცეკას საკონფლიქტო კომისიის სხდომა. ქვემოთ ჩამოთვლილი ამხანაგები, რომლებიც იმყოფებიან ქ. თბილისში, ვალდებული არიან გამოცხადდენ ხსენებულ დროზე დაუგვიანებლად: ჯალაღანიძე, ანნა კენჭოშვილი, ელიაშვილი თამარა, გიგინეიშვილი, კვირიკაძე, შანიძე მიხეილი, ბოჭორიშვილი ნიკოლოზ, სამოელოვ და ბრეგვაძე (ა.-კ. კომუნივერსიტეტის სტუდენტი).

**საკონფ. კომისია.**

---

ღრმა მწუხარებაში მყოფნი შვილები: სარა, ნინა და ვანო (იროდი) პეტრეს ძე მელაძე; რძალი ლიუბა ტარასის ასული და სიძე დომენტი თეიმურაზის ძე შენგელია აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ხუთშაბათს 28 ივლისს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი პირველი სამის დედა, მეოთხესი დედამთილი და მეხუთეს სიდედრი

## დარო გიორგის ასული მელაძისა,

რომლის დასაფლავება დანიშნულია კვირას, 31 ივლისს ს. მათხოჯში ნაშუადღევის ოთხ საათზე

---

„კომუნისტი"
ხელისმოწერა მიიღება
თბილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპ. 34
პროვინციაში

1. **ხაშურში**—განყ. გამგე **მათე გოგუაძესთან**—მთელი გორის მაზრისთვის.
2. **ჭიათურაში**—განყ. გამგე **გ. გოგელიასთან**—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. **ქუთაისი**—განყ. გამგე **მ. ტყაბლაძესთან**—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. **სამტრედია**—განყ. გამგე **ვლ. გოგელიასთან**—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
5. **სენაკი**—განყ. გამგე. **ესებუასთან**—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
6. **აბაშა**—განყ. გამგე **მიქაძესთან**—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. **ფოთი**—ფოსტა ტელეგ. კანტორაში.
8. **ბათომი**—„კომუნისტი"-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის
9. **ზესტაფონი, ჩხარი, სვირი, აჯამეთი.** ათ. ცხომელიძე.
10. **დიდი ჯიხაიში**—წიგნის მაღაზიაში **გიორგი ბიბილეიშვილთან.**
11. **ოზურგეთი**—განყ. გამგე **პოლ. ინწკირველთან**—მთელი ოზურგეთის მაზრისათვის
12. **თელავი**—განყ. გამგე **რევაზოვთან**—მთელი თელავის მაზრისათვის.
13. **სიღნაღი**—განყ. გამგე **ა. მდივანოვთან**—სიღნაღის მაზრისათვის.
14. **ზუგდიდში**—პოლიტგანის კიოსკში—**კილასონიასთან.**
15. **სოხუმში**—ფოსტა ტელეგ. კანტორაში
16. **ველისციხის და გურჯაანის რაიონში**—განყ. გამგე **შიშნიაშვილი ესტატე**
17. **სად. ბორჯომი**—**რ. თარგამაძესთან**
18. **ბორჯომ-ბალი**—მაკაცარია
19. **აბასთუმანი**—ნაზარიანი.
20. **კოჯორი**—ზაკავტოპრომტორგი.
21. **მანგლისი**—მელიქ-ალაიანცი.
22. **წაღვერი**—ორაგველიძე.
23. **ბაკურიანი**—რუხაძე.
24. **ნავთლუღი**—კიოსკი.

და სპეციალურ რწმუნებულების საშუალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით.

0—1

„კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

მუშათა ახალი კლუბი (ყოფ. ქართ. კლუბი)
კომინტერნის ქ., № 5

დღეს, შაბათს 30 ივლისს, დიდი
საღამო-სეირნობა-კონცერტი-ბალეტი
მონაწ. იუდინა, სპრიშევსკაია, დოლონაძე, ანდღულაძე, ჩიკვაიძე, დმიტრიევი. როიალთან გორდონი.
კინო. ბაღში სხვა და სხვა გასართობი. ბუფეტი.
სასულე ორკესტრი, საზანდარი 6—9 საათამ.
ბავშთა საღამო. ნ. 1513. გამგეობა.

„სევკავტორგის" ამიერ-კავკ. განყოფილება
აცხადებს, რომ
კვირას, 31 ივლისს, დილის 11 საათზე განყოფილების კანტორის ბინაზე (სოლოლაკის ქუჩა № 4) დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
საწერ მაგიდების, სკამების, შკაფების, კონტორკების და სხვადასხვა საკანცელარიო ნივთების გასაყიდათ.
1—1 ნ 1512.

იყიდება
რულონის ჩამონაჭრი თეთრი ქაღალდი
რუსთაველის გამზირი № 34.
3—1 მთავარი კანტორა.

**ქ. თბილისის 1-ლ რაიონ. სასამართლოს აღმასრულებ.**
**ძოძუაშვილი**

ამით აცხადებს, რომ ის 2 აგვისტოს 1927 წ. დღის 12 საათზე სახლში № 20 ბაზრის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის წარმოების შრომის არტელის „მშრომელ ებრაელ"-ის მოძრავ ქონებას: რკინის საწნეხს, ქაღალდის საზელ გობს, მანქანა—სახაზავს, რკ. აუზს და სხ. შეფასებულს 520 მანეთად, მაძ. აფხაზეთის ს. ს. რ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თამბაქოს ქარხნის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 21 ივლისს 1927 წ. თარიღით, № 2419 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3441

**ქ. თბილისის მე-1 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი**
**ძოძუაშვილი**

აცხადებს, რომ ა. წ. 4 აგვისტოს, ნაშუადღევის 12 საათზე, საბურთალოზე სამხედრო გზის პირზე (ყაზარმის გვერდით) გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** ერთ სართულიანი სახლი შემდგარი ერთი ოთახისაგან, სამზარეულოთი და მიდგმულით, რომელიც ეკუთვნის მოქ. ალ—რე გარსევანიშვილის მეურვეს ალ—რა გარსევანიშვილს შეფასებულია 177 მ. ამ შეფასებიდან დაიწყება ვაჭრობა. გაყიდვა დანიშნულია ალექსი მაღრაძის და მარიამ ჯიქიას პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს გათვალისწინებული სამ. საპრ. კოდ. მე-311 მუხ. ცნობები, გარდა ამისა უნდა ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს საწინდარი. შეფასებული ჯამის 10 პროც. 3447

**ქ. თბილისის მე-5 რაიონის სასამართ. აღმასრულებელი**
**ძოძუაშვილი**

ამით აცხადებს, რომ ის 3 აგვისტოს 1927 წ. დღის 12 საათზე სახლში № 10 ვარდის უბნის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ნესტორ ხოშტარიას მოძრავ ქონებას: „ბეკერ"-ის პიანინოს, ბუფეტს, საწერ-მაგიდას და სხ. შეფასებულს 897 მანეთად, მაძ. „მერკურკრედიტ"-ის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბ. სახალხო სასამართლოსაგან 18 ოქტ. 1926 წ. და 9 თებ. 1927 წ. თარიღით №№ 2540 და 1115 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3449

**ქუთაისის სამაზრო აღმასკომის მმაჩის ბიურო**

ამით აცხადებს, თანახმათ თავისი 29 ოქტომბრის 1926 წლის დადგენილებისა, დაფუძნებული ს ს ს.რ. დეკრეტი № 28-ს § 61—64, რომ მცხოვრებს ქ. ქუთაისში ცხაკაიას ქუჩაზე № 17 კონსტანტინე მიხეილის-ძე ჩიბურდანიძის გვარი „ჩიბურდანიძე" შეეცვალოს „ბერძენზე" და თუ ვინმეს საწინააღმდეგო აქვს, დღიდან გამოცხადებისა ორი თვის განმავლობაში შეუძლია მიმართოს ზემო აღნიშნული დაწესებულებას.
გ. 1514. ქუთ. სამაზრო მმაჩის გამგე: **მ. თუთბერიძე.**

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლლო
(არტოს ბაღში).

0—23 ნ. 13 88

უკანასკნელი სურათი სერიიდან
„ჩვენი დროის გმირი"
„მაქსიმ მაქსიმიჩ"
რეჟ. ვ. გ. ბარსკის დადგმა.
ოპერატორები: ა. პოლიკევიჩი, ვ. პოზნანი.
მთავარ როლებში: ვიშნევსკაია, ობოლენსკი, პროზოროვსკი და სხვ.

პირველად თბილისში მხატვრული კინო-პიესა
აღმოსავლეთის ცხოვრებიდან
მთავარ როლში რამონ ნავარო „არაბი" საუკეთესო სურათის სკარამუში-ს გმირი
დადგმა ცნობილი რეჟისორის რეკს ინგრამისა.
შენიშ.: ვინც კინოს ბილეთს იყიდის, იგი არტოს ბაღში შესასვლელ ფასს არ იხდის და სარგებლობს უფლებით დაესწროს ყველა გასართობებს ბაღში.
ანონსი: მალე „დარბაზ„-ში საუკეთესო სურათი „ბოროტმოქმედების დალი".

**ქ. თბილისის მე-4 რაიონ. სახ. სასამართლ. აღმასრულებელი პოტემკოვსკი**

აცხადებს, რომ 3 აგვისტოს, 1927 წ., შუადღის 1 საათზე ღვინის საწყობში, რომელიც იმყოფება კალინინის ქუჩაზე № 43, გაიყიდება გრიგოლ კეჭეყმაძის ქვემოჩამოთვლილი ქონება, რომელიც გასასყიდათ შეფასებულია 656 მან. 50 კ.: სხვა და სხვა ტევადობის ღვინის კასრები, რეზინის მილები ღვინის ჩამოსასხმელად, ლახანკები, ღვინის ბოთლები, მაგიდები, საყინულ და სხვ. 3445

**გორის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრ. ტლაშაძე**

ამით აცხადებს, რომ ის 30 ივლისს 1927 წ. დღის 1 და 2 საათზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოძრავ ქონებას ნინო ყიფიანისას ერთ თივის საწნევ მანქანას, ერთ დიდ ხალიჩას და ერთ ვაგონ თივა-ბზეს შეფასებული 370 მან. ქარელის თემ-აღმასკომის ვალის დასაკმაყოფილებლათ თანახ. აღმ. საქ. ოლქ. სასამ. აღმასრ. ფურცლისა 1 ივლისს 1927 წ. № 27579 და სარდიონ არაბიაშვილის ერთ ბორნის თოკს (ჯაჭვს) ერთ ბორნის ჩასაბმელ ჯაჭვს და ერთ შლოკს შეფასებულ 250 მან. ნატალია ჩიქოვანის და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად თანახ. ქარელის უბნის სახ. სასამ. აღმ. ფურცლისა 6 ივლისს 1927 წ. № 773. ნ. 1511

**ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი**

ამით აცხადებს, რომ 5 აგვისტოს 1927 წ. ნაშუადღევის 2 საათზე ადგილობრივ, ქ. ქუთაისში პროფ. მარის ქუჩაზე, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, გაიყიდება სამსონ ივანეს-ძე ქებულაძის ქვითკირის ორ სართულიანი სახლი № 27, რომელიც შეიცავს ორივე სართულს ოთხ საცხოვრებელ ოთახს, საკუჭნაო ოთახს, აივნებს და კიბეს დახურულ ქსტით, აგებული საეზოვე ნაკვეთ მიწაზე ზომით 40 კვად. საჟენი, ალექსანდრე დანელიას და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი შეფასებულია 220 მანეთად, საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10 პროც. ნ. 1514

პროფ. გ. მ. მუხაძე
დაბრუნდა
და განაახლა ავადმყოფების. მიღება
პლეხანოვის პრ. № 58 13—1

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
ილებს ავადმყოფებს
ბორჯომში. 13—1

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
სწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს", პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი. (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8). 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ხოე"-ს პირდაპირ.

წაღვერში
ექიმი მეგრაბიანი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით სამკურნალო კაბინეტში ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. აფთიაქის თავზე. 25—18

**დავკარგე** პირადობის მოწმობა და სამხედრო სამსახურიდან თავისუფლების მოწმობა „თვითშრომის" წიგნაკი ერმილე ღვინიანიძეს **სახელზე, ჩ. გ.** 3443

**დავკარგე** პირადობის მოწმობა სახ. უნივერსიტეტიდან გაცემული და სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულობის მოწმობა ფორმა № 4, არკადი სევასტის-ძე კვაჭაძეს **სახელზე, ჩ. გ.** 3444

**დავკარგე** ქ. გორის მე-4 შრომის სკოლის 9 წლედის დამთავრების დროებითი მოწმობა № 813 ალექსანდრე მაჭარაშვილის **სახელზე, ჩ. გ.** 3442

**დავკარგე** პირადობის სამხედრო აღრიცხვის მოწმობა № 2067 და სამტრედიის მონადირეთა კავშირის წიგნაკი იოსებ მაქსიმის-ძე ნინუას სახელზე, ჩ. გ. 3440

**დავკარგე** პირადობის მოწმობა და კავშირის წიგნაკი კონსტანტინე ნემსაძეს **სახელზე, ჩ. გ.** 3439

**დავკარგე** სამხედრო აღრიცხვის ბარათი გაცემული მე-3 კომისარიატის სამხედრო მაგიდის მიერ გ. ჩიქოვანის **სახელზე, ჩ. გ.** 3446

**დავკარგე** ახუთის 7 წლედის შრომის სკოლის დამთავრების მოწმობა № 45 გიორგი ვეკუას **სახელზე, ჩ. გ.** ნ. 1510

**დავკარგე** გერმანული შაშხანის № 1911, ნებართვა № 571, მიღებული თელავის იმფორ-პუნქტიდან ისაკა ლეკიაშვილის **სახელზე, ჩ. გ.** ნ. 1510

**დავკარგე** პირადობის მოწმობა № 116, გაცემული ბანძის თემ-აღმასკომიდან და დროებითი აქციის მოწმობა № 217 გაცემული სენაკის კომუნალური ბანკისაგან ფ. აჯიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3448

**დავკარგე** მეტრიკული ამონაწერი გრიგოლ შოშიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3448

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68